ეროვნული ბიბლიოთეკა


# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

LA GÉORGIE COMBATTANTE

2002 წლის 26 მაისი – ნომერი 31 (49) – 26 Mai 2002


## ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს - ილია


საქართველოს დამოუკიდებლობის 84 წლისთავი

26 მაისი.....1
როგორ იქნა მომზადებული აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა.....2
საქართველოს სამი ეროვნული მნიშვნელობის თარიღი.....4
დოკუმენტაცია.....6

სოხუმის დაკარგვის მე-9 წელი

აფხაზეთის საკითხი და "ბოდენის გეგმა".....14
დაგვცინის რუსეთი?.....15
რუსეთი ეკონომიკურადაც იპყრობს აფხაზეთს.....16
მიხეილ გორბაჩოვი და ჩვენი აფხაზეთი.....17
ქალბატონი ევა აგუმა რუსი "დერჟიმორდების" მონა?.. .....19
ილია აფხაზეთში.....20
დიმიტრი გულია.....21
"სუსლოვის სული".....22

ჩვენი საჭირბოროტო საკითხები

საქართველო დღეს (მიმოხილვა).....23
აშშ მსოფლიო ჟანდარმი?-.....29
ქართველი ერის დიდი მეგობარი.....31
ვითომ შიდა ქართლი რუსეთია?.....32
ჩვენი განმარტება.....33
სანაიას მკვლელობა გაიხსნა, ეჭვები კი გაღრმავდა.....34

ეკონომიკური საკითხები

მსოფლიო ეკონომიკური გლობალიზაცია.....36
წმინდა კაპიტალიზმის კაპრიზი?.....38

პუბლიცისტიკა

ეკუმენური მსოფლიო ეთოსი?.. .....39
ისტორიული მეგობრობა (ნ. გაგულაშვილის დაბადების 65 წლისთავი).....45
"რადიო თავისუფლების" დაარსების 50 წლის იუბილე.....47
ორმოც მოწამეთა ეკლესია.....49
"ისტორია უკანსვლით".....50
"ქართველი ეშმაკი მელა".....51
"დამშეული მგლები".....53
"ომი პალმების ხეივნიდან".....54

ლიტერატურა და ხელოვნება

ბაიროითის ფესტივალის 125 წლისთავი.....55
კინორეჟისორ ოთარ იოსელიანის წარმატება.....62
ქართული მუსიკა საქართველოს ფარგლებს გარეთ.....62
"რეგიონალური ენები?".....64
ფაქტები, ფაქტები, მხოლოდ ფაქტები.....65

ქართველები უცხოეთში

ინგოლშტატის ქართული კამერული ორკესტრი.....66
ნაქსოვი ხატების გამოფენა პარიზში.....66
მართლმადიდებლობის ზეიმი გერმანიაში.....67
ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის მეუფე დანიელის ვიზიტი.....68
ინტერვიუ ქალბატონ თინა პატარიძესთან.....69
ინტერვიუ ბატონ დოქტორ ბუბა ქებაძესთან.....71
"ახალი თაობა" "მ.ს"-ს სარედაქციო კოლეგიაში.....72


**დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წარმოდგარი ხელისუფლება არის მოქმედი, მჭრელი, მებრძოლი. — ნოე**

დაარსდა 1952 წლის იანვარში — Fondation: Janvier 1952, Paris

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მეოთხე სვეტი"

მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი — პრესა, რადიო, ტელევიზია, კინოფილმი — დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს ხელისუფლების „მეოთხე სვეტი" სახელმწიფო ძალაუფლების „სამი სვეტის" — მმართველობის (მთავრობა), კანონმდებლობის (პარლამენტი) და მართლმსაჯულების (სასამართლო) გვერდით. [illegible]

# საქართველოს კონსტიტუცია

# Constitution de la Géorgie

მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21.

მუხლი 32

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოსთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად. ყოველი დანაშაულისათვის, რომელსაც იგი ასეთ შემთხვევაში ჩაიდენს, პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს წინაშე.

Tout citoyen a le droit d' exprimer son opinion et de la propager par la parole, par la presse ou par d' autres moyens sans l'autorisation préalable du Gouvernement. Il n 'est responsable, pour tout délit commis dans ces cas, que devant la Justice.

# საქართველოს კონსტიტუცია

# Constitution de la Géorgie

მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს

მუხლი 19

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.
2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.
3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

# ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

# Universal Declaration of Human Rigts

ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, დაუბრკოლებლად მისდიოს თავის მრწამსს და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებით სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად.

articl 19

Everyone has the righet co freedom of opinion and expression: this righet includes freedom co hold opinions sichour incerierence and to scet, receive and impart information and idext chrough any medis and regardless of fronciers.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს დამოუკიდებლობის 84 წლისთავი

## 26 მაისი

I.

გილოცავთ, პატივცემულო თანამემამულენო, ჩვენს დიად, ეროვნულ დღესასწაულს- 26 მაისს!.. გვიხაროდეს, ვამაყობდეთ, რომ 26 მაისს, ამჯერად, ე.ი. 2002 წლის 26 მაისს, ავღნიშნავთ საერთაშორისო მასშტაბით, თუმცა ჩვენს აფხაზეთსა და შიდა ქართლში ჯერ კიდევ ბოგინობენ ყოველი ჯურის ექსტრემისტები დიდმპყრობელ-შოვინისტების ფარული და ღია ლოცვა-კურთხევით.

II.

მაგრამ, უცხო ძალების ბატონობა ჩვენს ძირძველ მიწა-წყალზე დროებითია, წარმავალია, რადგან 26 მაისის დიადი იდეა ეყრდნობა ისეთ საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენებს, როგორიცაა ორი უდიდესი ჰუმანიზმის საფუძველი - 4 ივლისი, 1776 წლისა, ე.ი. ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის მანიფესტი, რომელსაც მოჰყვა აშშ-ს კონსტიტუციის შექმნა, რომელშიც არა მარტო საფუძველი ჩაეყარა სახელმწიფო ხელისუფლების სამ სვეტზე (მთავრობა, პარლამენტი, მართლმსაჯულება) დაყრდნობას, არამედ ადამიანის ადამიანური ცხოვრების მასშტაბად აღიარებულ იქნა "heppiness" - "ბედნიერება", რაც აშშ-ს რევოლუციის განსაკუთრებულობად იქცა იმდენად, რომ 1776 წლის 4 ივლისის რევოლუციას მიყვა 1789 წლის 14 ივლისის საფრანგეთის დიდი რევოლუციის "თავისუფლება – თანასწორობა - ძმობის" ჰუმანიტარული მრწამსი.

IV.

და სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თვით 1893 წლის 7 თებერვლის "მესამედასელთა" საერთაშორისო მნიშვნელობის ლოზუნგი:

> "ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედა- ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა"
>
> – 4 ივლისისა და 14 ივლისის შვილობილია.

IV.

ამგვარად, 1776 წლის 4 ივლისმა და 1789 წლის 14 ივლისმა შობა 1918 წლის 26 მაისი, რომელიც არა მარტო კოლონიური ჩაგვრისაგან გათავისუფლების და, ამავე დროს, თავისუფლება- თანასწორობა-ძმობის სიმბოლოდ იქცა, არამედ, მათ ზევით, ეროვნული და პიროვნული თავისუფლება ერთ მთლიანობად აქცია, და ამასთანავე ადამიანის ბედნიერების ბაზად სოციალური სამართლიანობა გახადა, რაც თავის მხრივ დემოკრატიის, სოციალური დემოკრატიის და ამით სოციალური საბაზრო მეურნეობის ბაზად იქცა, როგორი ეკლიანიც არ უნდა იყოს ეს გზა.

V.

და 26 მაისის დიადი იდეის ერთ-ერთ გამარჯვებად ხომ არ უნდა მივიჩნიოთ შორეული აშშ-ს დროშის ვარსკვლავთა გაკაშკაშება საქართველოსა და კავკასიის ცაზე?.. ჩვენ ქართველობა, საქართველო ხომ არ უნდა შევეგებოთ აშშ-ს "კეთილი იყოს თქვენი მობრძანება საქართველოში?.." და აშშ-ს სამხედრო პირების მცირე ჯგუფის საქართველოს დასახმარებლად მოსვლა ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, ჩვენი პრეზიდენტის მოწვევით, ხომ არ იწვევს ჩვენში აშშ-ს გაიგივებას რუსეთთან, რომლის ჯარი 1783 წელს ე.წ-ლი "გეორგიევსკის ტრაქტატით" ჯერ ქართლ-კახეთის სამეფოში შემოვიყვანეთ და შემდეგ მთელი საქართველო დაიპყრო, რაც თითქმის ორასი წელიწადი გაგრძელდა?..

VI.

ჩვენი აზრით, აშშ-ს შედარება არც მეფის, არც ბოლშევიკურ და არც პოსტბოლშევიკურ რუსეთთან არ შეიძლება, რადგან რუსეთი იყო და დარჩა იმპერიული სახელმწიფო მთელი მისი ისტორიის განმავლობაში და დღესაც ხელს არ იღებს ჩვენი საქართველოს დაპყრობაზე, რომლის თვალსაჩინო მაგალითია ჩვენი აფხაზეთისა და შიდა ქართლის დაპყრობა რუსეთის მიერ-აფხაზი და ოსი თითო-ოროლა ექსტრემისტის ნიღბით. აშშ კი, მიუხედავათ ყოველგვარი მანკიერებისა, ადამიანისა და ერის თავისუფლების მედროშეა მთელს მსოფლიოში, რომელიც იბრძვის ყოველი ჯურის ექსტრემიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო მასშტაბით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამღენად, ვიმედოვნებთ, აშშ-ს დიდი დემოკრატია თავის სფეროში ჩაითრევს რუსეთსაც, რომელსაც, თუ დიდმპყრობელურ- იმპერიულ ნოსტალგიაზე ხელს აიღებს, განსაზღვრული დადებითი როლის თამაში შეუძლია საერთაშორისო მასშტაბითაც, რაც ჩვენ, ქართველობას, საქართველოს საშუალებას მოგვცემს ნორმალური, საქმიანი ურთიერთობა დაჳამყაროთ რუსეთთან, თუმცა "საქართველო-რუსეთის ურთიერთობა,- როგორც უილიამ კორტნი, აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის ბილ კლინტონის თანაშემწე ამბობდა - რთულია, მაგრამ მას აქვს უდიდესი პოზიტიური პოტენციალი... განვითარებადი კავკასია, რომელიც არ მოექცევა არც ერთი ზესახელმწიფოს გავლენის სფეროში, ყველას ინტერესებში იქნება". სტაბილურად ძლიერი საქართველო რუსეთის ინტერესებშიც უნდა შედიოდეს, ვამბობთ ჩვენ.

VII.

და აშშ-ს სამხედრო ჯგუფის მოწვევა საქართველოში საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მსოფლიოს ამ რეგიონში, უკვე დადებით გავლენას ახდენს საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზედაც, რისი დამადასტურებელი ფაქტია რუსეთის პრეზიდენტის არა ერთი განცხადება, რომ იგი მხარს უჭერს საქართველოს განახორციელოს დამოუკიდებელი საგარეო და საშინაო პოლიტიკა; და პუტინი მიესალმა საქართველოსთან ურთიერთობაში "ახალი დადებითი იმპულსების გამოჩენას".

VIII.

ამგვარად, 2002 წლის 26 მაისს, ჩვენს ამ დიდ ეროვნულ დღესასწაულს, "ახალი დადებითი იმპულსების გამოჩენით" ვხდებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხში, რომელშიც, უდავოა, დადებით როლს ითამაშებს აშშ-ც.

X.

ამღენად,- ვესალმებით რა აშშ-ს მეგობრული თანამშრომლობის საწყისს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში,- ვისურვოთ, რომ საქართველო, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, ისევ გახდეს სტაბილიზაციის ფაქტორი მთელს კავკასიაში და ამით მსოფლიოს ამ რეგიონში. და ამ შეგნებით გილოცავთ, პატივცემულო თანამემამულენო, 26 მაისის დიად, ეროვნულ

დღესასწაულს!..
მრავალჟამიერ!..

კარლო ინასარიძე
პარიზი, 2002 წლის 26 მაისი

## როგორ იქნა მომზადებული აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა

როგორ იქნა მომზადებული აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა დამოუკიდებელი საქართველოს იუსტიციის მინისტრი – რაჟდენ არსენიძე, რომელიც უშუალო მონაწილე იყო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მომზადებისა. რაჟდენ არსენიძე წერს:

თებერვალ მარტის რევოლუციას ბოლშევიკებმა სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს. მათ მათავრობა იარაღით ჩაიგდეს ხელში ხალხის დიდი უმრავლესობის სურვილის წინააღმდეგ. ეს გამოჩნდა დამფუძნებელი კრების არჩევნებში, რომელიც მათ განახორციელეს მთავრობაში ჩადგომის შემდეგ. მიუხედავად ბოლშევიკური ძალმომრეობისა, ხალხის დიდმა უმრავლესობამ მათ უნდობლობა გამოუცხადა. დამფუძნებელ კრებაში ბოლშევიკი დეპუტატები იყვნენ ერთ მესამედზე ნაკლები. დიდი უმრავლესობა კ იმათი მოწინააღმდეგე სოციალისტ-რევოლუციონერები, სოციალ-დემოკრატები, ლიბერალები და სხვა პარტიების წამომადგენლები იყვნენ.

ბოლშევიკებმა გადადგომის მაგიერ დამფუძნებელი კრება გარეკეს და უმცირესობის დიქტატურა გამოაცხადეს. აქედან დაიწყო ანარქია და სამოქალაქო ომი მთელს რუსეთში. მხოლოდ კავკასიის ერებმა შეძლეს არეულობის თავიდან აცილება, რადგან მათთან ბოლშევიკებს თითქმის არანაირი გავლენა არ ჰქონდათ. სამი ყველაზე მრავალრიცხოვანი ერის ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების წარმომადგენლებისაგან შეიქმნა ამიერკავკასიის მთავრობა, რომელიც მუშათა და გლეხთა საბჭოებთან შეთანხმებით მართავდა ქვეყანას. მალე დამფუძნებელი კრების არჩევნების საფუძველზე თბილისში შექმნილი იქნა საკანონმდებლო ორგანო "ამიერკავკასიის სეიმი", რომელიც შეუდგა სოციალისტური რეფორმების გატარებას. სეიმმა შესძლო შინაური წესრიგის დამყარება და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოტომანის საზღვერებიდან წამოსული გაბოლშევიკებული ჯარისაგან მოსალოდნელი დარბევა ქვეყანას თავიდან აეცილა.

მაგრამ რამდენიმე თვის მუშაობის შემდეგ საგარეო ორიენტაციის საკითხებმა და გარეშე ძალების ზეგავლენამ კავკასია ერთობის გზას ააცილა და მოშალა იგი.

აი, ასეთ პირობებში, 1918 წლის 25 მაისს, ეროვნულმა საბჭომ, რომელიც საქრთველოს ყველა პარტიების თვითმმართველობების, კულტურული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან იყო შექმნილი, დაადგინა გამოაცხადოს საქართველოს დამოუკიდებლობა, ჩამოაყალიბოს საკუთარი მმართველობა, რათა მტერსა და მოყვარეს გასცეს პასუხი. ამ მიზნით მან გამოყო საკანონმდებლო კომისია, რომელსაც დაავალა დამოუკიდებლობის აქტის პროექტის მომზადება.

ეს კომისია შეიკრიბა იმავე დღეს. ნაშუადღევს დავიწყეთ მუშაობა. ვჩქარობთ, რადგან ხვალ ეროვნული საბჭოს სხდომაა, რომელმაც თავის თავზე აიღო ამ ისტორიალი მისიის შესრულება. ვჩქარობთ, მაგრამ მარ შეიძლება აქტი არ იყოს მოფიქრებული, სერიოზული, ღირსი თავის დიად დანიშნულების; უნდა აღინიშნოს ხომ უფლებები ახალ დაბადებული მოქალაქის; უყურადღებოთ ვერ დავტოვებთ იმ ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს, ჩვენი ტერიტორიის ფარგლებში ცხოვრობენ. და ყოველივე ეს უნდა ითქვას მოკლედ, მოჭრით, მკაფიოდ. ამიტომ თვითეული სიტყვა იწვევს დავას, კამათს, აზრთა შეჯახებას; ყოველი ფრაზა ყალიბდება დიდი გულმოდგინებით. ბოლოს ბრძოლა და ჯახი თავდება მორიგებით, ერთსულოვნებით; რაც მიღებულია – მიღებულია ყველასაგან. განხეთქილებას და გულნაკლულობას აქ, ამ დიად გადამწყვეტ მომენტი, არ უნდა დაურჩეს ადგილი. ამას ვგრძნობდით ყველა, თუმცა ეს ჩვენთვის არავის უკარნახევია... ვიბრძვით და ვჩქარობთ, რადგან ოტომანის პორტისაგან 72 საათიანი ულტიმატუმი გვაქვს წამოყენებული, რომელსაც ხვალ საღამომდე გაუდის ვადა. ამიერკავკასიას წინააღმდეგობისა და პასუხის გაცემის უნარი აღარ აქვს. ოტომანის იმპერია კი იარაღით გვადგია თავზე. სამარცხვინო ბრესტ-ლიტოვსკის ზავით და რუსის ჯარის დაშლით გათამამებული – ყარსის, ბათუმის, არდაგანის ოლქების ჩამოცილებით გვემუქრება.

ყველა პარტიაში ერთსულოვანი თანხმობაადამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხში. მაგრამ ხალხის ხმის მოსმენა მაინც საჭიროა, რომელსაც უზომოდ დიდი გავლენა აქვს მთელ ერში, შეკითხვას უგზავნის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციას, რომლებიც ხალხთან ახლოს არიან. მათი აზრის წინასწარი მოსმენა სავალდებულოდ მიაჩნია; და ყველა კუთხიდან, ყველა ქალაქიდან, ყველა მაზრიდან მოდის ერთსულოვანი პასუხი:

თანახმა ვართ!

თქვენთან ვართ!

დამოუკიდებლობა საქართველოს!

ასეთივე პასუხი მოდის ყველა პარტიებიდანაც. ამგვარად, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი იგებს პირველ რეფერენდუმს.

ეს იყო 25 მაისს, 1918 წელს, დღით შაბათს. კომისიაში მოგვდის ეს ცნობები, გვიხარია და მეტი ენერგიით ვაგრძელებთ მუშაობას. შეღამდა... ვერ დაგვისრულებია შრომა... ვიკრიბებით ნავახშმევს და ისევ ვმსჯელობთ, ისევ ტექსტის ყოველ აზრს ჩავკირკიტებთ; ხოლო ეროვნული საბჭოს ბიურო, მისი პრეზიდიუმი, გვიცდის, ელის ჩვენგან შემუშავებულ პროექტს, რომ საბოლოო ტექსტი მიიღოს და ხვალ საბჭოს წინაშე წარადგინოს. შუაღამეზე ვათავებთ პროექტის დამუშავებას და მაშინვე ორი წევრი გიორგი გვაზავა და პავლე სარჯველაძე მიეშურებიან საბჭოს ბიუროს სხდომაზე, რომ ამაღამევე დაამთავრონ ეს საშური მაგრამ მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობა.

ნაშუაღამევს ბიურო იღებს ზოგიერთი შესწორებით საბოლოო რედაქციას და კვირას, 26 მაისს, იგი საჯაროდ ცხადდება სასახლის თეთრ დარბაზში.

ვის სცალოდა იმ ჟამად კომისიის ოქმების შედგენაზე და მათ შემოწმებაზე ფიქრი და ზრუნვა! იწერებოდა კი, მაგრამ არ ვიცი, ინახებოდა იგი სადმე თუ გადაყლაპა დროთა უკუღმართობამ. ამიტომ გაწვდით ამ ცნობებს. იმათგან, ვინც ამ აქტის, აწ ისტორიულ აქტად ქცეულის შედგენაში და განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს და რომელთა სახელები მეხსიერებამ შემინახა, აღარავინ მეგულება ცოცხალთა შორის. თითქმის ყველა წინაპართა პანთეონს შეუერთდა. ამათგან ორი სახელი მინდა მოვიხსენო: კოტე აფხაზი, დიდი გონიერი პატრიოტი, რომელიც ინიზიატორი იყო თავად-აზნაურობის მთელი ქონების ქართველი ერისათვის გადაცემის, რითაც მოუმზადა ნივთიერი და ორგანიზაციული საუძველი ჩვენი ერის აღორძინებას. მან წამებით დაიღგა უკვდავების გვირგვინი საქართველოს 26 მაისისათვის ბრძოლაში.

საქართველოს დიდი პრეზიდენტი – ნოე ჟორდანია, დამოუკიდებლობის აქტის გამომცხადებელი, რომელიც 1953 წლის იანვარში მოგვტაცა ულმობელმა სიკვდილმა. ჩავისახოთ გულში მათი ხსოვნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მათი სახელები. ღრმა განცდებით, მაგრამ უდრეკი რწმენით და გაბედულებითეუდგებოდით ორიათასი წლის დამოუკიდებელი არსებობის განახლების მომენტს ასჩვიდმეტი წლის უსახელმწიფოდ ყოფნის შემდეგ. დიდია ჩვენი განცდა, დღესაც როცა ამ წამებს ვიგონებ. მაშინ ერმა თავისი გაიტანა საფრთხისაგან თავი იხსნა მით, რომ თავისი თავის პატრონი გახდა. გვწამს იხსნის დღესაც თავის თავს კომუნიზმის უმსგავსო თარეშისაგან.

რაჟდენ (მიშა) არსენიძე
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
იუსტიციის მინისტრი
25 მაისი, 1958 წელი, მიუნხენი

## საქართველოს სამი ეროვნული მნიშვნელობის თარიღი

### 26- მაისი – 25 თებერვალი – 28-29 აგვისტო

I.

26 მაისი – 25 თებერვალი – 28-29 აგვისტო – აი, ის სამი დიდი საქართველოს ეროვნული მნიშვნელობის თარიღი, რომლებიც, ჩვენის აზრით, შორდება მათი ფაქტობრივი მნიშვნელობის საზღვრებს და საქართველოს, ქართველი ხალხის საერთო ისტორიული და მარადიული თარიღები ხდება.

II.

26 მაისი, უფრო ზუსტად, 1918 წლის 26 მაისი – ერთი მხრივ – საქართველო სამი-ათასწლოვანი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ისევ აღდგენის თარიღია, როცა საქართველო – მე-15 საუკუნიდან დაქუცმაცებული სახელმწიფოების თუ სამთავროების, ხოლო 1801 წლიდან 117 წლის უსახელმწიფობის შემდეგ, ისევ გახდა ერთიანი და განუყოფელი საქართველოს სახელმწიფო მის თითქმის ისტორიულ საზღვრებში. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით საქართველო ისევ გახდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი და ამით მსოფლიო სახელმწიფოთა საერთო ოჯახის წევრი. მაგრამ 26 მაისი კიდევ უფრო დიდი თარიღია: იგი, მას შემდეგ, რაც 1991 წლის 9 აპრილს ისევ იქცა საქართველოს დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს ბაზა, ამით საქართველოს თვითმყოფადი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის თარიღი გახდა საერთოდ, აწ უკვე საქართველოს სამიათასწლოვანი სახელმწიფოს არსებობის ისტორიაში, რაც თავის მხრივ ამჟღავნებს მის მარადმოქმედ რაობას.

III.

მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს 26 მაისის მარადმოქმედი რაობა, მისი ძალა? – იგი ნიშნავს იმას, რომ 26 მაისი მარადიულ მოქმედებაშია, თუ ჩვენ, ქართველობა, საქართველოს მოსახლეობა ვიმოქმედებთ 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობი აქტისა და 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის, ძირითადი კანონის შესაბამისად. და ვითომ ჩვენ დღეს 21 საუკუნის დასაწყისში ვმოქმედებთ აღნიშნული ძირითადი კანონების შესაბამისად? – ვმოქმედებთ მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ. ჩვენს სამშობლოში 1998 წლის 26 მაისი, საქართველოს დამოუკიდებლობის 80 წლისთავი აღვნიშნეთ შეუსაბამოდ, რადგან 20 მაისს დიდმპყრობელმა შოვინისტებმა ისევ დაიწყეს გალის რაიონში ქართველების დევნა და გენოციდი, რომ ჩაეშალათ ჩვენი დიდი ეროვნული დღესასწაულის აღნიშვნა; და მართლაც ჩაიშალა, რადგან ვის ეცალა 26 მაისის ზეიმისათვის, როცა ჩვენს აფხაზეთში ქართველობას ჟლეტდნენ უცხო მომხდური სამხედრო ძალები, აფხაზების ნიღბით.

IV.

ვერც 1999 წლის 26 მაისის ავღნიშნეთ შესაბამისი ზეიმით, რადგან ამ დროსაც დიდმპყრობელ-შოვინისტებმა აამოძრავეს მათი საგარეო და საშინაო ძალები, რომ საქართველოსთვის, ქართველობისათვის, საქართველოს მთელი მოსახლეობისათვის ეთქვათ თუ ვინ განსაზღვრავს საქართველოში 26 მაისის ზეიმის რაობას; და ჩვენც დავემორჩილეთ – ნებსით თუ უნებლიეთ – დიდმპყრობელ-შოვინისტების ღია თუ ფარულ მუქარას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V.

და აქვე იბადება კითხვა: რას წარმოადგენენ ის ძალები, რომლებიც – ნებსით თუ უნებლიეთ – რბილად რომ ვთქვათ ხელს გვიშლიან 26 მაისი, ჩვენი ეს უდიდესი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის თარიღი ავღნიშნოთ ისე, როგორც აღნიშნავს მაგალითად, აშშ 4 ივლისს – სახელმწიფო დამოუკიდებლობის დღეს, თუ საფრანგეთი 14 ივლისს – „თავისუფლება – თანასწორობა - ძმობის“ დიად საერთაშორისო დღეს? – ხელს გვიშლიან – ერთი მხრივ – დიდმპყრობელი შოვინისტები აფხაზი და ოსი ექსტრემისტების ნიღბით, ისევ ცდილობენ საქართველოს კრემლის კოლონიად გადაქცევას; და მეორე მხრივ – ზოგიერთი ჩვენგანი, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ხელს უწყობენ დიდმპყრობელ- შოვინისტებს. შეგნებულად, მაგალითად, ხელს უწყობენ დიდმპყრობელ-შოვინისტებს, რომ ისევ კრემლი გაბატონდეს საქართველოში.

VI.

მაგრამ არანაკლებ ზიანს აყენებს 26 მაისის მარად მოქმედებას „შეუგნებელი“ ქართველობაც, რომლებიც „მორცხვად“ თუ აღიარებენ ხოლმე 26 მაისის უდიდეს ეროვნულ მნიშვნელობას: მაგალითად ჩვენი დიდი გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1998 წლის 26 მაისის აღსანიშნავად დაკმაყოფილდა საქართველოს პრეზიდენტის ინტერვიუთი, რაც გალის რეგიონში მიმდინარე ქართველთა ხოცვა-ჟლეტის ფონზე შეიძლება „დიპლომატიურად“ გამართლებულ იქნას. მაგრამ სწორედ ასეთ რთულ პირობებში არ უნდა იქნას ხაზგასმული თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს 26 მაისს სწორედ საქართველოს უშიშროების, ფიზიკური უშიშროების უზრუნველყოფისათვის?.. იგივე გაზეთმა მაგალითად თითქმის რამდენიმე გვერდი მიუძღვნა თურქეთის რესპუბლიკის 75 წლისთავს, შესაბამისი უშველებელი სათაურით, და 26 მაისის 80 წლისთავისის აღნიშვნისას მხოლოდ პრზიდენტის ინტერვიუთი უნდა დაკმაყოფილებულიყო?.. რატომ თითქმის არაფერი არ ისმის საქართველოს ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე 1918-21 წლების, ჩვენ ვამბობთ „პატარა ოქროს ხანისა“ და მისი შემქმნელი ოქროს თაობის შესახებ?.. რატომ გაურბის საქართველოს მასობრივი მედიუმები საქართველოს პირველი პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას და მისი თანამებრძოლების ხსენებას განსაკუთერბით 26 მაისთან და „პატარა ოქროს ხანასთან“ დაკავშირებით?..

VII.

25 თებერვალი 1921 წლისა, ე.ი. დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის დღე თუ 28-29 აგვისტო 1924 წლისა, ე.ი. საქართველოს მოსახლეობის საერთო სახალხო აჯანყება უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ, - დღეს საქართველოში ან სრულიად არ აღინიშნება, ანდა ისე მორცხვად, რომ თითქოს ეს თარიღები არ იყოს ჩვენი ეროვნული მნიშვნელობის ბუმბერაზი თარიღები.

VIII.

და ამ მარად მოქმედ თარიღთა ”ჯადოსნური წრე” იკვრება, რადგან რა უნდა იყოს 25 თებერვლის პასუხი თუ არა აგვისტოს აჯანყება, უფრო ზუსტად 1924 წლის 28-29 აგვისტოს საერთო აჯანყება საქართველოში, რომლის მიზანი იყო ისევ 26 მაისის მარად მოქმედი ეროვნული მეობის აღდგენა?!..

IX.

და, აწ უკვე დამოუკიდებელ და სუვერენულ საქართველოში არ უნდა იქნეს ამ სამი მარადმოქმედი თარიღის ისეთი ფორმითა შინაარსით აღნიშვნა, როგორც ეს ხდებოდა და ხდება ემიგრაციაში?..

კარლო ინასარიძე
პარიზი, 2002 წლის 26 მაისი

*

<u>31 მარტი. პირველი რეფერენდუმი საქართველოს ისტორიაში</u>

კითხვა: თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?

პასუხი: დიახ

*



# საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება,—არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ,—თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 ს. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

# საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველი მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

„რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარებმა დასტოვა ამიერკავკასია.

„დარჩენილ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და ამით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დამორჩილებისაგან თავი დაიხსნას და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ჩაუყაროს.

„ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა—დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით-კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

## საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა
## (1918-1921 წლები)



ნოე ჟორდანია

<u>საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობის თავმჯდომარე</u>



ევგენი გეგეჭკორი



ნოე რამიშვილი



კონსტანტინე კანდელაკი



აკაკი ჩხენკელი



კარლო ჩხეიძე

„... უნდა დავინახოთ მტერმაც და მოყვარემაც, რომ არამარტო გვინდა ვიყვეთ დამოუკიდებელი, არამედ შეგვიძლია ვიყვეთ დამოუკიდებელნი"

„... და თუ ჩვენ მიზანს მაინც ვერ მივაღწიეთ და დავმარცხდით, ერთი მაინც უეჭველი იქნება და ამას პირუთვნელი ისტორია მაინც იტყვის – ჩვენ მივდიოდით სწორე გზით და გავაკეთეთ რის გაკეთებაც კი შეგვეძლო"

*ნოე ჟორდანია 1918 წლის 4 აგვისტო*



ნოე ხომერიკი



გრიგოლ ლორთქიფანიძე

* * *

მე არ ვიცი, ვინ შეძლებდა ნოე ჟორდანიას გარდა მაშინდელ პირობებში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, რომელი მასზედ უფრო დიდი ნაციონალისტი, არასოციალისტი ან თუ გამოაცხადებდა, როგორ იქნებოდა შესაძლებელი დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა, თუ მას არ იწამებდა ნოე ჟორდანია

*მიხაკო წერეთელი*

* * *



ირაკლი წერეთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ACT
## of Independence of Georgia

The Georgian National Council, during its plenary sitting of May 26, 1918, declared as follows:

„For several centuries Georgia existed as a free and independent State.

At the end of the eighteenth century Georgia voluntarily allied herself with Russia, with the stipulation that the latter should protect her from enemies without.

In the course of the great Russian revolution conditions arose which resulted in the disorganization of the entire military front and the abandonment of Transcaucasia by the Russian Army.

Thus, left to her own devices, Georgia, and with her all Transcaucasia, took into their hands the direction of their affairs creating the necessary organs for this purpose; but under pressure from exterior forces the links which united Transcaucasian nationalities were broken and the political unity of Transcaucasia was thus dissolved.

The present position of the Georgian people makes it imperatively necessary that Georgia should create a political organization of her own, in order that she may escape from the yoke of her enemies and lay a solid foundation for her free development.

Accordingly the Georgian National Council, elected by the national assembly of Georgia on November 22 (December 5), 1917, declares:

(1) In future the Georgian people will hold sovereign power and Georgia will be a State enjoying all the rights of a free and independent State.

(2) Independent Georgia's form of political organization will be a democratic Republic.

(3) In the event of international conflict Georgia will always remain neutral.

(4) The Georgian democratic Republic will apply itself to establishing friendly relations with all nations, and especially with neighboring nationalities and states.

(5) The democratic Georgian Republic offers to all inhabitants of her territory a wide field for free development.

(6) The democratic Georgian Republic guarantees to all citizens within her territory civil and political rights, without distinction of nationality, religion, social position, or sex.

(7) Until the convocation of the constituent assembly the National Council, with the addition of representatives of the minorities and the provisional government responsible to the National Council, is at the head of all Georgian administation".

On the 12th of March, 1919, the constituent assembly of Georgia confirmed the preceding act in the following terms:

„At its first sitting of the 12th of March, 1919, the constituent assembly of Georgia, elected by citizens of both sexes, according to the direct, equal, universal, secret, and proportional electoral system, proclaims before the world and history that it fully confirms and approves the act of the independence of Georgia, declared at Tiflis by the Georgian National Council, May 26, 1918".

ეროვნული ბიბლიოთეკა




საერისთავოები:
1. ეგრისის. 2. მარგვის. 3. ოძრხის, 4. კლარჯეთის, 5. წუნდის, 6. სამშვილდის, 7. ხუნანის, 8. კახეთის. 9. შიდა ქართლის საპატიახშო.

საქართველო ძვ.წ. VI-III სს-ში

ეროვნული ბიბლიოთეკა




ტერიტორიები:

- საქართველოს სახელმწიფოსი
- საქართველოს გავლენის სფეროებისა (ტრაპეზუნდი)
- საქართველოს უმადნაფიცი და მოხარკე ქვეყნებისა

საზღვრები:

- სახელმწიფოებრივი
- უმადნაფიცი და მოხარკე ქვეყნებისა
- დედაქალაქები
- ფეოდალურ სამთავროთა ცენტრები
- სხვა დასახლებანი

საქართველო XIII ს-ში „ნიკოფსიითგან... დარუბანდამდე..."

# პატარა „ოქროს ხანა"

**1918-1921**



# საქართველო

"Geographie ist die einzige Konstante der auswärtigen Beziehungen"

"შენ მუქა-მუქა ლაგოფაცეს და ამიღომა ლამაზარავლი"

"გეოგრაფია არის ერთადერთი კონსტანტური საგარეო ურთიერთობაში"






ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ეროვნული ჰიმნი

## დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ჰიმნი

### დიდება

დიდება ზეცით კურთხეულს,
დიდება ქვეყნად სამოთხეს
ტურფა ივერსა!

დიდება ძმობა-ერთობას,
დიდება თავისუფლებას
დიდება სამარადისოდ
ქართველ მხნე ერსა!

დიდება ჩვენსა სამშობლოს,
დიდება ჩვენი სიცოცხლის
მიზანს დიადსა!

ვაშა ტრფობასა-შიყვარულს,
ვაშა შვებასა-სიხარულს,
სალამი ჭეშმარიტების
შუქ-განთიადსა!

მუსიკა
კოტე ფოცხვერაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



## *სოხუმის დაპყრობის მე-9 წელი*

*„სოხუმის დაცემის დღე – 27 სექტემბერი უნდა იქცეს სიკეთის, დაღუპულთა ხსოვნის, ძმობის, მეგობრობის, თანადგომისა და იმედის დღედ, რადგან აფხაზეთის ტრაგედია აღელვებს და სტკივა სრულიად საქართველოს“*

### აფხაზეთის საკითხი და “ბოდენის გეგმა“

I.

დიტერ ბოდენი არის გაეროს მეთვალყურეთა ჯგუფის უფროსი აფხაზეთში, რომელთა შორის არის 14 მეთვალყურე გერმანიიდან; და სწორედ ეს “ბოდენის გეგმა“ განხილულ იქნა კავკასიის ოთხ სახელმწიფოთა ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნების შეხვედრაზე, ქალაქ სოჭში, 20002 წლის 27- 30 მარტს, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნებმა რუსეთიდან - ვლადიმერ რუშაილომ, აზერბაიჯანიდან - რამიზ მეტხიევმა, სომხეთიდან - სერჟ სარქისიანმა და საქართველოდან - თედო ჯაფარიძემ.

ამ შეხვედრის კულმინაციური წერტილი იყო, მასში რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მონაწილეობა. ბატონმა პუტინმა განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას; და რომ იგი მხარს უჭერს აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარების ე.წ. “ბოდენის გეგმას“.

II.

“ბოდენის გეგმა“ კი კომპრომისზეა აგებული, რომლის მიზანია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. რუსეთი აქამდე მხარს არ უჭერდა გაეროსა და საქართველოს მეგობარი ქვეყნების მიერ შემუშავებულ ე.წ. “ბოდენის გეგმას“. ახლა კი, რუსეთის თანხმობით, ეს გზა გახსნილია, თუმცა ეჭვს იწვევს სოჭში გაკეთებული განცხადების ის ნაწილი, რომლის თანახმად, რუსეთს თითქოს სჭიროდეს სოხუმის დარწმუნება მიიღოს “ბოდენის გეგმა“.

III.

ეს, ალბათ, “დიპლომატიური“ ჩუქურთმაა გაამართლოს რუსეთმა იმპერიული მოქმედება ჩვენს აფხაზეთსა და შიდა ქართლში იმით, რომ თითქოს რუსეთი ამ ხელოვნურად შექმნილ კონფლიქტებში არაფერ შუაშია, და ამით თითქოს “მომრიგებლის“ როლში გამოდის საქართველოს საშინაო პრობლემების მოგვარებაში. ამას კი “სუსლოვის სული“ ასდის, “სუსლოვის სულისა“, რომლის თანახმად დიდმპყრობელ- შოვინისტები ჯერ აღვივებენ საქართველოში “ეთნიკურ კონფლიქტებს“ და შემდეგ, “მომრიგებლის“ როლში გამოდიან. მაგრამ მაინც დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რომ საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის ერთიანი ფრონტი უკვე იქმნება, რომლის ერთ- ერთი დადებითი შედეგი აფხაზეთისა და შიდა ქართლის ხელოვნურად შექმნილი “რუსული გოჯილა“ იშლება, და თვით რუსეთი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მომხრედ გვევლინება.

IV.

ამგვარად, თუ რუსეთი მოისურვებს - და, რუსეთს “სურს“ როგორც ჩანს,- მაშინ საქართველოში მცხოვრები თითოოროლა აფხაზი თუ ოსი ექსტრემისტი არავითარ სერიოზულ პრობლემას არ წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოებრივი სტაბილურობის კიდევ უფრო განმტკიცების გზაზე.

V.

ჩვენი პრობლემაა არა აფხაზები თუ ოსები აფხაზეთსა და შიდა ქართლში, არამედ რუსეთი; და ვიმედოვნებთ, რომ რუსეთი ხელს შეუწყობს “ბოდენის გეგმის“ განხორციელებას, რაც იქნებოდა ერთი ნაბიჯი წინ რუსეთ- საქართველოს კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების გზაზე. ეს კი მისასალმებელია.

კ. ი. , პარიზი, 2002 წლის 4 აპრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „დაგვცინის რუსეთი?.."

## *სოხუმის დაპყრობის მე-9 წელი*

I.

მე-9 წელიწადია, რაც პოსბოლშევიკურმა რუსეთმა დაიპყრო ჩვენი სოხუმი და ამით ჩვენი აფხაზეთი, სადაც იგი განუკითხავად ბატონობს. კიდევ მეტი: რუსეთი ჩვენ, ქართველობას, საქართველოს „დ ა გ ვ ც ი ნ ი ს" კიდეც, როცა ისევდაისევ გვიჩიჩინებს თავში, რომ აფხაზმა ექსტრემისტებმა დაამარცხეს საქართველოს შეიარაღებული ძალები და ამგვარი ნიღბით მოსავს სიყალბეს, რომ აფხაზეთის ფეხოსანმა ჯარებმა, ავიაციამ, საზღვაო ძალებმა წყალქვეშა ნავების ჩათვლით, დაამარცხა საქართველო!...

II.

რა თქმა უნდა, ეს სრული სიყალბეა და ეს კარგად იცის არა მარტო არძინბას თითო–ოროლა მიმდევარმა, არამედ თვით პოსბოლშევიკურმა რუსეთმა, მაგრამ შეგნებით გვინერგავს თავში – მასობრივი ინფორმაციის თანამედროვე საშუალებებით – რომ თითქოს რუსეთი ქართველთა გენოციდში აფხაზეთში არაფერ შუაშია, და წარმოიდგინეთ, გაეროს ეგიდით მომრიგებლის როლშიც კი გამოდის, რის თვალსაჩინოებაა ენგურზე რუსეთის ჯარების განლაგება, რომელიც თითქოს „ნეიტრალურია"! სინამდვილეში კი შეიარაღებული ძალაა სწორედ საქართველოს და ამით საქართველოს შემადგენელი რეგიონის – აფხაზეთის – წინააღმდეგ.

III.

და ვითომ ბოლო მოეღება რუსეთის ამგვარ მაქიაველურ ვაი-პოლიტიკას აფხაზეთსა და შიდა ქართლში აშშ-ს დაინტერესებით საქართველოს უმწეო მდგომარეობით, რაც ამერიკელთა სამხედრო პირების ჩამოსვლით საქართველოში გამოიხატა?.. ჩვენ ვფიქრობთ, რომ – სულ ცოტა – უკვე გზა ეხსნება სერიოზულ მოლაპარაკებას რუსეთსა და საქართველოს შორის, რითაც, ვფიქრობთ, რუსეთი ხელს აიღებს საქართველოს „დ ა ც ი ნ ვ ი ს" პოლიტიკაზე და ხელს აიღებს საქართველოს სახელმწიფოებრივი ტერიტორიის დატაცება-დაქუცმაცებაზე, რაც – თავის მხრით – იმას ნიშნავს, რომ რუსეთმა უარი უნდა თქვას ე.წ – „სუსლოვის სულზე " , რომელიც უკვე გამოაშკარავებულია:

„აფხაზეთის გამოყენებით, -თქვა მიხეილ სუსლოვმა 80- იან წლებში, „დახურულ შეკრებაზე", - სამეგრელოს, სვანეთს, აჭარას და სხვა კუთხეებს უნდა მივცეთ დამოუკიდებლობა. მათში ცალ – ცალკე უნდა გავაღვივოთ კუთხურ – ეროვნული გრძნობა. დასავლეთი საქართველო უნდა დავუპირისპიროთ აღმოსავლეთს, ამის შემდეგ მათს შორის მომრიგებლის როლი უნდა შევასრულოთ. პარალელურად ქართველები მეცნიერულად უნდა დავარწმუნოთ, რომ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსახლებულნი, სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, რაც მათი საქართველოს ტერიტორიიდან საბოლოოდ გაძევების საშუალებას მოგვცემს ".

IV.

და, აი ამგვარი დიდმპყრობელურ – შოვინისტური მიზნების განხორციელებისაგან, როგორც სჩანს, არ იხევს უკან პოსბოლშევიკური რუსეთი არც ჩვენს აფხაზეთში და არც შიდა ქართლში, რამაც გამოიწვია ის, რომ ჩვენ, აგერ უკვე მეცხრე წელიწადია, ვერ შევძელით საერთო ენის გამონახვა რუსეთთან; ვერ შევძელით არსებითად იმიტომ, რომ რუსეთს, პოსტბოლშევიკურ რუსეთს სურს არა მეგობრული ურთიერთობის დამყარება საქართველოსთან, როგორც დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოსთან, არამედ საქართველოს ხალხზე, საქართველოზე ბატონობა სწორედ „სუსლოვის სულის" შესაბამისად. სხვა სიტყვებით: რუსეთი ეძებს საქართველოში მონებს და არა მეგობრებს, რაც იყო და დარჩა რუსეთის იმპერიული პოლიტიკა საქართველოსა და კავკასიის მიმართ დაწყებული 1801 წლის სექტემბრიდან, როცა რუსეთმა მოახდინა ჯერ ქართლკახეთის სამეფოს და შემდეგ მთელი საქართველოს ანექსია, რაც გაგრძელდა 1918 წლის 26 მაისამდე, როცა იშვა 26 მაისი, ჩვენი დიდი ეროვნული თავისუფლების ჩირაღდანი!..

V.

მაგრამ რა? – რუსეთმა, საბჭოთა რუსეთმა ჯერ ცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დე ფაქტო და დე იურე და 1920 წლის 7 მაისს დაიდო რუსეთ – საქართველოს საზავო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც რუსეთმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ 1921 წლის 11 თებერვალს ბოლშევიკურმა რუსეთმა გადმოლახა საქართველოს საზღვრები და სისხლიანი

ბრძოლების შემდეგ დაიპყრო იგი და ისევ რუსეთის თავისებურ კოლონიად აქცია, რაც გაგრძელდა 1991 წლის დეკემბრამდე, როცა რუსეთმა თვითონ დაშალა 1992 წელს ხელოვნურად შეგოჯიჯებული სსრკ და საქართველომ ისევ აღადგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შესაბამისად .

VI.

მაგრამ პოსტბოლშევიკური რუსეთი ისევ დაადგა ბოლშევიკური და მეფის რუსეთის იმპერიულ გზას და დაიწყო საქართველოს ტერიტორიის დაქუცმაცება ე.წ. ეთნიკური კონფლიქტების მომიზეზებით, რომლის ზურგში იდგა და დგას პოსტბოლშევიკური რუსეთი მისი შეიარაღებული ძალებით, თვით ატომური შეიარაღების ჩათვლით. და ახლა, სოხუმისა და მთელი აფხაზეთის დაპყრობის მეცხრე წლისთავზე, ჩვენ, ქართველობას „დაგვცინის" კიდეც თითქოს საქართველო დაამარცხა 1992-1993 წლებში არა რუსეთის სამხედრო ძალამ, არამედ 80-ათასიანი აფხაზი ერის თითო-ოროლა ექსტრემისტმა სახმელეთო და საჰაერო-საზღვაო ძალების გამოყენებით!..

VII.

მიუხედავად ამგვარი „დაცინვისა" ქართველობის, საქართველოს მიმართ, ჩვენ მაინც უნდა შევეცადოთ გამოვნახოთ საერთო ენა რუსეთთან დიადი 26 მაისის საფუძველზე – როგორი რთული და ეკლიანიც არ უნდა იყოს ეს გზა.

კარლო ინასარიძე

პარიზი, 2002 წლის 7 მაისი

## რუსეთი ეკონომიკურადაც იპყრობს აფხაზეთს

რუსეთი ეკონომიკურადაც იპყრობს აფხაზეთს ისე, რომ თითქოს აფხაზეთი რუსეთს ეკუთვნის!..

მაგალითად, მოსკოვის სასტუმროების მფლობელმა ფირმამ „გლადიოლუსმა"სოხუმში უკვე შეისყიდა სასტუმროები „რიწა" და „ინტურისტი".

რუსეთის ყოფილი პრემიერმინისტრის – ჩერნომირდინის – ვაჟი კურორტ ბიჭვინთაში აბანდებს ხუთ მილლიონ დოლარს ტურისტული ბაზის შესაქმნელად. ამ საქმეში რუს ინვესტორებს ვიღაც ლევონ არძინბა, ნათესავი ვლადისლავ არძინბასი, მფარველობს.

რუსებს, საქართველოს სიმდიდრის შესყიდვაში ჩვენს აფხაზეთში, არც თურქები არ ჩამორჩებიან. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, ე.ი. ეს-ენ-გეს სამიტის გადაწყვეტილებას, რომელშიც აღნიშნულია, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილია და აფხაზეთის სეპარატისტებთან არ ჰქონდეთ კავშირი, მაგრამ აფხაზი სეპარატისტები ხომ მარიონეტებია რუსი დიდმპყრობელ-შოვინისტების ხელში?!..

ამის მყვირალა მაგალითია ისიც, რომ რუსეთის მონამორჩილმა აფხაზ სეპარატისტებმა უკვე გახსნეს წარმომადგენლობა მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში, უკრაინაში, თურქეთში, დასავლეთ ევროპაში და თვით აშშ-შიც კი. კიდევ მეტი:

სომხეთის სამთავრობო დელეგაცია ეწვია 2001 წელს აფხაზ სეპარატისტებს.

ჩვენს ოჩამჩირეში უკვე ოთხი წელიწადია მოქმედებაშია საკონსერვო ქარხანა, რომლის დამფუძნებელია რუსეთის კამპანია „სიმინ გაზი". ტყვარჩელის ქვანახშირის კარიერი „ხუდგა" გადაეცა თურქეთს, რომელიც გეგმავს ასი-ათასი ტონა ქვანახშირის ამოღებას. მასობრივად იჩეხება და გემებით გააქვთ საქართველოდან იშვიათი ჯიშის ხეტყე; ნადგურდება ავადჰარას, კოდორისა და ორქუმის ხეობების ნაკრძალები. რუსეთის კერძო სტრუქტურები სიმბოლურ ფასად ეპატრონებიან ჩვენი აფხაზეთის სიმდიდრეს, მათ შორის აფხაზეთიდან განდევნილი ქართველი მოსახლეობის ქონებას.

1999 წელს კი ჩრდილოეთ კავკასიის და სამხრეთ რუსეთის მხარეებმა აფხაზეთი ასოცირებულ წევრად მიიღეს, რითაც ხანგრძლივდება და მტკიცდება არძინბას ხელისუფლება პოსტ-ბოლშევიკური რუსეთის მხარდაჭერით.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

„ლომის ულუფას“ სეპარატისტთა ბიზნესში ღებულობს რუსეთის ე.წ. „სამშვიდობო ძალები“ – რუსი გენერლები, რომლებიც აკონტროლებენ თურქეთისა და საერთოდ უცხოეთიდან შემოსული საქონლის იმპორტს, ისევე, როგორც ყველა სახის ექსპორტს. რუსი სამხედრო პირები კი სეპარატისტებისაგან სოლიდურ „საჩუქრებს“ ღებულობენ: რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ძალების ყოფილმა სარდალმა – სერგეი იაკუშევმა - მაგალითად, სოფელ დრანდაში, ზღვის პირას, არაჩვეულებრივი აგარაკი მიიღო; საჩუქარი, კვალის დაფარვის მიზნით, გაფორმებულია იაკუშევის ქალიშვილზე, რომლის ქმრის გვარია „კოროლიოვა“... /იხ. გაზეთი „კვირის პალიტრა“, 19.2.2001 წ./.

აი, ასე იპყრობს პოსტბოლშევიკური რუსეთი ჩვენს აფხაზეთს დაწყებული 1993 წლის 27 სექტემბრიდან, როცა რუსის ჯარმა დაიპყრო ჩვენი სოხუმი აფხაზი ექსტრემისტების ნიღბით.

„ვარადა“, 25, პარიზი, 2001 წელი

## მიხეილ გორბაჩოვი და ჩვენი აფხაზეთი

I.

მიხეილ გორბაჩოვმა ინტერვიუ მისცა გერმანიის გაზეთს "ზიუდდოიჩეცაიტუნგ"-ს (28.03.2002), რომელიც შეეხო აფხაზეთის საკითხს, რამაც საბაბი მოგვცა მოვიგონოთ გორბაჩოვ გამსახურდიას სატელეფონო საუბარი. გორბაჩოვი, როცა გამსახურდიამ უარი თქვა სსრკ-ს ე.წ. საკავშირო ხელშეკრულების ხელმოწერაზე, - ტელეფონით დაუკავშირდა მას და მათ შორის გაიმართა ასეთი საუბარი:

| | |
|---|---|
| გორბაჩოვი: | თქვენ არ გსურთ ხელი მოაწეროთ საკავშირო ხელშეკრულებას? |
| გამსახურდია: | ეს არის არა ჩემი, არამედ ჩემი ხალხის პოზიცია. |
| გორბაჩოვი: | იცით თქვენ, რომ აფხაზებსა და ოსებს სურთ სამოკავშირეო ხელშეკ-რულებაზე ხელის მოწერა და სამოკავშირო რეფერენდუმში მონაწილეობა? |
| გამსახურდია: | ესენია სულ 140 ათასი ადამიანი, მაგრამ საქართველოში ცხოვრობს ხუთი მილიონი |
| გორბაჩოვი: | (ხანგრძლივი პაუზის შემდეგ) – კარგად მოიფიქრეთ სამოკავშირეო ხელ-შეკრულებაზე ხელმოწერა |
| გამსახურდია: | ეს საკითხი ჩემთვის არ არსებობს |
| გორბაჩოვი: | მაშინ თქვენ მოგელით დიდი სიძნელეები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ("შპიგელ" 11.03.1991 წ). |

II.

და ახლა 2002 წლის 28 მარტს, მიხეილ გორბაჩოვმა, ყოფილმა სსრკ-ს პრეზიდენტმა, იმავე აფხაზეთის შესახებ, შეკითხვაზე – "ხომ არ იწვევს ჩაფიქრებას აშშ-ს ჯარისკაცების გამოჩენა რუსეთის სამხრეთ საზღვართან კერძოდ საქართველოში" – უპასუხა:

– "ეს არის გადაწყვეტილება ჩვენი მეზობელი რესპუბლიკისა. რუსეთ იყო ინფორმირებული და არ გაუკეთებია საწინააღმდეგო განცხადება. ჩვენ ვართ მოკავშირეები ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ, თუ ეს გახდება ბრძოლა გელაევლენის სფეროსათვის, მაშინ ეს იქნება საზიანო ყველა მონაწილისათვის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამერიკელების იქ ყოფნა მარადიული არ არის. თუ ის შეეცდება რუსეთზე ზეწოლის მოხდენას, არაფერ სარგებლობას არ მისცემს მას. ჩვენ არ უნდა ავაგოთ ჩვენი ურთიერთობა კონფრონტაციაზე. და თუ საქართველოში სამხედრო ძალები ყალბად იმოქმედებენ, ტერორისტებს მირეკავენ აფხაზეთში, სადაც ნამდვილად საკმარისი ღერჟიმორდებია. ეს დიდ ზიანს მიაყენებდა საქართველოს, აშშ-ს და რუსეთს".

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

III.

აღნიშნულ ინტერვიუში, გორბაჩოვი აგრეთვე ამბობს:

"რუსეთი უკვე აღარ არის ზესახელმწიფო, მაგრამ აშშ-მ უნდა გამოიფხიზლოს მისი გამარჯვების სიმთვრალისაგან... რუსეთი მაინც არის ერთერთი მნიშვნელოვანი ქვეყანა, რომლის ზეგავლენა საერთაშორისო ორგანიზაციებში უფრო და უფრო გაიზრდება. მაგრამ რუსეთმა, თავის მხრივ, თავი უნდა დაანებოს მისი ზესახელმწიფოებრივ ნოსტალგიას და აგრეთვე მისი არასრულფასოვნების კომპლექსს".

IV.

როგორც ამ ინტერვიუდან სჩანს, მიხეილ გორბაჩოვი არაფერს არ ამბობს მისი როლის შესახებ საქართველოსთან მიმართებაში, თუმცა ბორის ელცინის, რუსეთის ყოფილი პრეზიდენტის პოლიტიკას საერთოდ გმობს; ეს კი, სულ ცოტა, "უცნაურად" გვეჩვენება, რადგან ჯერ კიდევ 1991 წელში გორბაჩოვი დაგვემუქრა, როგორც აღვნიშნეთ, "...თქვენ მოგელით დიდი სიძნელეები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთშიო"; და ახლა 2002 წელს ამბობს ჩვენი აფხაზეთის შესახებ, რომ იქ "...ნამდვილად საკმარისი დერჟიმორდებია".

V.

და ამ თითო-ოროლა აფხაზი თუ ოსი "დერჟიმორდების" გაბატონება ჩვენ აფხაზეთსა და შიდა ქართლში სწორედ რუსეთის პოსტბოლშევიკური პოლიტიკის შედეგი არ არის აწ დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველოს მიმართ?.. და "სტაბილური არასტაბილური პოლიტიკის" გამტარებელი არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში პოსტ-ბოლშევიკური რუსეთი არ არის?..

VI.

ამ პრობლემაზე, სამწუხაროდ გორბაჩოვი არაფერს არ ამბობს, თუმცა ქებადიდებით ამკობს რუსეთის დღევანდელ პრეზიდენტის – ვლადიმერ პუტინის პოლიტიკას საერთაშორისო მაშტაბით და კერძოდ – კავკასიაში, ისე რომ თითქოს აშშ-ს სამხედრო გამოჩენა თვით რუსეთის უუნარობას არ უნდა მიეწეროს, საერთო ენა გამონახოს საქართველოსა და საერთოდ კავკასიის ერებსა და ეროვნებებთან, თუ გნებავთ, თვით საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. კიდევ მეტი: ვითომ რუსეთის სისხლიანი ბრძოლები ჩვენს აფხაზეთსა და შიდა ქართლში "ეთნიკური კონფლიქტები" და არა პოსტბოლშევიკური რუსეთის იმპერიული პოლიტიკის შედეგები არ არის, რომელიც დღესაც გრძელდება?..

VII.

რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიული დაქუცმაცების ცდა "... აღარავის შეუძლია უკვე მოითმინოს", რომლის დროს აფხაზ თითოორილა ექსტრემისტს მხარს უჭერს აწ უკვე ვლადიმერ პუტინის რუსეთი; მით უმეტეს როცა მიხეილ გორბაჩოვიც კი მიიჩნევს, რომ აფხაზეთში, რუსეთის ღია და ფარული მხარდაჭერით, "... ნამდვილად საკმარისად ბევრი დერჟიმორდებია", რამაც თავის მხრივ განაპირობა საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება, 2002 წლის მარტის ბოლოს, მიღებულ იქნას ქმედითი ზომბი აფხაზეთში "... ტერორიზმისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ" ("შპ", 14-2002, გვ. 119), რომ აღკვილ იქნას მიწისაგან პირისა ტერორისტების თავშესაფარის შესაძლებლობა საქართველოს ამ განუყოფელ ნაწილში – აფხაზეთში.

VIII.

და გორბაჩოვმა, ელცინმა და ახლა პუტინმა, რუსეთის მეთაურებმა განა კარგად არ იცოდნენ და იციან, რომ მათმა ღია და ფარულმა იმპერიულმა პოლიტიკამ საქართველოს წინააღმდეგ გამოიწვია სისხლის ღვრა ჩვენს აფხაზეთსა და შიდა ქართლში, რასაც 300 ათასამდე ლტოლვილი და გენოციდი მოჰყვა, ამის თვალსაჩინო მაგალითია, ქართველი ლტოლვილები ჩვენი დედაქალაქის – თბილისის გულში – "ივერის სასტუმროში", სადაც ლტოლვილები აგერ უკვე მე-9 წელიწადია თავიანთ სახლკარში დაბრუნებას ელოდებიან აფხაზეთსა და შიდა ქართლში?.. და ყველაფერი ეს არის რუსეთის პოსტბოლშევიკური პოლიტიკის შედეგი აწ უკვე დამოუკიდებელი სუვერენული საქათველოს წინააღმდეგ, რასაც ცხოვრებაში ატარებდა თვით მიხეილ გორბაჩოვიც, როცა ზვიად გამსახურდიას დაემუქრა: "... თქვენ მოგელით დიდი სიძნელეები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთშიო"?

IX.

ნუთუ უკვე არ დადგა დრო რუსეთმა ახელი აიღოს აწ ისტორიას ჩაბარებულ იმპერიულ პოლიტიკაზე და ამით რუსეთის "ზესახელმწიფოებრივ ნოსტალგიაზე", როგორც თვით გორბაჩოვმა თქვა?..

ჩვენ ვამბობდით და ვამბობთ: საქართველოს სტაბილურობის გარეშე შეუძლებელია სტაბილურობის დამყარება მთელ კავკასიაში თვით ჩეჩნეთის ჩათვლით, და ეს კარგად არ იცის თვით გორბაჩოვმაც და პუტინმაც?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

X.

და თუ ჩვენ, ე.ი. აშშ, რუსეთი და საქართველო"... მოკავშირეები ვართ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში", როგორც ეს თქვა მიხეილ გორბაჩოვმა, მაშინ ლოგიკური არ არის, რომ რუსეთმა ხელი აიღოს ჩვენ აფხაზეთში თითოოროლა აფხაზი ექსტრემისტების მხარდაჭერაზე და იარაღით აღჭურვაზე?..

ამ გზით კი მოგვარდება საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის აღდგენა საქართველოს ამ რეგიონებში. მით უმეტეს, რომ აშშ ჩვენ გვიწყობს ხელს და მოქმედებს ჩვენთან ერთად არა მარტო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

XI.

განა რუსეთმა არ იცის, რომ საქართველო ყოველთვის ცდილობდა და დღესაც ცდილობს, რომ მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს მოსკოვსა და თბილისს შორის 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შესაბამისად, რაც რუსეთმა 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულებით სცნო და დაამტკიცა?.. და ნუთუ არ დადგა დრო ამ ერთადერთი მშვიდობიანი და მეგობრული გზის განგრძობისა რუსეთსა და საქართველოს შორის, რაშიც ამერიკაც გვიწყობს ხელს?..

კარლო ინასარიძე
პარიზი, 2002 წლის 31 მარტი

## ქალბატონი ევა აგუმა – რუსი „დერჟიმორდების" მონა?..

I.

2001 წლის 5 აგვისტოს გაზეთ "კვირის პალიტრაში" გამოქვეყნებულია აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი ქართველი პარტიზანების მუქარა – თუ გალის რაიონში პირველი სექტემბრიდან არ დაიწყება სწავლა იმ ენაზე, რომელიც კონფლიქტის დაწყებამდე მოქმედებდა – გადაწვავენ სკოლებს. სკოლების გადაწვა ჩვენ რა თქმა უნდა, დაუშვებლად მიგვაჩნია და უთუოდ არც განხორციელდება, მაგრამ ვითომ ქართული ენა სავალდებულო არ უნდა იყოს აფხაზეთის ყველა სკოლაში თვით აფხაზური სკოლების ჩათვლით?.. ქართული ენა, ისტორია, ლიტერატურა განა საქართველოს ყველა მოსახლის საერთო ენა და საქართველო საერთო სამშობლო არ უნდა იყოს?..

II.

ალბათ ეს შეურყეველი ფაქტი აღელვებს რუსი "დერჟიმორდების" მონებს, როგორიცაა ქალბატონი ევა აგუმა, გალის რაიონის განათლების განყოფილების გამგე, რომელიც ჩვენ ქართველობას, საქართველოსა და ამით აფხაზებსაც ემუქრება, მოგვყავს სიტყვა-სიტყვით მისი "დერჟიმორდული", მონური მუქარა:

III.

"...საკმაოდ ბევრი და მნიშვნელოვანი მიზეზი არსებობს იმისათვის, რომ ქართული ენა სრულიად იქნას ამოღებული სავალდებულო საგნების სიიდან. მაგრამ ჩვენ არ მოვექცევით ქართულ მოსახლეობას ისე, როგორც ისინი მოგვექცნენ მრავალი წლის წინ, " – და იმუქრება:

"თუ ქართველებს აფხაზეთში ცხოვრება სურთ, შეეგუონ იმ ფაქტსაც, რომ ქართული ენა მხოლოდ ერთ-ერთი რიგითი საგანი იქნება. თუ ვინმეს აწუხებს ეს ფაქტი, შეუძლია ზუგდიდის აქეთ არ გამოიხედოს..."

IV.

აი, ასეთი კატეგორიული ბრძანდება გალის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ქალბატონი ევა აგუმა, რომელსაც ჩვენი რუსი "დერჟიმორდების" ყურმოჭრილ მონას ვუწოდებთ.

V.

ქართული ენის გარეშე, ვამბობთ ჩვენ, რომელ ენაზე უნდა მიიღოს განათლება საქართველოს მოსახლეობამ თვით რუსი მოსახლეობის ჩათვლით? – რუსულ ენაზე?.. რუსული ენა ხომ, - აწ უკვე თითქმის ორასი წელიწადია, - რუსული ხიშტით ისე გაუბატონეს კავკასიის ერებსა და ეროვნებებში, რომ ოსეთში მაგალითად ოსური სკოლები თითქმის აღარ არის და ჩვენ, ქართველებმა, შევუნარჩუნეთ შიდა ქართლში. შევქმენით თეატრები, ინსტიტუტები თუ მუზეუმები მათთვის ჩვენ ცხინვალში და ასე შევქმენით ბაზა ოსური კულტურის შესანარჩუნებისათვის საქართველოში. და

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგივე არ მოიმოქმედა ქართველმა ხალხმა აფხაზეთში და საქართველოს ყოველ კუთხეში, რომლის დროს შენარჩუნებული იქნა რუსული, სომხური თუ აფხაზური კულტურა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე?..

VI.

ნუთუ ქალბატონ ევა აგუმას და მის მაგვარ რუსი "დერჟიმორდების" მონებს არ ესმით, რომ მათი აღგვა პირისაგან მიწისა მაშინ იწყება, როცა ისინი უარს ამბობენ ქართულ ენაზე, ქართულ კულტურაზე, საქართველოზე როგორც დედასამშობლოზე? და ამით შეგნებულად თუ შეუგნებლად, ხელს უწყობენ საქართველოს რუსიფიკაციას და ამით რუსი "დერჟი-მორდების" დიდმპყრობელ შოვინისტურ პოლიტიკას საქართველოში?..

VII.

და კიდევ, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი: აფხაზმა, ისე როგორც მეგრელმა, სვანმა თუ აჭარელმა შოთას ენა უნდა მიივიწყოს და გორკის ენით გაეცნოს სამშობლო-საქართველოს და ამით საერთაშორისო რაობას?..

ვამბობთ მაქსიმ გორკის ენით, რადგან დიდმპყრობელ-შოვინისტები ისე გათამამდნენ, რომ წარმოიდგინეთ, სოხუმის უნივერსიტეტს მაქსიმ გორკის სახელობის უნივერსიტეტი უწოდეს, თუმცა გაუგებარია რა კავშირი უნდა ჰქონდეს გორკის ჩვენ სოხუმთან და ამით ქართულ კულტურასთან?.. უფრო მიზანშეწონილი არ იქნებოდა თუ სოხუმის უნივერსიტეტს, მაქსიმ გორკის სამაგიეროდ, დიმიტრი გულიას სახელს მივანიჭებდით?..

VIII.

ნუთუ ქალბატონი ევა აგუმა ვერ ხედავს იმას, რომ შოთას ენა, ქართული ენა აფხაზური ენაცაა თუ მას არ სურს საქართველოს, ქართველი ერის და ამით აფხაზთა გენეალოგიის მივიწყებაც კი?.. მაგრამ ჩვენ ევა აგუმა და მისთანანი კი არ უნდა დავგმოთ, არამედ შევეცადოთ მისი და მისთანანის ეროვნული ღირსების აღდგენას, რომლის საფუძველი საქართველო, ქართული ენაა აფხაზურ ენასთან ერთად თუ მას სურს აფხაზებიც ისე არ ჩაყლაპოს რუსეთმა, როგორც 1921 წელს ჩაყლაპა ჩვენი ჯიქეთი, ე.ი. სოჭი და მისი რეგიონი. და ჩვენი მოვალეობა არ არის ხელი შევუწყოთ ქალბატონ ევა აგუმას, რომ ის ამგვარ შეგნებამდე მივიდეს?..

კარლო ინსარიძე

პარიზი, 2002 წლის იანვარი

## ილია აფხაზეთში

ილია ჭავჭავაძემ, სოხუმი და მისი მკვიდრი მოსახლეობა -ქართველები- მხოლოდ ერთხელ 1903 წლის მაისში ინახულა. ქართველი მამულიშვილის სოხუმში ჩასვლა განპირობებული იყო შემდეგი გარემოებით:

1903 წელს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა ერთ კრებაზე განხილული იყო საკითხი იმ ამაგზე, რომელიც პრინცმა პეტრე ოლდენბურგმა დაუტოვა გაზეთს, კერძოდ გაგრაში კურორტის გახსნით და იქვე რეალური სასწავლებლის დაარსებით. აღნიშნული სამუშაოების შესამოწმებლად კრებაზე არჩეულ იქნა საგანგებო დეპუტაცია, რომელშიც შედიოდნენ ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ორბელიანი და სიღნაღის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი – დიმიტრი ჩოლოყაშვილი.

დეპუტაციამ დავალება შეასრულა; გაგრა საფუძვლიანად დაათვალიერა და შემდეგ, 22 მაისს, სოხუმში ჩავიდა. ეს ის დრო იყო, როდესაც საქართველოში და კერძოდ აფხაზეთში, რუსეთის ცარიზმის აღვირახსნილი რეჟიმი ბატონობდა. ადმინისტრაციაში საპასუხისმგებლო ადგილები სულ შავრაზმელებს ეკავათ. მეფის რუსეთის მთავრობა უკვე აშკარად მოქმედებდა; ცდილობდა საქართველოსათვის მოეწყვიტა ეს მხარე. რუსეთი ადგილობრივი დასაყრდენის შექმნის მიზნით, მასობრივად ასახლებდა რუსეთის შორეულ ადგილებიდან ჩამოყვანილ კოლონიზატორებს, რომლებიც მკვიდრი მოსახლეობის ადგილებს იკავებდნენ. ამ გზით ინერგებოდა შუღლი ჩამოსახლებულებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. განსაკუთრებით შევიწროებული იყო აფხაზეთის მკვიდრი ქართველი მოსახლეობა. ქართული ჟურნალ- გაზეთები არ ვრცელდებოდა. სკოლებში ქართული ენაზე სწავლება აკრძალული იყო. ეკლესიებიდან იდევნებოდა ქართული ენა. ბუნებრივია, ასეთ მძიმე პირობებში მყოფი ქართველობა უზომო სიხარულით იმსჭვალებოდა, როდესაც მათთან ერის რომელიმე თავდადებული, სასიქადულო მამულიშვილი ჩავიდოდა ხოლმე. გულში იმედი ესახებოდათ, რადგან მათში თავიანთ პატრონს, საიმედო ქომაგს ხედავდნენ ილიას

სოხუმში ჩასვლასთან დაკავშირებით, მწერალი და საზოგადო მოღვაწე - თედო სახოკია, რომელიც იმ დროს სოხუმში ცხოვრობდა, გადმოგვცემს:

ელვის სისწრაფით მოედვა მთელს ქალაქს ილია ჭავჭავაძის ჩამისვლა. ასეთი ადამიანების სტუმრობით, სოხუმელები, მაინცა და მაინც განებივრებული არ ეიყავით. წარმოგიდგენიათ, რარიგ უნდა გაგვეხარებოდა მთელი საქართველოს სიამაყის - ილია ჭავჭავაძის ნახვა, მისგან ცოცხალი სიტყვის გაგონება. გადაწყდა, სადილი უნდა გამართულიყო ძმათა შერვაშიძეთა სასახლის ვრცელ ეზოში, ასწლოვანი მუხების ქვეშ და ამ სადილზე მოეწვიათ გაგრიდან დაბრუნებული სტუმრები. სოხუმის მოტრფიალე საზოგადოების წარმომადგენლებმა, მკვიდრმა ქართველებმა, ილიას, 24 მაისს, თავად შერვაშიძეთა სასახლის ბაღში, სადილი გაუმართეს. სადაც, გარდა სასიქადულო მამულიშვილებისა, თბილისიდან, სოხუმში საგასტროლოდ მყოფი, ქართული დრამატული დასიც ყოფილა მიწვეული. ქართველმა მასპინძლებმა და მსახიობებმა ილია ჭავჭავაძესთან სურათიც გადაიღეს. სადილზე თამადად არჩეულ იქნა ადგილობრივი მკვიდრი, გონებითა და სიდარბაისლით ცნობილი - თეიმურაზ გაბუნია, რომელმაც ძვირფას სტუმარს მადლობა მოახსენა, რათა სოხუმში ჩამობრძანებით, ყველასაგან დაჩაგრულთ, ვაჟკაცობის სული შთაბერა.

სადილზე ილიას, დამსწრე საზოგადოებისათვის მიუმართავს ღრმად დამაფიქრებელი სიტყვით, რომელიც ჟურნალისტმა - ნესტორ კალანდაძემ, "კოგის" ფსევდონიმით, შემოკლებული სახით, გამოაქვეყნა გაზეთ "ივერიის" ფურცლებზე. მოგვყავს ეს სიტყვა შემოკლებულად. იგი ისევე აქტუალურად ჟღერს დღესაც, როგორც მაშინ, როცა მას დიდი ილია წარმოსთქვამდა:

"დიდი პატივისცემა, რომელიც დღეს ჩვენ გვიძღვენით, მეტისმეტია და უნდა მიეწეროს თქვენს გულკეთილობას, რომელიც მცირეოდენ კვალსაც კი დიდათ აფასებს ხოლმე. მე, ჩემი ამხანაგების მაგიერ და ჩემს თავად, დიდ მადლობას მოგახსენებთ ამ გადამეტებული პატივისცემისათვის და ღმერთს ვთხოვ გიხსნათ თქვენ, აქაური ქართველობა, იმ საშინელი განსაცდელისაგან, რომელიც მე სულთამხედავთ თვალში მეცა, როცა აქაურობა დავიარე და დავათვალიერე. დღემდე ამ მშვენიერ ქართველთა მიწაწყალს ხმლით ვინახავდით და ასეთუისე შევინახეთ კიდეც. დღეს ხმალი ქარჩაში ჩავგო. დღეს სხვა მტერი მოდის; როგორც ეხედავთ, ისე გულახდილ და პირდაპირ კი არა, როგორც პატიოსანი ხმალი, არამედ ჩუმად, ქურდულად, როგორც მაცდური და მპარავი. დიდი მტერი ფულია, გაიძვერა და მძაკვარი; იგი ღიმილითა და ალერსით მოგვექცევა და ისე გამოგვაცლის ხელიდან ამ ლამაზს, ტურფას, მდიდარ ქვეყანას, რომ პირველ ხანში იქნებ მადლობელნიც გაუხდეთ. კიდევ ვიტყვი, ღმერთმა გიხსნათ ამ საშინელი მაცდურისაგან... და შეეირჩინოთ ეს ქართული სისხლისაგან მოწყული მშვენიერი ქვეყანა თქვენდა სადღეგრძელოთა და თქვენთა შვილთა და მამულიშვილთა საბედნიეროთა და თაემოსაწონად".

ილია ჭავჭავაძე
სოხუმი, 1903 წლის 24 მაისი
(ილიას ეს სიტყვები გადმოწერილია
მაგნეტოფონის მანკიერი ფირიდან)

*

## ჩვენი აფხაზეთი

"ერთი ცის ქვეშ, ერთ მიწაზე გვიშენებია ჩვენი კულტურა, ერთად დაგვიცავს ჩვენი ეროვნული რაობა და ჩვენი მიწა-წყალი. ჩვენ რომ ვთქვათ მოძმე ერები ვართო, ეს ცოტაა. ჩვენ ერთი ფსიქიკის, ერთი ადათის, ერთი წესის, ერთი ფსიქოლოგიის ერები ვართ. ქართველს არა ჰგონია ვინმე ჰყავდეს უფრო ახლობელი ძმა, ვიდრე აფხაზია; აფხაზებსაც ასე მიაჩნიათ ქართველი და ჩვენ ამ ძმობამ შეგვინახა. ვინც ამ ძმობას შლის, რუსთაველის სიტყვებით, რომ ვთქვათ, იგი თავისა მტერია".

დიმიტრი გულია
აფხაზი მწერალი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

## "სუსლოვის სული"

მიხეილ სუსლოვი (1902-1982) იყო რუსეთის ბოლშევიკური პარტიისა და ამით სსრკ-ს კომპარტიის იდეოლოგი, რომელსაც 80-იან წლებში გაუკეთებია „დახურული მოხსენება", რომელშიც იგი ამჟღავნებს მის დიდმპყრობელ-შოვინისტურ, ანუ რასისტულ მრწამსს საქართველოსა და ქართველი ერის მიმართ. სუსლოვი ამბობს :

„კომუნისტური პარტია რუსეთის წებოა და სანამ ეს წებო თავის ძალას, თავის თვისებას არ დაკარგავს, მანამდე უნდა ავამუშავოთ რუსეთის გადარჩენის გეგმა, რომელიც სხვადასხვა რესპუბლიკებში სხვადასხვა იქნება.

შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრებ გენერლებს უნდა მივცეთ ცხოვრების ნორმალური საშუალება. მათ ჩამოსასახლებლად გვჭირდება შავი ზღვის სასაზღვრო ტერიტორია, სადაც როგორც მოგეხსენებათ ქართველები ცხოვრობენ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველები ჩვენგან ძლიერ განსხვავდებიან, ადრე თუ გვიან საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს დააყენებენ და თავისუფლებას მოითხოვენ. მათთან ბრძოლა უნდა დავიწყოთ აფხაზეთიდან. აფხაზეთის გამოყენებით სამეგრელოს, სვანეთს, აჭარისა და სხვა კუთხეებს უნდა მივცეთ დამოუკიდებლობა. მათში ცალ-ცალკე უნდა გავაღვივოთ კუთხურ ეროვნული გრძნობა. დასავლეთ საქართველო უნდა დავუპირისპიროთ აღმოსავლეთს, ამის შემდეგ მათ შორის მომრიგებლის ფუნქცია უნდა შევასრულოთ. პარალელურად ქართველები მეცნიერულად უნდა დავარწმუნოთ, რომ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსახლებულნი, სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, რაც მათი საქართველოს ტერიტორიიდან საბოლოოდ გაძევების საშუალებას მოგვცემს".

*

## "L´âme de Souslov"

Dans son édition du 30 octobre 1999 le journal << La République de Georgie >> a fait paraître un article détaillé, article dans lequel Vakhtang Abashidze, directeur des relations de presse du President, écrit qu´il existe aujourd´hui en Géorgie une menace de renaissance de << l´âme de Souslov >>.

Dans cet article, une explication est fournie sur la signification de cette soi-disant << âme de Souslov >>. Mikheil Souslov (1902-1982) était ce qu´il convient d´appeler l´idéologue du parti bolchévique de Russie et du parti communiste d´URSS.

Mikheil Souslov a fait, dans les années 80 une << conférence à huis clos >> au cours de laquelle il a justifié sa grande conviction expansionniste chauvin et raciste, est-il besoin de le rappeler, à l´encontre de la nation géorgienne.

Voici ce que Souslov nous dit:

"Le parti communiste est le ciment de la Russie et nous devons oeuvrer pour un plan de sauvegarde de la Russie, avant que celui-ci ne perde sa force et sa nature même, plan qui sera différent selon la République à laquelle il s´adressera.

Nous devons permettre à nos Généraux d´Extrême Orient de continuer à avoir des conditions de vie <<normales>>.

Pour procéder à leurs rapatriements, nous avons besoin des territoires situés au bord de la Mer Noire où vivent, comme vous le savez, les Georgiens.

Nous devons tenir compte du fait que les Géorgiens se différencient fortement de nous, et que tôt ou tard, ils poseront la question de l´indépendance et de la liberté.

Nous devons commencer à les affronter en Abkhazie. En profitant de l´Abkhazie, nous accorderons l´indépendance à la Mingrélie, la Svanéthie et l´Adjarie. Nous raviverons ainsi les sentiments provinciaux et nationaux entre eux.

Nous devons dresser la Géorgie Occidentale contre la Géorgie Orientale et jouer le rôle de conciliateurs.

Nous devons simultanément persuader scientifiquement les Géorgiens qu´ils sont issus de pays divers et qu´ils sont les représentants de diverses nations, ce qui nous donnera la possiblité de les chasser définitivement du territoire géorgien".

*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი საჭირბოროტო საკითხები

## საქართველო დღეს (მიმოხილვა)

### პოლიტიკური ქარაგმები და წიაღსვლები

უკანასკნელ ექვსი თვე საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებული აქტიურობით ხასიათდება. მთავარ სატკივრად კვლავ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და რუსეთთან ურთიერთობის განსაზღვრა რჩება. მივყევეთ მოვლენების განვითარების თანმიმდევრობას...

I

2001 წლის დეკემბერში პარლამენტმა დაასრულა მთავრობის ხელახალი დაკომპლექტება, რომელიც ამავე წლის შემოდგომაზე თბილისსა და დასავლეთ საქართველოში გამართულ საპროტესტო აქციებში მონაწილეთა მოთხოვნის შესაბამისად პრეზიდენტმა გადააყენა. შეგახსენებთ, რომ საპროტესტო აქციების მიზეზი აფხაზეთში საომარი მდგომარეობის ესკალაცია და ტელეარხ რუსთავის 2-ზე უშიშროების სამსახურის მიერ ჩხრეკის მოწყობა გახდა, რაც მოსახლეობამ ტელეოფისის დარბევად და თავისუფალ პრესაზე მორიგ ზეწოლად აღიქვა.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ პარლამენტმა არ მიიღო (11 ხმით 119-ის წინააღმდეგ) პრეზიდენტის მიერ წარდგენილი სამინისტროების სტრუქტურული რეფორმის პროექტი –სამინისტროების რაოდენობის შემცირებისა და სახელმწიფო მინისტრის ინსტიტუტის გაუქმების თაობაზე. მაგრამ მიუხედავად ამისა პარლამენტმა პრეზიდენტის მიერ წარდგენილი მინისტრთა თითოეული კანდიდატურა (გარდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის – ნინო ჩხობაძისა, რომელსაც მხოლოდ მეორე მოსმენისას აუნთეს მწვანე შუქი) შედარებით უმტკივნეულოდ დაამტკიცა.

ახალი მინისტრის – ლევან ძნელაძის თანამდებობაზე დამტკიცების შემდეგ მთლიანად ახლად დაკომპლექტდა სახელმწიფო შემოსავლების სამინისტროს საკადრო შემადგენლობა. სტრუქტურული ცვლილებები გატარდა აგრეთვე სხვა სამინისტროებში.

II

ამ მოვლენების შემდეგ, დეკემბრის ბოლოს თბილისსა და სამეგრელოს რეგიონში კვლავ იწყება საპროტესტო გაფიცვები „რუსეთის სამშვიდობო" ჯარების აფხაზეთის ტერიტორიიდან გასვლის მოთხოვნით. შეგახსენებთ, რომ „მშვიდობის მაძიებლების" მანდატის ვადა 31 იანვარს იწურებოდა.

სამშვიდობო ძალებისათვის მანდატის გაგრძელების მიზნით რუსეთის მხრიდან გაძლიერდა საქართველოზე ზეწოლა, რომელიც პოლიტიკური მეთოდების გარდა მათი ჯარებისა და აფხაზური პოლიციის კოალიციური მოქმედებით გალის რაიონში ეგზეკუციური მოქმედებებსა და ავიაციის მიერ კოდორის ხეობის „ტრადიციულ" დაბომბვებში გამოიხატებოდა. ამასთან დაბომბვები ხორციელდებოდა საბრძოლო თვითმფრინავებით, რომელთაც არ გააჩნდათ საიდენტიფიკაციო ნიშნები, ასე რომ მათი ქმედება არ შეიძლება მიეწეროს „აფხაზეთის ავიაციას", რომელსაც ქართული დაზვერვის ცნობებით „დიდი რუსი ძმისგან ნაწყალობევი" ერთადერთი სუ-25 ტიპის თვითმფრინავი და 2 მი-24 ტიპის ვერტმფრენი გააჩნია.

III




„აფხაზთა მოწყალე ძმებს" კი სამხედრო ტექნიკა საწყობებში ულპებათ. ბათუმის მე-12 სამხედრო ბაზაში 1790 სამხედრო მოსამსახურეა. ბაზის შეიარაღებაშია 41 T-72 ტიპის ტანკი, 76 100 მმ-ზე მსხვილი კალიბრის საარტილერიო სისტემა. შეიარაღების რაოდენობით ბათუმის ბაზას მაინცდამაინც არც ახალქალაქის 62-ე რუსული სამხედრო ბაზა ჩამოუვარდება, ხოლო პირადი შემადგენლობის რაოდენობით – 1964 კაცი – აჭარებს კიდევაც. მის შეიარაღებაშია 41 ერთეული თ-72 ტიპის ტანკი,64 საარტილერიო სისტემა, 38 საბრძოლო ჯავშანმანქანა, 700-ზე მეტი ავტომობილი, 120-150 ქვემეხი და 2000-მდე ცეცხლსასროლი იარაღი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათუმის მე-12 და ახალქალაქის 62-ე რუსულ სამხედრო ბაზებს სამხედრო სტრატეგიული ამოცანა, თავად მაღალჩინოსანი რუსი სამხედროების აღიარებით, არ გააჩნიათ. ძალზე ძნელი წარმოსადგენია, რომ თურქეთი თალიბებიეით იერიშზე გადმოსვლას ფიქრობდეს, და ასეც რომ მოხდეს, მიუხედავად საბრძოლო ტექნიკის დიდი მარაგისა ვერ გაუწევს ეს ბაზები მათ სათანადო წინააღმდეგობას. რადგანაც ისინი, რუსი სამხედრო ექსპერტების აღიარებით, მოძველებული სამხედრო ტექნიკისა და აღჭურვილობის საწყობებს წარმოადგენენ, რომელთა ბრძოლისუნარიანობა თანამედროვე საომარი სტანდარტებით ძალზე საეჭვოა. აქედან გამომდინარე მათი ერთადერთი დანიშნულება საქართველოს სამხედრო პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩარევაა.

ამ ჩამონათვალს ემატება „სამშვიდობო ჯარების" შენაერთები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დაახლოებით 2800 კბილებამდე შეიარაღებული კაცის ოდენობით და დაახლოებით ამდენივე აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის ბაზებზე მომსახურე ადგილობრივი მოსახლეობა. გარდა ზემოთ ხსენებულისა, იავარქმნილი სამხედრო ბაზები და საქართველოში მთელ ტერიტორიაზე მიმობნეული რადიაქტიული ნარჩენები – „რუსული ჩექმის ნათელი რელიქვიები". ამა წლის იანვარს სამი უდანაშაულო მეტყევე მძიმედ დასხივდა. საერთოდ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ 1997 წლიდან დაახლოებით 120 რადიოაქტიური ნარჩენი აღმოაჩინა და ვინ იცის კიდევ რამდენი დარჩა მიუკვლეველი...

IV

2002 წლის დასაწყისში მოვლენები საქართველოსათვის არც თუ ხელსაყრელად ვითარდება: გაერო ახალი რეზოლუციის მიხედვით საქართველოს მოუწოდებს კოდორის ხეობიდან ჯარების გამოყვანას (მაგრამ ამასთან, აფხაზთა დეფაქტო ხელისუფლებისაგან კატეგორიულად მოითხოვს თავის სტატუსის საქართველოს იურისდიქციის ქვეშ განსაზღვრას); რუსეთი ხმამაღლა ლაპარაკობს საქართველოში ტერორიზმის განვითარებაზე (მაგალითად, რუსულ პრესაში აფხაზეთში მოქმედ ქართველ პარტიზანებს უკვე ტერორისტებად მოიხსენებენ); თავს იკლავს ქვეყნის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე ნუგზარ საჯაია, რომელიც მის წინააღმდეგ წარმართული ცილისმწამებლური კომპანიის მსხვერპლი გახდა; ტერორიზმის განადგურების ლოზუნგს ამოფარებული რუსეთი კი საუბრობს ანტიტერორისტულ ოპერაციაზე და საქართველოს საზღვართან პანკისის ხეობის მიმდებერე ტერიტორიაზე დისლოკაციას უკეთებს 58-ე არმიის რამოდენიმე სერიოზულ სამხედრო შენაერთს.




თუმცა რუსეთის დიპლომატიურმა ძალებმა თავად დაუშვეს უდიდესი შეცდომა, როდესაც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა – იგორ ივანოვმა საუბარი დაიწყო პანკისის ხეობაში ალ-ქაიდას მიმდევრებისა და ბინ ლადენის ყოფნაზე. ეს სასაცილო არგუმენტი საქართველოს დამცირების მორიგი მცდელობა იყო, მაგრამ პენტაგონის ანალიტიკურმა სამსახურებმა სწრაფად გამოიყენეს ივანოვის შეცდომა, თავადაც დაადასტურეს ფუნდამენტალიზმის საფრთხის არსებობა პანკისის ხეობაში და გადაწყვიტეს საქართველოში დაახლოებით 200 კაციანი დესანტის გაგზავნა, რათა 1500 ქართველი ჯარისკაცი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მიამზადონ. ამავე მიზნით აშშ-მ საქართველოს 64 მილიონი დოლარი გამოუყო.

რუსეთმა ისე შეიცხადა საქართველოში ამერიკელი სამხედროების შესაძლო შემოსვლა, თითქოს რუსი სამხედროების რაოდენობა გაცილებით მეტი არ იყოს ჩვენს ქვეყანაში. დუმა აკეთებს განცხადებას <<აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის" რუსეთის ფედერაციაში თანმიმდევრული ინტეგრაციისა და საქართველოს წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების შემოღების შესახებ>>. ამავე დროს რუსეთის პრესაში აგორდა ტალღა სამცხე-ჯავახეთის სომხური ავტონომიის შექმნის მოწოდებით.

V

და მაინც, რა ინტერესები ამოძრავებს საქართველოში ა.შ.შ-ს? – აბრეშუმის გზის გლობალური პროექტის განხორციელებით საქართველოს გავლით ერთმანეთს დაუკავშირდება ინდო-ჩინეთი და ევროპა. ასე რომ ამ გასაგებ მიზეზთა გამო ა.შ.შ-სათვის ამ სატრანსპორტო არტერიაზე კონტროლის მოპოვება სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს. ა.შ.შ-სა და ევროპისათვის უფრო ხელსაყრელია საქართველო, როგორც ენერგომატარებლების გამტარი და სტრატეგიული მოკავშირე, ვიდრე დაბეჩავებული და კორუფციის ჭაობში ჩაძირული. შესაბამისად, ამერიკელ სამხედროებს თან მოყვება სტრუქტურული და ინსტიტუციური რეფორმები საქართველოს სახელმწიფო აპარატში.

მოვლენების ხელსაყრელი განვითარების შემთხვევაში ამერიკელთა დახმარების წყალობით, ქართულ სახელმწიფოს შეუძლია სამ ფრონტზე მოახდინოს გარღვევა: პირველი – ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და სახელმწიფოებრივი ინსტიტუციონალიზმის პრობლემების გადაჭრა; მეორე – რეფორმები სამართალდამცავ სტრუქტურებში და თავდაცვისუნარიანობის გაზრდის მიზნით რეალურად ძლიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო ძალების შექმნა; მესამე – პროდასავლური ძალებისა და პოლიტიკოსების კონსოლიდაცია საქართველოს დასავლურ სტრუქტურებში მაქსიმალური ინტეგრაციის მისაღწევად.

დღეს მშვიდობიანი მეთოდებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსი იზრდება იმის გათვალისწინებით რომ ვლადისლავ არძინბა – აფხაზთა „წინამძღვარი და იდეოლოგი" მოსკოვში სიკვდილს ებრძვის. მისი შემცვლელი და მემკვიდრე – ანრი ჯერგენია კი, საქართველოსთან მიმართებაში უფრო ლოიალურია ვიდრე მისი წინამორბედი. ამასთან დასავლურ პრესაში აშშ-ს აფხაზური სათვისტომოს პრო-ქართული ორიენტაციის ლიდერიც კი გამოჩნდა. სავარაუდოა, რომ საქართველოს ხელისუფლება მისი მეგობარი ქვეყნების დახმარებით ეცდება, მხარი დაუჭიროს ისეთი ხელისუფლების მოსვლას აფხაზეთის სათავეში, რომელსაც პროდასავლური, პროქართული ორიენტაცია ექნება და მოლაპარაკების გზით დააბრუნებს აფხაზეთს საქართველოს შემადგენლობაში ფართო ავტონომიის უფლებებით.

## VI

და მაინც, პროვოკაციები გრძელდება, 2 მარტს აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლება ატარებს საპარლამენტო არჩევნებს, ამ ფაქტს მწვავე კრიტიკა მოჰყვა ევროპული გაერთიანებისა და გაეროს მხრიდან. მათი განცხადებით, არჩევნები მხოლოდ მაშინ იქნება ლეგიტიმური, როცა აფხაზეთში დაბრუნდება ასობით ათასი ლტოლვილი.

სიტყვა „ამერიკის" გაჟღერებისთანავე იწყება მღელვარება სამცხე ჯავახეთში სომხური ავტონომიის მოთხოვნის საბაბით. რუსული პრესა ივსება პროვოკაციელი ცნობებით ამ რეგიონში თურქული ჯარების განლაგების, შემდეგ კი მისი თურქეთისადმი გადაცემის შესახებ. სამწუხაროდ სომეხი მოსახლეობის უმრავლესობა ვერ ლაპარაკობს ქართულად, ამასთან მათი დიდი ნაწილი დასაქმებულია რუსული ჯარის ინფრასტრუქტურაში, აქედან გამომდინარე ისინი ადვილად ექცევიან რუსული პროპაგანდის გავლენის ქვეშ.

რუსული ბაზების განკარგულებაში მყოფ ინფრასტრუქტურაში ანგარიშსწორება და ხელფასების გაცემა რუბლებში წარმოებს. ამით ქართული ლარი გამოდევნილია ადგილობრივი ბაზრიდან, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს და შეიძლება განხილული იქნას, როგორც რუსეთის ეკონომიკური დივერსია სუვერენული საქართველოს სახალხო მეურნეობის სიერცეში.

შევახსენებთ რომ საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში მოსახლეობის უმრავლესობა სომეხი ეროვნებისაა. ისინი ძირითადად 60-იანი წლებიდან ჩასახლდნენ, მას შემდეგ რაც მეორე მსოფლიო ომის დროს იქ მცხოვრები მაჰმადიანი ქართველი და თურქი მოსახლეობა ცენტრალურმა ხელისუფლებამ შუა აზიაში გადაასახლა.

უპასუხოდ არც შიდა ქართლის დეფაქტო ხელისუფლება დარჩენილა, მისი ლიდერი კოკოევი სთავაზობს ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას, მიიღონ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" მოქალაქის პასპორტები სოლიდური ფინანსური დახმარების სანაცვლოდ (ეს სცენარი არ ახალია, სსრკ-ს პერიოდში აფხაზეთში ინერგებოდა). საინტერესოა საიდან გაუჩნდა ოსურ მხარეს ესოდენ დიდი ფინანსური საშუალებანი?..

დიდი ენთუზიაზმი არც აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს და პრეზიდენტის რწმუნებულს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხში – ასლან აბაშიძეს გამოუხატავს, რომლის განცხადებითაც საქართველოს ხელისუფლებას სურს ამერიკელ ჯარისკაცთა დახმარებით არა ტერორიზმის აღმოფხვრა, არამედ რეგიონებში საკუთარი პოზიციების გამაგრება.

უნდა ვაღიაროთ ასლან აბაშიძემ მიაღწია აჭარის რეგიონის გარკვეულ პოლიტიკურ სტაბილიზაციასა და მცირეოდენ ეკონომიკურ ზრდას, მაგრამ ეს მოხდა რეგიონის ფეოდალურ-დიქტატორულ წყობილებაზე დაბრუნებით. 2001 წლის შემოდგომაში მან ჩაატარა ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნები და მოიპოვა ხმათა 99%...



პროვოკაციებმა აპოგეას მიაღწიეს, როდესაც „რუს მშვიდობისმაძიებაელთა" კბილებამდე შეიარაღებული რაზმი ყველასაგან დაუკითხავად 12 მარტს კოდორის ხეობაში შეიჭრა, მას შემდეგ რაც 11 მარტს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შენაერთებმა გაეროს რეზოლუციის საფუძველზე და რუსეთთან წინასწარი შეთანხმებით ხეობა დასტოვა. რუსეთის მიზანი ნათელია: ხელი შეუშალოს ამერიკელთა გამოჩენას საქართველოში; აგრძნობინოს საქართველოსა და მისი მეგობარი ქვეყნების ხელმძღვანელობებს, თუ ვინ არის რეგიონის

ეროვნული ბიბლიოთეკა





ბატონ-პატრონი; გააღრმავოს ნიჰილიზმი, ისედაც სასოწარკვეთილ ქართველობაში.

რუსეთის ამ ვანდალურმა მოქმედებამ ხეობის სვანი მოსახლეობის უკიდურესი აღშფოთება გამოიწვეია, კოდორის ხეობაში ქუდზე კაცი გამოვიდა. მათ „მშვიდობისმაძიებელთა" 78 კაციანი რაზმი ალყაში მოაქციეს, მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა თბილისშიც. შევარდნაძე სასწრაფოდ გაფრინდა კოდორის ხეობაში ამის შემდეგ მან პუტინთან სატელეფონო საუბრისას მიაღწია შეთანხმებას რუსული დესანტის კოდორის ხეობიდან დაუყოვნებლის გაყვანის შესახებ, რაც განხორციელდა კიდეც. რუსების გასვლით მდგომარეობა თითქოს განიმუხტა, მაგრამ ისედაც უკიდურესად შერყეული ნდობის ფაქტორი კიდევ უფრო შეილახა.

VII

და მაინც თვალსაჩინოა დამაიმედებელი გარემოებები. ამერიკული შენაერთის აპრილის ბოლოს საქართველოში დილსლოკაცია გადაწყვეტილია, ისინი უკვე ქართულს სწავლობენ. საინტერესოა, „რუს ძმებს" 200 წლის განმავლობაში ასეთი იდეა თავშიც არ მოსვლიათ. ამერიკული დესანტი საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას დაეხმარება. ამ მოვლენით შესაძლო თარიღად ე. შევარდნაძემ 2005 წელი დაასახელა. დღეს უკვე მიღებულია გადაწყვეტილება საქართველოს საჰაერო სივრცის ნატოს სარადარო ფარის ქვეშ მოხვედრაზე. ამ გარემოებამ წერტილი უნდა დაუსვას რუსული სამხედრო ავიაციის თარეშს ჩვენს საჰაერო სივრცეში. განსაზღვრულია საქართველოს შეიარაღებული ძალების ნატო-ს სტანდარტებით მომზადება, რომელიც უახლოეს მომავალში დაიწყება ამერიკის, თურქეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიისა და საბერძნეთის დახმარებით.

მიუხედავად, ისრაელში მიმდინარე მოვლენების ფონზე, ამერიკასა და არაბულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის გაუარესებისა, ნატოს ბლოკის ერაყში ანტიტერორისტული ოპერაციის დაწყება დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. ექსპერტთა აზრით ერაყის შეიარაღებაში არსებულ „სკადის" ტიპის ტაქტიკურ რაკეტებს თითქმის ყველა იმ ამერიკული სამხედრო ბაზების დაზიანება შეუძლიათ, რომლებიც თურქეთში, კატარში, საუდის არაბეთსა თუ კუვეიტშია განლაგებული. ამ კუთხით საქართველო ერაყზე ჩრდილოეთიდან სარაკეტო-საავიაციო დარტყმისათვის საუკეთესო პლაცდარმს წარმოადგენს, რამეთუ სკადებს საქართველომდე მოღწევა არ შეუძლიათ. გარდა ამისა ამით ეძლევა ნატოს ბლოკს საშუალება ერაყზე საჰაერო დარტყმები არა მარტო სამხრეთისა და დასავლეთის, არამედ ჩრდილოეთიი მხრიდანაც მიიტანოს.

ნატოს ჯარების საქართველოში განლაგებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება აბრეშუმის გზით ტვირთების ევროპაში უსაფრთხო ტრანსპორტირების უზრუნველყოფის მიზნითაც. პაკისტანში ავღანეთში, ყორგიზეთსა და უზბეკეთში მათი შენაერთები უკვე განლაგებულია. ე.ი. შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ დარჩენილ ქვეყნებში: თურქმენეთსა და აზერბაიჯანში მათი შეყვანა მხოლოდ დროის ამბავია.

VIII

ესპანეთის რეკომნდაციის საფუძველზე საუბარი დაიწყო საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციაზე. საქართველოში გახშირდა ამ სტრუქტურის მაღალჩინოსან დელეგაციათა სტუმრობა. რეაქციაც არ აყოვნებს, 11 დეკემბერს თბილისში გაურკვეველ ვითარებაში ხდება საქართველოში ევროკავშიის წარმომადგენლის გიუნტერ ბოიხელის მკვლელობა! ხელწერა ალბათ ნათელია...

მაგრამ პროცესი მაინც არ შეჩერებულა. ბრიუსელში ამა წლის 18-19 მარტს ედუარ შევარდნაძე შეხვდა ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს ჰავიერ სოლანას, ნატოს გენერალურ მდივანს ლორდ რობერტსონს, აგრეთვე ევროკავშირის კომისიის პრეზიდენტს რომანო პროდისა და კომისარს საგარეო პოლიტიკის სფეროში ხრისტოფერ პატენს. აქ საქართველოს პრეზიდენტი ოფიციალურად აცხადებს, რომ დამოუკიდებელ საქართველოს ევროკავშირში გაწევრინების გარდა სხვა ალტერნატივა არ გააჩნია. ამ ნაბიჯით საქართველოს პრეზიდენტი ცდილობს გააგრძელოს სულხან საბა-ორბელიანის წამოწყება, აღასრულოს ქართველი ერის საუკუნოვანი ოცნება – საქართველოს ევროპელ ერთა თანამეგობრობაში ინტეგრაცია.

მართალია საქართველო დღევანდელ პირობებში ევროკავშირში გაწევრიანების პირობებს ვერ აკმაყოფილებს, მაგრამ მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის საფუძველზე ეს საკითხი შეიძლება საკმაოდ მალე დადგეს დღის წესრიგში. ასე რომ, საჭიროა ევროკავშირის სტრუქტურებთან თანამშრომლობის ფორსირება.

IX

სასიკეთო ცვლილებები შეიმჩნევა ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სექტორშიც – რაც ჩვენი ქვეყნის სტაბილურობისა და ჰარმონიული განვითარების ქვაკუთხედია. ევროკავშირის დაფინანსებით საფუძველი ჩაეყარა ბათუმი-ფოთი-თბილისი-ბაქოს სატრანსპორტო მაგისტრალის მშენებლობას.

საბოლოოდ გადაწყდა ბაქო-თბილისი-ჯეიხანის ნავთობსადენისა და ბაქო-თბილის-ერზრუმის გაზსადენის მშენებლობა. საქმე ეხება არა მარტო მილსადენების, არამედ მთელი ინფრასტრუქტურის (ლოგისტიკური ცენტრები, ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები, ტერმინალები, სატუმბი და საფილტრი სადგურები და ა.შ.) მშენებლობას, რითაც რასაკვირველია საქართველოსთვის ესოდენ მნიშვნელოვანი დამატებითი სამუშაო ადგილები შეიქმნება. ეს კი სატრანზიტო გადასახადებთან ერთად მნიშვნელოვნად გაზრდის ქვეყნის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს.




და რაც მთავარია, ასეთი სახის პროექტების საქართველოში წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად გაიზრდება ინვესტორი ქვეყნების ინტერესი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ სტაბილურობაში, ეს კი რა თქმა უნდა შემდგომი ინვესტიციების ტოლფასია. აქვე აღვნიშნოთ, რომ ეს გეგმა მხოლოდ იმ შემთხვევაშია განხორციელებადი, თუ ამ პროექტის მართვის სადავეები კორუფციის მარწუხებში არ მოექცევა.

ეს მშენებლობები შეიძლება ჩაითვალოს აბრეშუმის გზის აღდგენის (TRACECA-Projekt) საწყის ეტაპად. ამ მაგისტრალმა დედამიწის ორი ყველაზე სწრაფად ვითარებადი პოლიტიკურ-ეკონომიკური სუბიექტი – ევროკავშირი და ჩინეთი – უნდა დააკავშიროს. ასე რომ „ძლიერთა ამა ქვეყანათა" ინტერესი ამ გლობალური პროექტისადმი უდავოა.

მართლაც ქართული ენერგეტიკის რეალობაში რუსეთისა და ა.შ.შ-ს გარდა თანდათან იკვეთებიან თურქეთის, გერმანიის, ჩინეთისა და ისრაელის როლები. რაც ინვესტორ სახელმწიფოთა შორის კონკურენციის ზრდასა და ამით ქართული მხარისათვის უკეთეს პირობებში თანამშრომლობის წინაპირობას წარმოადგენს.

X

ერთგვარი შერბილება შეიგრძნობა აგრეთვე პუტინის საქართველოსთან მიმართებაში გატარებულ პოლიტიკაში. ამას მისი განცხადებაც ადასტურებს, რომ ის ვერ ხედავს ტრაგედიას საქართველოში ამერიკულიების გამოჩენით. ამაზევე მეტყველებს ბათუმისა და ახალქალაქის რუსული ბაზების კონტინგენტის 3000 კაცით (1500 სამხედრომოსამსახურე და ამდენივე ბაზებზე მომუშავე ადგილობრივი მოსახლეობა) შემცირება. საყურადღებოა აგრეთვე, რომ რუსეთმა მოხსნა ბლოკადა საქარველოში ზემოთ ხსენებული ნავთობსადენების მშენებლობაზე. ამავე დროს რუსულმა ფირმა „ლუკოილმა" გამოთქვა სურვილი ამ პროექტში მონაწილეობაზე და მისი ხვედრითი წილი 7,5 %-ით განსაზღვრა. ამით რუსეთი ცდილობს გადაარჩინოს ის, რისი გადარჩენაც ჯერ კიდევ შეიძლება. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ თანამშრომლობის პოტენციალი არ ამოწურულა. ე.ი. შესაძლებელია პოზიციების შემდგომი დაახლოება.

სხვა სურათია რუსეთის დუმაში, ამაზე საქართველოში ამერიკულთა შესახებ მათი ისტერიული განცხადებებიც მეტყველებენ. თვით კოდორის ხეობაში მომხდარი ინციდენტიც კი ადვილი შესაძლებელია რუსეთის გენ-შტაბისა და დუმის კულუარებში იღებდეს სათავეს. მაგრამ აქაც შეიძლება დამაიმედებელი ძვრები დავინახოთ: პრეზიდენტი პუტინი ნელ-ნელა აძლიერებს თავის პოზიციებს დუმაში; საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ დუმაში სტუმრობისას ერთგვარი სიმპატია გამოიწვია, რამაც შესაძლოა საქართველოსთან მიმართებაში მერყევი პოზიციის მქონე დეპუტატებზე ჩვენთვის სასიკეთო გავლენა მოახდინოს. მიუხედავად ამ რეალობებისა სამწუხაროდ ნაკლებად სავარაუდოა, რომ უახლოეს მომავალში დუმაში ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალოს.

XI

2002 წლის მარტში 10 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ედუარდ შევარდნაძემ ქვეყნის მართვის სადავეები გადაიბარა. თუ ზემოდ აღნიშნული მოვლენები საქართველოს საგარეო პოლიტიკაში ერთგვარ წარმატებებზე მეტყველებს, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ქვეყნის შიგნით არსებული

ეროვნული ბიბლიოთეკა



მდგომარეობა: ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოს საგარეო დავალიანება 2,5 მლრდ დოლარამდე გაიზარდა, მიუხედავათ ამისა ცხოვრების დონე დაეცა, მოსახლეობა გაღატაკებულია (ხელფასები 40 ხოლო პენსიები 15 ლარს შეადგენს); არნახულ მასშტაბებს აღწევს კორუფცია; ქვეყნის ტერიტორიის 1/4-ს, სადაც სხვადასხვა ჯურის შეიარაღებული ფორმირებები თარეშობენ, ვერ აკონტროლებს საქართველოს ხელისუფლება. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ავღნიშნოთ, რომ ე. შევარდნაძემ 10 წლის წინ უმძიმესი მემკვიდრეობა ჩაიბარა.

და მაინც ძალების არსებული გადანაწილების საფუძველზე 74 წლის ე. შევარდნაძეს გააჩნია რეალური შანსები მისი პრეზიდენტობის დარჩენილ სამ წელიწადში მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს საშინაო პოლიტიკური ვითარება. საგულისხმოა, რომ ბოლო მოვლენების ფონზე მისი რეიტინგი მოსახლეობაში საგრძნობლად გაიზარდა.

XII.

დღესდღეისობით ქვეყნის განვითარების ყველაზე უფრო ხელშემშლელი ფაქტორი – კორუფციაა, რომელიც სახელმწიფოს მართვის ყოველ ბერკეტს მარწუხებითაა ჩაჭიდებული და ქვეყანას ქვესკნელისაკენ მიექაჩება. სწორედ ეს მიზეზია, რაც დასავლეთს საქართველოსადმი ნდობას ურყევს, ამ საბაბითვე შეამცირა მსოფლიო ბანკმა ჩვენი ქვეყნისადმი ფინანსური დახმარება 20%-ით.

კორუფცია, უმუშევრობა და მძიმე სოციალური პირობები აიძულებს ქართველებს მიატოვონ სამშობლო და ბედი მის საზღვრებს გარეთ ეძებონ. 2002 წლის ინვრის მოსახლეობის აღწერის წინასწარი მონაცემების საფუძველზე საქართველო 1 მილიონზე მეტმა ადამიანმა დასტოვა. საყურასაღებოა, რომ 1998 წლიდან მათი უმრავლესობა ქართველი ახალგაზრდობაა, რაც ახლო მომავალში ქვეყნის დემოგრაფიულ ფონს მნიშვნელოვნად გააუარესებს.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებად შეიძლება ჩაითვალოს შევარდნაძის გადაწყვეტილება მექრთამეობისათვის სასჯელის გამკაცრების შესახებ. იგივეზე მეტყველებს მისი ულტიმატუმი მთავრობის დათხოვნის მუქარით, თუ ყოველი მინისტრი არ მოახდენს ძალების სრულ კონცენტრაციას კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაზე. დღის წესრიგში დაისვა აგრეთვე საგადასახადო კოდექსის რეფორმა (ინიციატორი – გოგი თოფაძე, ფრაქცია „მრეწველები“), რომელიც კორუფციის შემცირებას, გადასახადის გადამხდელთა კულტურის ამაღლების (და ამ გზით ქვეყნის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გაზრდას), ამასთანავე გადასახადების შემცირებასა და საგადასახადო სისტემის გამარტივებას ითვალისწინებს.

ძალზედ მნიშვნელოვანია გადასახადის გადამხდელთა კულტურის (თვითშეგნების) ამაღლება, რომელმაც კომუნისტური მმართველობის პერიოდში დეგრადაცია განიცადა. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანოთ მაგალითი: ფირმა „მაკდონალდს“-ის ორმა რესტორანმა საქართველოს 2001 წლის ბიუჯეტში 1..215.506 ლარი შეიტანა, ხოლო თბილისის დანარჩენმა 104-მა რესტორანმა კი 46.384 ლარი. კომენტარი თქვენთვის მომინდია...

XIII

მდგომარეობას მოქ-კავშირის გახლეჩაც ამძიმებს, რომელიც ფაქტიურად ოპოზიციურ პარტიად გადაიქცა. მისი მმართველობა – ზურაბ ჟვანიას, მიხეილ მაჭავარიანის, დავით ტყეშელაშვილისა და ედვარდ სურმანიძის სახით ოპოზიციაში გადავიდა. მათივე ბედი გაიზიარა პარტიაში მოქმედმა 72 სამხარეო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციიდან 46-მა. პრეზიდენტის ერთგულ ნაწილს ქვემო ქართლის გუბერნატორი – ლევან მამალაძე ჩაუდგა სათავეში. შეგახსენებთ, რომ პარტიის – ყოფილი თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი 2001 წლის ბოლოს გამოვიდა პარტიის რიგებიდან და ზეპარტიული ორგანიზაცია – „ნაციონალური მოძრაობა“ ჩამოაყალიბა, რომელშიც სხვადასხვა პარტიები გაწევრიანდნენ.

საინტერესოა, რომ პრეზიდენტი რჩება იმ პარტიის წევრად, რომელიც პრაქტიკულად ოპოზიციურია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIV.

თუ ბოლო ნახევარი წლის მოვლენებს თვალს გადავავლებთ საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზზე შემდეგი სურათი იხატება: ა.შ.შ-სა და ევროკავშირის ფაქტორების გაძლიერება, რუსეთის პოლიტიკის ერთგვარი შერბილება, კორუფციასთან ბრძოლის დაწყება, საგადასახადო სისტემის დახვეწა, ეროვნული არმიისა და სამართალდამცავი სტრუქტურების რეორგანიზაცია. ყოველივე ეს და რაც მთავარია, პოლიტიკური სპეკულაციებით გადაღლილი ქართველი ერის ლტოლვა სამართლიანობისა და თავისუფლებისაკენ ქვეყნის მომავალი განვითარებისათვის კარგ წინაპირობას ქმნის.

ერთი სიტყვით, პოლიტიკური ქარაგმები გახსნილია, ვნახოთ როგორ განხორციელდება პოლიტიკური წიაღსვლები...

ზაზა მესხი

მიუნხენი, 2002 წლის 15 აპრილი

## აშშ – მსოფლიო ჟანდარმი?

I.

რუდოლფ აუგშტაინი, დიდი გერმანული ყოველკვირეული ჟურნალის – „დერ შპიგელის" – გამომცემელი და საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული კომენტატორი, ურეზერვოდ უწოდებს აშშ-ს „მსოფლიო ჟანდარმს" და სხვათაშორის წერს:

II

შეერთებულ შტატებს და მის პრეზიდენტს შეუძლიათ დღეს იმოქმედონ როგორც მათ სურთ. ვის შეუძლია მათ წინააღმდეგ გაილაშქრონ? აშშ-ს სურს მსოფლიო ბატონობა, გვაფრთხილებს ინგლისელი ისტორიკოსი ერიკ ჰობსბოუენი. ეს მართლაც ჭეშმარიტებაა. როგორ შეუძლია ადამიანს ილაპარაკოს ბოროტების კვანძზე როცა ამ ღერძს ერთდროულად ირანი და ერაყი ეკუთვნის და ობიექტურად არსებობს საერთოდ ბოროტი? რაც ავგუსტინესა და თომას აქვინელის თანახმად მდგომარეობის შესაბამისად უნდა იქნას განსაზღვრული".

„როცა გვანტანამოს ტყვეთა ბანაკში. კუბაში, ყარაულმა ტყვეს თვითგაკეთებული ტურბანი ჩამოგლიჯა თავიდან, თითქოს უშიშროების მიზეზით, ისლამისტი ტყვეები 20 წუთის განმავლობაში გაჰყვიროდნენ „ალაჰუ აკბარ" სურს ბუშს მართლა ჯვაროსნული ომი?"

„ამერიკა არღვევს ხელშეკრულებებს, იყენებს სადავო შეიარაღებას და ამავე დროს ამბობს, რომ იბრძვის სამართლიანობისა და წესრიგისათვის."

III.

რუდოლფ აუგშტაინის აღნიშნულ აზრს უერთდებიან რალფ ბესტე, ჰანს ჰოინგი და ზიგმუნდ ფონ ილზემანი, რომელთაც მოჰყავთ ინგლისელი სამხედრო საქმის მეცნიერის – პაულ როჯერსის – აზრი, რომ ამერიკას გადაწყვეტილი აქვს, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენოს „ატომური დარტყმა პრევენტიულადაც კი".

IV.

„ამასწინათ აშშ-ს ბუნებრივი რესურსების დაცვის საბჭომ კომპუტერით გამოიანგარიშა რამდენი ატომური ბომბია საჭირო საერთაშორისო მასშტაბით: რუსეთის განადგურებისათვის – 51 ატომური ბომბი; ჩინეთისათვის, მოსახლეობის სიმრავლის გამო, 368 ატომური ბომბი; 124 ატომური ბომბით შეიძლება მთელი აშშ-ს განადგურება და 300 ატომბომბით ნატოს ყველა ქვეყნებისა."

V.

ერიკ ჰობსბოემის აზრით, აშშ-ს სურს არა მარტო მსოფლიო ნედლი მასალა, „არამედ მას უნდა კიდევ მეტი. აშშ-ს სურს მსოფლიო ბატონობა... მას სურთ მსოფლიო ბატონობა ტექნიკის მეშვეობით და მინიმალური ზეგავლენით ცხოვრებაზე ამერიკაში; და ეს შეუძლებელია... ეს არის პროფესიული ავადმყოფობა ზესახელმწიფოსა. ამერიკელებმა უნდა შეიგნონ, რომ მათი ძალის საზღვარი არსებობს, რაც მე-19 საუკუნეში ბრიტანეთმა შეიგნო, რომ მას არ შეეძლო მთელი მსოფლიოს კონტროლი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI.

„შეერთებული შტატები წარმოადგენს, - ამბობს ერიკ ჰობსბოუმი, - რევოლუციურ ქვეყანას და ამიტომ სურს მას, რომ დანარჩენი მსოფლიო ისეთი იყოს როგორც თვითონაა. ამავე დროს ამერიკული სისტემა არის მეტად სპეციფიური და ექსპორტის უუნარო... სახელმწიფო ძალაუფლების დანაწილება იწვევს კურიოზულ შედეგებს, რის შედეგად პოლიტიკას არავინ არ აწარმოებს. პოლიტიკა თვითშემოქმედია... მიუხედავად ამისა ამერიკა არის მრავალმხრივ მე-20 საუკუნის საუკეთესო ქვეყანა. ამერიკელებმა შექმნეს ყველაზე უფრო ეფექტური და ძლიერი სახალხო მეურნეობა მთელს მსოფლიოში და მოსახლეობის მასობრივი კეთილდღეობა. შეიძლება აშშ-ს ყველაზე უფრო პოზიტიური ასპექტი არის, რაც რწმენას უნერგავს ადამიანებს, რომ მათ შეუძლიათ ის გააკეთონ, რაც მათ სურთ. ამან შთაუნერგა მათ თვითრწმენა და არასოდეს არ ჩაუკეტავს კარები იმიგრანტებისათვის."

VII.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული ფაქტების ჯუნგლებიდან ადვილი არ არის გზის გაკვლევა, რაც, ალბათ, ამერიკის კრიტიკოსებში იწვევს სხვადასხვაობას, რომლის ყველაზე უფრო რადიკალური დასკვნაა აშშ „მსოფლიო ჟანდარმი", რაც გვიბიძგებს უფრო ღრმად ჩავუფიქრდეთ ამერიკის 1776 წლის 4 ივლისისა და, ამავე დროს, საფრანგეთის 1789 წლის 14 ივლისის მსოფლიო, კაცობრიობის მნიშვნელობის რევოლუციების მონაპოვარს, რაზედაც აღმოცენდა რენესანსის შემდგომი საერთაშორისო არა მარტო პოლიტიკური კულტურა, რომლის ცენტრში მოექცა „hepinness" – „ბედნიერება" ადამიანისა (აშშ – ს კონსტიტუცია) და „თავისუფლება – თანასწორობა – ძმობის" ჰუმანიტარული იდეა, რითაც ადამიანი გახდა თავისუფლების საზომი.

VIII.

და აქ ჩვენ, ქართველობა, ქართველი ერი ვაპოხიერებთ 4 ივლისის და 14 ივლისის საკაცობრიო ჰუმანიტარულ იდეებს იმ ფაქტით, რომ ჩვენი „მესამე დასელები" კოლონიური ბატონობისაგან განთავისუფლებას (1776 წლის 4 ივლისი) და თავისუფლება – თანასწორობა – ძმობას უკავშირებთ ერის თავისუფლებას, რადგან პიროვნება, ადამიანი არ შეიძლება იყოს თავისუფალი თუ ის ერი, რომლის შვილი ის არის, არ არის თავის-უფალი. აქედან „მესამედასელთა" საერთაშორისო მნიშვნელობის ლოზუნგი:

> *„ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა" („მესამე დასი" 1893 წლის 7 თებერვალი")*

IX.

და ამ დიადი, ჰუმანიტარული იდეის თეორიული და პრაქტიკული წყარო გახდა ამერიკის შეერთებული შტატები, როცა 1776 წლის 4 ივლისის თავი გაითავისუფლა უცხო დამპყრობლებისაგან. ამდენად, ულოგიკოთ გვესახება აღნიშნული და სხვა მრავალი ავტორ-კომენტატორის აზრები, როცა აშშ-ს ადარებენ ბრიტანეთის თუ რომის იმპერიას.

X.

აშშ, ჩვენი აზრით, „მსოფლიო ჟანდარმი" კი არ არის, როგორც ამას რადიკალურად რუდოლფ აუგშტაინი ამბობს, არამედ „ჰეპინეს" – „ბედნიერების" (აშშ კონსტიტუცია) და „თავისუფლება – თანასწორობა – ძმობის" მთესველი საერთაშორისო მაშტაბით, რითაც აშშ-ს მოქმედება, სამხედრო ძალითაც კი, შეიძლება შედარებულ იქნას არა ბრიტანეთის თუ რომის იმპერიულ მოქმედებასთან, არამედ ნაპოლეონ ბონაპარტის მოქმედებასთან, რომელმაც „თავიუფლება – თანასწორობა – ძმობის" ჰუმანიტარული იდეები ისე ჩანერგა ევროპის ხალხებში, რომ ნაპოლეონის დამარცხების შემდეგაც, ევროპის კონსერვატორებმა ვერ შეაჩერეს 4 ივლისისა და 14 ივლისის მონაპოვართა მეტ-ნაკლები გაფურჩქვნა, რამაც ჩვენ, ქართველობას, საქართველოს მოგვცა 26 მაისი, რომელშიც გამომჟღავნდა ერთდროულად ერისა და პიროვნების თავისუფლება სოციალური სამართლიანობის განზომილებით.

XI.

„წმინდა კაპიტალიზმი", რომლის სამყაროდ ბევრი აშშ-ს თვლის, (მიუხედავად მანკიერებისა) მაინც სამაგალითოა საერთაშორისო მასშტაბითაც, რადგან იგი დემოკრატიას და სახელმწიფო ძალაუფლების სამ სვეტს – ხალხისაგან არჩეულ მთავრობას, პარლამენტს და მართლმსაჯულებას – ეყრდნობა, რის შედეგად აშშ-შ პრეზიდენტის მიერ განუკითხავი მოქმედება გამორიცხულია, რასაც ამ დემოკრატული ქვეყნის ორ საუკუნეზე მეტი სახელმწიფოებრივი ისტორია ადასტურებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XII.

და კიდევ ერთი განსაკუთრებულება აშშ-ს დემოკრატიისა: ყველა ყოფილი იმპერიები – ბრიტანეთის, საფრანგეთის, ესპანეთის თუ რუსეთის, თვით რომის იმპერიის ჩათვლით, აღიგავენ მიწისაგან პირისა, თუმცა რუსეთი ისევ ცდილობს დამყაყებული იმპერიული უხეში ძალით, ჩვენს პატარა საქართველოს დაქუცმაცება დაპყრობას. და ვინ გამოდის ჩვენი და ამით ყველა დაჩაგრული პატარა ერების დამცველის როლში? – ამერიკის შეერთებული შტატები, რომელმაც ძმური ხელი გამოგვიწოდა სწორედ ახლა, როცა ეს სტრიქონები იწერება, არა მარტო საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ მოქმედებაში, არამედ ამასთანავე პატარა საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის დაცვის საქმეში.

XIII.

რა თქმა უნდა, არა მარტო ამ შემთხვევაში საქართველოს, ქართველი ერისა და აშშ-ს ინტერესები იდენტიურია, რაც ქმნის მოქმედების ურყევ ბაზას. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ აშშ იდგა, დგას და დაიცავს 4 ივლისისაგან გამომდინარე, 14 ივლისის იდეალებს – რამდენადაც ეს შესაძლებელია თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ პირობებში.

XIV.

ამდენად, ანაქრონიზმი არ არის, ეწოდოს ამერიკის შეერთებულ შტატებს „მსოფლიო ჟანდარმი?..“

კარლო ინასარიძე
პარიზი, 2002 წლის 21 მარტი

## ქართველი ერის დიდი მეგობარი

### <u>ჰანს-დიტრიხ გენშერის დაბადების 75 წლისთავი</u>

I.

ჰანს-დიტრიხ გენშერს, გერმანიის ყოფილ საგარეო საქმეთ მინისტრს, შეუსრულდა 75 წელი დაბადებიდან, რაც საზეიმო ვითარებში აღნიშნა გერმანიის საზოგადოებამ, რომლის ცენტრში მოექცა გერმანიის ტელევიზიის პირველი არხის სპეციალური გადაცემა, რომლის დროს იუბილარის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ სიტყვები წარმოთქვეს, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა – ჰენრი კისინჯერმა და გერმანიის დღევანდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა იოშკა ფიშერმა.

II.

ჰანს-დიტრიხ გენშერი დაიბადა 1927 წელის 21 მარტს ქალაქ ჰალეში, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შედეგად შექმნილ „გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში“ მოექცა; იქ არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს გენშერი ვერ შეეგუა, რის შედეგადაც გადავიდა დასავლეთ გერმანიაში, ე.ი. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სადაც იგი გახდა გერმანიის ლიბერალური პარტის წევრი, შემდეგ გერმანიის ბუნდეტაგის დეპუტატი, 1969-74 წლებში იგი იყო შინაგან საქმეთა მინისტრი, 1974 წლიდან კი გერმანიის საგარეო საქმეთ მინისტრი, რომლის დროს მან გამოიჩინა ისეთი დიპლომატიური მოქნილობა, რომ ხელი შეუწყო გერმანიის გაერთიანებას და ამით გერმანიის დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს დამკვიდრებას საერთაშორისო მაშტაბით.

III.

ამ დროს საფუძველი ჩაეყარა ჰანს-დიტრიხ გენშერისა და სსრკ-ს იმდროინდელ საგარეო საქმეთა მინისტრის – ედუარდ შევარდნაძის – მეგობრობას, რაც დღესაც გრძელდება, თუმცა გენშერი გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი არ არის, ხოლო ედუარდ შევარდნაძე ჩვენი „პატარა“ საქართველოს პრეზიდენტია. როცა 1992 წლის თებერვალში წამოიჭრა ედუარდ შევარდნაძის საქართველოში დაბრუნების საკითხი, გენშერმა – უკვე გაერთიანებული გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა და ვიცე კანცლერმა მას უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV.

„ყოველი პოლიტიკოსის ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც იგი სამშობლოს მოწოდება უნდა გამოეხმაუროს. თუკი მიიღებთ აშკარა სიგნალს, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა გადაგიწყვეტიათ, მაშინ სამშობლოში ცარიელი ხელებით არ გაგიშვებთ“.

V.

„თვენახევრის შემდეგ კი გენშერი საქართველოში ჩამოვიდა.. ჩამოიყვანა ელჩი, გახსნა თავისი ქვეყნის საელჩო საქართველოში და იქვე განაცხადა, რომ ჩამოიტანა გრძელვადიანი კრედიტი... გენშერის ჩამოსვლით იზოლაცია გავარღვიეთ. საქართველო მიიღეს ეუთოში, გაეროში და თითქმის ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში. სწორედ გენშერი იყო პირველი უცხოელი პოლიტიკოსი, რომელიც ქაოსსა და ნგრევის პირობებში ჩამოვიდა საქართველოში... ჩამოიტანა იმედი, თანადგომის პირობა და მისი ფაქტობრივი გამოხატულებაც – იმდროინდელი საქართველოს რეალობისათვის უჩვეულო ფინანსური დახმარება – 70 მლნ. ეკიუ ევროკავშირიდან“.

VI.

აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ ქართველთა ლტოლვა დასავლეთისაკენ ელინისტური ეპოქის წინა ათასწლეულიდანაც კი მომდინარეობს თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ჰომეროსიც კი აღწერს „აია“-კოლხეთს, მეფე აიეტისა და მედეას სამშობლოს, რაც „არგონავტების თქმულებითაა“ ცნობილი; და ელინიზმის მემკვიდრე ხომ თანამედროვე ევროპაა, რომლის შემადგენელი ნაწილი იყო და დარჩა კოლხეთ-იბერია-საქართველო, რომელმაც თანამედროვე სახე მაშინ მიიღო, როცა 1918 წლის 26 მაისს საქართველო ისევ გახდა დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, რომლის შექმნა-განმტკიცებაში მაშინდელმა კაიზერის გერმანიამ დიდი როლი ითამაშა, როგორც აწ უკვე დემოკრატიულმა გერმანიამ ჰანს-დიტრიხ გენშერის მეგობრული ხელის გამოწოდებით. ამის შედეგია ის, რომ გენშერი აღფრთოვანებული ამბობს:

VII.

„სურვილი მაქვს სათითაოდ ყველა ქართველთან მივიდე, მივესალმო და ვუთხრა: სწორედ ქართველი იყო ის, ვინც გერმანია გააერთიანა და ამას გერმანელი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს“. და სხვათა შორის დასძენს: „ვამაყობ, რომ ედუარდ შევარდნაძეს ჩემი მეგობარი შემიძლია ვუწოდო“.

VIII.

რა თქმა უნდა, ამგვარი აღფრთოვანება გენშერ-შევარდნაძის მეგობრობით ადამიანური მშვენებაა, თუმცა გერმანიისა და ევროპის გაერთიანებაში მთავარია არა ედუარდ შევარდნაძის, არამედ სსრკ-ს პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის ღვაწლი. მაგრამ ეს ფაქტი სრულიადაც არ ამცირებს გენშერ-შევარდნაძის დამსახურებასაც გერმანიის გაერთიანებაში და საერთოდ, „ცივი ომის“ გადალახვაში, რასაც მოჰყვა საქართველოში 26 მაისის დიადი იდეის ისევ გაბატონება.

IX.

ამდენად ქართველი ერის, საქართველოს დიდ მეგობარს ჰანს-დიტრიხ გენშერს ვულოცავთ დაბადების 75 წლისთავს, ვუსურვებთ დღეგრძელ ცხოვრებასა და წარმატებებს მის პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მრავალჟამიერ!..

კარლო ინასარიძე
მიუნხენი, 2002 წლის 21 მარტი

## ვითომ შიდა ქართლი რუსეთია?..

კარგად გვახსოვს 90-იანი წლების დასაწყისი, როცა დიდმპყრობელ-შოვინისტებმა შიდა ქართლში და აფხაზეთში, ამ საქართველოს ძირძველ მიწაზე მცხოვრები თითო-ოროლა ოსი და აფხაზი ექსტრემისტის ნიღბით, გააჩაღეს „ომი“ საქართველოს, ქართველთა წინააღმდეგ, რასაც ათასობით ქართველი შეეწირა და რასაც მოყვა 300 ათასზე მეტი ქართველობის განდევნა საქართველოს ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერიტორიიდან, რისი სუსხიც დღესაც იგრძნობა, თუ გნებავთ, ჩვენ დედაქალაქში – თბილისში, სადაც ცნობილი სასტუმრო „ივერია“ ლტოლვილთა ბანაკადაა გადაქცეული!..

ამჯერად ამ შემაძრწუნებელ ფაქტს იმიტომ ვიგონებ, რომ ახლა, 2002 წლის 18 იანვარს, მიუნხენის (გერმანია) "კრონეს ცირკის" ატრაქციონმა, წარმოდგენამ მომაგონა შიდა ქართლის აღნიშნული ავბედობა!.. ცირკი საერთოდ გართობის ადგილია და ვერ წარმომედგინა, რომ რუსეთის დროშა აქ აფრიალდებოდა, და იცით ვისგან? – „სამხრეთ ოსეთის“ ცირკის არტისტებისაგან, რომლებიც მართლაც ოსტატურად ასრულებენ ქართულ „ხანჯლურ ცეკვას“ თუ ცხენოსნობას, მაგრამ არენაზე ააფრიალეს არა ქართული, საქართველოს სამფეროვანი დროშა!.. რა თქმა უნდა ცირკის გერმანელმა მაყურებლებმა ვერ გაიგეს და არც იციან თუ სად არის შიდა ქართლი და რატომ უწოდეს მას ბოლშევიკებმა „სამხრეთ ოსეთის ოლქი“, როცა 1921 წლის თებერვალ-მარტში დაიპყრეს დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველო, - მაგრამ, როგორც ჩანს, პოსტბოლშევიკური რუსეთის ცირკის მესვეურებისათვის მთავარია რუსეთის დროშა ფრიალებდეს ცირკშიც კი!..

გასაკვირია მხოლოდ ამ თითო-ოროლა (თუ მეტი?) ოსების მოქმედება-არმოქმედება, როცა კარგად იციან, რომ ო ს ე თ ი მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიაშია და არა შიდა ქართლში და მაინც ცდილობენ ჩვენი შიდა ქართლი, საქართველოს გული, „სამხრეთ ოსეთად“ ასახონ უცხოეთშიც. ეს კი კიდევ უფრო გასაკვირი, შემაძრწუნებელია დიდმპყრობელ-შოვინისტების გენოციდის, დიახ, გენოციდის პირობებში, რომელიც მათ ჩაიდინეს სწორედ ქართველი ერის წინააღმდეგ აფხაზეთსა და შიდა ქართლში, თითო-ოროლა აფხაზი და ოსი ექსტრემისტის ნიღბით. და ჩვენნეთი?.. ნუთუ ეს „სამხრეთ ოსები“ და მისთანანი არ უფიქრდებიან იმ ფაქტს, რომ იმ ხეს ჭრიან, რომელზედაც თვითონ ზიან, როცა საქართველოს გარდაუვალი ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებენ?.. მეფის რუსეთმა და ბოლსევიკურმა რუსეთმა ოსები ოსეთში უკვე ჩაყლაპა, გაანადგურა, სადაც რუსული ენა ბატონობს... და ახლა რუსეთს ემსახურებიან, რომ შიდა ქართლი გარუსდეს?.. ნუთუ რუსეთმა დაუკარგა ოსებს და მისთანანებს ეროვნული აზროვნების უნარი?..

კარლო ინასარიძე

მიუნხენი, 2002 წლის 18 იანვარი

## ჩვენი განმარტება

### საქართველოს ელჩის ბატონ კოტე გაბაშვილის ინტერვიუს გამო

I.

„...ჩემთვის ყველაზე დიდი დარტყმა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში იძულებითი შესვლა იყო. ამიტომ გადავწყვიტე თბილისის მერობიდან წასვლა... ბატონმა ედუარდმა მაშინვე შემომთავაზა – გერმანიაში ელჩი გვესაჭიროებაო. 2-3 წუთი ვიფიქრე და ვუთხარი, - გერმანული ენა არ ვიცი მეთქი. ისწავლიო / მე ვიყავი დასავლეთში დანიშნული პირველი ელჩი /. ...1994 წლის თებერვალში გერმანიის პრეზიდენტს ფონ ვაიცზეკერს რწმუნებათა სიგელი გადავეცი. ეს ამაღელვებელი მომენტი იყო... თავდაპირველად ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდით. ინფორმაციებს ავტომატიდან ვაწვდიდით პრეზიდენტს. მერე მოვახერხეთ საელჩოსთვის შენობის დაქირავება. ამჟამად ბერლინში ჩვენი ტერიტორია და 3 სართულიანი, გაკრიალებული შენობა გვაქვს.“

„დღეს საქართველო ნელ-ნელა ბრუნდება თავის ოჯახში – ევროპაში. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში პირველად დადგა დრო, როცა სულხან-საბას ოცნება ასე ახლოსაა რეალობასთან. დასავლეთი ბევრს გააკეთებს ჩვენთვის, მაგრამ ჩვენ თავად არ უნდა ჩავუვარდეთ რუსეთს ხახაში.“

„1992 – 1995 წლებში პარლამენტში, რომლის წევრიც გახლდით, 26 პარტია იყო და პოლიტიკური სპექტრიც ჩამოუყალიბებელი გახლდათ. დღეს ყველა პატარა ოპოზიციური პარტია მმართველ პარტიას ედავება; ეს არის კიდევ პოლიტიკური ბრძოლის სახე. ჩემთვის მნიშვნელოვანია პოლიტიკური ხაზი, რომელიც გამიჯნავს პარტიებს იმის მიხედვით, ვის მიყავს ქვეყანა დასავლეთისაკენ და ვის უკან – რუსეთისაკენ... ჩემთვის ყველაზე მისაღები ცენტრისტული პარტია

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებოდა. ყველაზე მისაღები ორიენტაცია კი – დემოკრატიული ლიბერალიზმი. „/“ კვირის პალიტრა“, 16-22 აპრილი. 2001 /. ბატონი კოტე გაბაშვილი, საქართველოს ელჩი გარმანიაში.

II.

<u>და, აი, აქ ჩვენი განმარტება</u>: საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, 1818–1921 წლებში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი იყო გერმანიაში ბატონი ლადო ახმეტელი, რომელმაც თავისი მოღვაწეობა დაამთავრა მას შემდეგ, როცა რუსეთმა 1921 წლის 11 თებერვლიდან 17 მარტამდე დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო და იგი რუსეთის თავისებურ კოლონიად აქცია. ამგვარად, ბატონი ლადო ახმეტელი / არ აურიოთ პროფესორ მიხეილ ახმეტელთან, რომელიც იყო „აღმოსავლეთ ევროპის ინსტიტუტის დირექტორი“ ნაციზმის დროს, ინსტიტუტისა, რომელიც რჩევა – დარიგებას აძლევდა, მეორე მსოფლიო ომის დროს, „ფიურერის მთავარ სადგომს“ ანუ „ ფიურერ-ჰაუპტ-კვარტიერს“ / იყო დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ელჩი გერმანიაში 1918 - 1921 წლებში.

III.

შენიშვნა მეორე: მისასალმებელია, რომ „დღეს საქართველო ნელ-ნელა ბრუნდება თავის ოჯახში – ევროპაში“, – როგორც ამას ამბობს ბატონი კოტე გაბაშვილი. მაგრამ საქართველოს ევროპაში დაბრუნება არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ რუსეთს, რომელიც აგრეთვე, სულ ცოტა, „აღმოსავლეთ ევროპული“ სახელმწიფოა, ზურგი შევაქციოთ!... „...ასეთი შეხედულება არასწორმჭვრეტყველურია“, – ამბობს უილიამ კორტნი, აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის ბილ კლინტონის სპეციალური თამაშემწე, „განვითარებადი კავკასია, რომელიც არ მოექცევა არც ერთი ზესახელმწიფოს გავლენის სფეროში, ყველას ინტერესებში შედის. ეს სავსებით რეალური პერსპექტივაა... ამის დასტურია ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის /სატრანსპორტო მაგისტრალი შავი ზღვიდან ჩინეთამდე/ სწრაფი განვითარებაც. პროგრესი შეიმჩნევა აღმოსავლეთ – დასავლეთის სატრანსპორტო დერეფნის /მასში შედიან ნავთობსადენებიც / ჩამოყალიბებაში“. / ნიუ – იორკი, 18.5.1998 წ. /.

IV.

შენიშვნა მესამე: ამდენად, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში პირველად დადგა დრო – 1918-1921 წლებში, – როცა ხორცი შეესხა, თუ გნებავთ, სულხან – საბას ოცნებას ისევ დავმკვიდრებოდით ევროპაში; და ახლა მეორედ ისევ ვმკვიდრდებით დასავლეთ ევროპაში, ევროპის ცენტრში – ბერლინში.

V.

და ეს არის, ჩვენი აზრით, საქართველოსათვის ყველაზე უფრო მისაღები პოლიტიკური ორიენტაცია, რომელიც ამასთანავე საქართველოს სახელმწიფოს დოპლომატიურ ორიენტაციისაგან გამომდინარეობს ე. წ „გეორგიევსკის ტრაქტატის“ დადების წინაპერიოდიდან დაწყებული.

კარლო ინასარიძე
ლევილი, 2002 წლის თებერვალი

## სანაიას მკვლელობა გაიხსნა, ეჭვები კი გაღრმავდა

2001 წლის 26 სექტემბერს დილის 6 საათზე გაურკვეველ ვითარებეში საკუთარ ბინაში მოკლული იქნა ტელეარხი „რუსთავი 2“-ის უპოპულარესი ჟურნალისტი გიორგი სანაია. გასროლა მოხდა ბგერდამხშობი იარაღით უკნიდან კეფის არეში, რასაც მსხვერპლის დაუყონებელი სიკვდილი მოჰყვა. როგორც შემდეგ გაირკვა მკვლელმა ბინაში სანაიას გასაღებით შეაღწია, რომელიც მან რამდენიმე დღის წინ დაკარგა. ყველაფერი პროფესიონალი მკვლელის ხელწერაზე მიგვანიშნებს.

ამ მკვლელობას მასობრივი საპროტესტო აქციები მოყვა, რომელშიც განსაკუთრებულ აქტიურობას ჟურნალისტები იჩენდნენ. მასმედია ამ მოვლენას განიხილავდა, როგორც დარტყმას თავისუფალი პრესის წინაშე. ამ მოტივით შევარნაძემ სოჭის დსთ-ს ქვეყნების ლიდერების შეხვედრაზე წასვლაზეც კი უარი განაცხადა. მისივე თხოვნით გამოძიებაში ჩაერთვნენ ამერიკის FBI-ს სპეციალური აგენტებიც.



6 დეკემბერს საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ და შინაგან საქმეთა მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა საგანგებო პრესკონფერენცია მოიწვიეს, რომელზეც გააკეთეს განცხადება გიორგი სანაია მკვლე-ლობის გახსნის შესახებ. როგორც გაირკვა 5 დეკემბერს უშუალოდ შინაგან საქმეთა მინისტრის ხელმძღვანელობით დააკავეს, თბილისში, ყაზბეგის გამზირზე მცხოვრები, შენაგან საქმეთა ორგანოების ყოფილი თანამშრომელი გრიგოლ ხურცილავა. გამოძიება დანაშაულის კვალზე სანაიას მკვლელობაში გამოყენებულმა ხურცილავას ტაბე-ლურმა იარალმა დააყენა.

მაგრამ საზოგადოების ეჭვებს იწვევენ შემდეგი გარემოებები:

- პარლამენტმა ორიოდე კვირის წინ აირჩა შინაგან საქმეთა მინისტრი და გენერალური პროკურორი. ორივე შეჰპირდა საზოგადოებას, რომ რაც შეიძლება სწრაფად გახსნიდნენ სანაიას მკვლელობას, რომელიც ხუთი თვის განმავლობაში ძიებაში იყო. ამასთან შინაგან საქმეთა მინისტრმა ინტერვიუში ახსენა, რომ მკვლელობაში ეჭვმიტანილის სახელი მან ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ იცოდა. იბადება კითხვა, რატომ მაშინვე არ მოხვდა მისი წინასწარ პატიმრობაში აყვანა? ან რამდენად დამაჯერებელია ის, რომ მათ მკვლელობა თანამდებობაზე მოსვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ გახსნეს?
- მეთვალყურეობის ქვეშ მყოფმა ხურცილავამ გამომძიებლები თვითონ მიიყვანა მკვლელობის იარაღთან და ბინის გასაღებთან, რომელიც დაკარგულად ითვლებოდა. რატომ ვერ მოახერხა „პროფესიონალმა მკვლელმა" ხუთი თვის განმავლობაში იარაღის თავიდან მოშორება? ან რატომ არ მიიმალა, როცა მთელი საზოგადოება ამ მკვლელობაზე საუბრობდა?
- მკვლელობის შესაძლო მოტივად დაკავებულის ფინანსური სირთულეები დასახელდა. ამ მოტივით რატომ ჰკლავს იგი ჟურნალისტს? ლოგიკით მსხვერპლი ბიზნესის სამყარო-დან უნდა ყოფილიყო.
- მკვლელობაში ეჭვმიტანილი მისმა მეზობლებმა და ყოფილმა თანამშრომლებმა დაახასიათეს როგორც მშვიდი, თავაზიანი და საიმედო პიროვნება. ამაზე მისი ბიოგრაფიაც მეტყველებს. არის ეს პროფესიონალი მკვლელის თვისებები?
- ეჭვის აღმძვრელია აგრეთვე ის ფაქტი, რომ გრიგოლ ხურცილავა შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი იყო ანუ სამართალდამცავი სტრუქტურები-სათვის არც თუ უცნობი პირი...

როგორც ვხედავთ ზემოთ თქმულიდან გამომდინარე იბადება შემდეგი კითხვა – არის კი ხურცილავა მკვლელი? ფაქტი კი ერთია სანაიას მკვლელობის საქმე დახურულია.

განხილული ფაქტებისა და მოვლენების ლოგიკური ანალიზი ცხადყოფს, რომ გახმაურებულ დანაშაულთა გახსნა საქართველოში პირდაპირპროპორციულად უკავშირდება სამართალ-დამცავ სტრუქტურებში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებს, ყოველ შემთხვევაში, გვაქვს საფუძველი ასე ვიფიქროთ.

ზაზა მესხი

ვარშავა, 2001 წლის 25 დეკემბერი

*

"9 აპრილი მართლაც დაუვიწყარია ჩვენი ხალხისათვის: იგი უნდა იქცეს მრისხანე გაკვეთილად იმათთვის, ვინც ამჟამად ცდილობს ერის გახლეჩას..."

ედუარდ შევარდნაძე, 8 აპრილის რადიოინტერვიუ

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ეკონომიკური საკითხები

## მსოფლიო ეკონომიკური გლობალიზაცია

I.

„ხალხისათვის ახალ ოპიუმს" უწოდებს საფრანგეთის გლეხთა პროფკავშირების სპიკერი – ჟოზე ბოვე – სახალხო მეურნეობის გლობალიზაციას მსოფლიო მასშტაბით, და გლობალიზაციის მომხრე, - მსოფლიოს უამრავ სახელმწიფოების ხალმძღვანელთა საწინააღმდეგოდ, -ამბობს:

„ბაზარი უნდა ემსახურებოდეს ადამიანებსდა არა პირიქით. სრული სიყალბეა, რომ ბაზარს შეუძლია თვითრეგულირება; ბაზარი, მისი არსით ქაოსური და არასტაბილურია. სიყალბეა თქვა, რომ კონკურენცია შექმნის სიმდიდრეს; ამისათვის ბაზრების მონაწილეები უთანაბროა; და ამის შედეგად მესამე სიყალბეა თქვა, შეუზღუდავი თავისუფალი ვაჭრობა არის ეკონომიკური განვითარების მოტორი. ვის შეუძლია აფრიკის მესაქონლეები დაარწმუნოს იმაში, რომ ევროპის გაერთიანების, სახელმწიფოსაგან სუფსიდირებული ხორცის ექსპორტი, არ გაანადგურებს ადგილობრივ მესაქონლეობას, როცა ბაჟები საზღვრებზე გაუქმდება?"

და ჟოზე ბოვემ დასძინა: „მე უარს ვამბობ ვილაპარაკო პროტექციონალიზმზე, როცა საქმე სოფლის მეურნეობას ეხება. ყოველ სუვერენულ სახელმწიფოს აქვს უფლება თვითონ გამოკვებოს თავისთავი. ამ ბაზაზე ჩამოყალიბდა 1958 წელს ევროპის ერთობა საერთო აგრარული პოლიტიკით. დღეს კი სამხრეთის სახელმწიფოები იძულებულნი არიან დაიცვან თავი იაფი იმპორტისაგან. გაეროს კვების მსოფლიო ორგანიზაციამ თავის უკანასკნელ ცნობაში თავი თავისუფალი ვაჭრობა აღიარა მესამე მსოფლიოში შიმშილობის ერთერთ უმთავრეს მიზეზად".

მაგრამ ბაზრის ლიბერალიზაცია მიდის კიდევ უფრო შორს: „ეს სცილდება ჯანმრთელობის, განათლების, კულტურის, გარემოს პრივატიზაციის საზღვრებს – ბაზარის ტოტალურ დიქტატურისაკენ", - დაასკვნის ჟოზე ბოვე.

II.

აშშ-ს პრეზიდენტმა – ჯორჯ ვ. ბუშმა, ინტერვიუში, რომელიც მან მისცა შვიდ ჟურნალისტს შვიდი ინდუსტრიული ქვეყნიდან, - გამოთქვა თავისი აზრი ეკონომიკური გლობალიზაციის თუ ეკონომიკურ საკითხებზე, რომლის დასაწყისში განაცხადა: „მე მსურს ინტერნაციონალურ არენაზე თანამგრძნობი კონსერვატიზმი გამოვიტანო", და განაგრძო:

„დღეს მე ვილაპარაკე მსოფლიო ბანკში ევროპაში თავისუფლების სახლის აშენებაზე. ამაში ვგულისხმობ იმას, რომ მე მსურს კარების გაღება, რომ თავისუფლება აღმოსავლეთისაკენ გავრცელდეს ნატოსა და ევროპის კავშირის მეშვეობით."

„ამ სტრატეგიას მე გავყვები რომ მათ, რომლებიც მდიდრებია უნდა აწარმოონ ისეთი პოლიტიკა, რომ სიმდიდრე სხვა ქვეყნებში გადიდდეს: დაბალი გადასახადებითა და ნაკლები რეგულირებით."

„მეორე:... დემონსტრანტებს... უფლება აქვთ თავიანთი აზრი მშვიდობიანად გამოთქვან. მაგრამ ისინი ზიანს აყენებს ღარიბ ქვეყნებს, როცა ისინი ვაჭრობის წინააღმდეგ მოქმედებენ. ისინი ზიანს აყენებენ განვითარებადი ქვეყნების განვითარებას... ჩვენი ერი და ჩვენი მეგობრები უნდა ჩაებან მუშაობაში, რომ განათლებას შეუწყოს ხელი და ავადმყოფობა განკურნოს, რომ განვითარებად ქვეყნებმა წარმატებებს მიაღწიონ."

პრეზიდენტ ბუში შეეხო აგრეთვე დოლარის კურსს საერთაშორისო ვაჭრობაში, და თქვა:

"დოლარის კურსს განსაზღვრავს ბაზარი, და ჩვენი მთავრობა ხელოვნურად არ ჩაერევა ამაში. მე მოუწოდებ სხვა ქვეყნებსაც გაიზიარონ ეს აზრი და ასევე მოიქცნენ. ძლიერ დოლარს, როგორც ჩანს, აქვს დადებითი და უარყოფითი მხარე ჩვენთვის. იგი უფრო აძნელებს ექსპორტს, მაგრამ გვეხმარება კაპიტალი მივიზიდოთ".

შეეხო რა აშშ-რუსეთის ურთიერთობას, პრეზიდენტ ბუშმა თქვა:

"პრეზიდენტმა პუტინმა და მე კონსტრუქციულად ვისაუბრეთ სლოვენიაში. მე ვუთხარი პრეზიდენტ პუტინს, რომ რუსეთი უკვე აღარ არის ჩვენი მტერი. ამიტომ ვფიქრობ მე, რომ ჩვენ ერთმანეთს ეჭვის თვალით არ უნდა ვუყურებდეთ".

"პუტინმა თავისი შეხედულება გამოთქვა აგრეთვე ჩვენს პრესის კონფერენციაზე სლოვენიაში. მან ილაპარაკა ნატოზე, რომელიც ერთ დროს რუსეთსაც შეიძლება მოიცავდეს. ამასობაში კი ნატოს გაფართოების პროცესი გრძელდება... ქვეყნებს, რომლებიც დემოკრატიის მიმართულებით წინ

მიიწევენ და მასზე გულმოდგინეთ მუშაობენ, ჩვენ უნდა შევეგებოთ. როცა რუსეთი დასავლეთისაკენ იხედება, ის ვერ ხედავს მტრებს; და ეს ასე დარჩება სანამ მე პრეზიდენტი ვარ", - დასძინა აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ვ. ბუშმა.

III.

ეკონომიკურ გლობალიზაციასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს, ჯერ კიდევ 1997 წლის 12 დეკემბერს ჟურნალ "ლე მონდ დიპლომატიკ-ში" გამოქვეყნებული იგნაციო რამონეს მოწინავე მიმართული ბაზრების, ფინანსური სპეკულაციის, გადასახადების ოაზების და, საერთოდ გლობალიზაციის წინააღმდეგ. საფინანსო ბაზრებმა, ბუმბერაზ კონცერნებმა, - მისი აზრით, - შექმნეს თავისებური მსოფლიო სახელმწიფო ყოველგვარი დემოკრატიული კონტროლის გარეშე და დასძინა: "თუ ადამიანს სურს აღკვეთოს, რომ 21-ე საუკუნე ჯუნგლებად გადაიქცეს, რომელშიც ბანდიტები ბატონობენ, მოქალაქის უპირველესი ვალდებულებაა საფინანსო ბაზრების განიარაღება". ამისათვის კი, - დაასკვნის იგნაციო რამონე, - უნდა შეიქმნას მთავრობებისაგან დამოუკიდებელი ორგანიზაცია, "გიგანტური დაწოლის ჯგუფი მოქალაქეთა საზოგადოებისა".

IV.

და, მართლაც, რამდენიმე თვეში ჩამოაყალიბეს რამონემ და მისმა თანამოაზრეებმა ორგანიზაცია "რევოლუციების ქვეყანაში" – საფრანგეთში, რომელსაც უწოდეს "ატტას" – "Association pour une Taxation des Transaction financiéres pour l´Aide aux Citoyans" – "ფინანსური ტრანსაქციების გადასახადთა გაერთიანება მოქალაქეების დასახმარებლად". "ატტას-ის" იდეით ნოლი-მთელი–და–ერთი–მესამედი პროცენტი "ფინანსიური ტრანსაქციების გადასახადისა", რაც წლიურად 100 მილიარდი დოლარის რაოდენობის იქნება, - გამოყენებულ იქნას ღარიბი ქვეყნების დასახმარებლად. დღეს კი "ატტას-ს", დაახლოებით, 50 000 წევრი ყავს მსოფლიოს 30 ქვეყანაში, რომლებიც საწევრო გადასახადით აფინანსებენ "8-გ-ეს", მსოფლიო ვაჭრობის თუ მსოფლიო ბანკის წინააღმდეგ. ამგვარად, "ატტას-სი" იბრძვის იმისათვის, რომ უპირატესობა მიენიჭოს პოლიტიკას საერთაშორისო საფინანსო სპეკულაციაში.

"როცა ადამიანებს ფართო საზოგადოებრივი ცვლილებების მიღწევა სურთ, როგორც ჩვენ, - ამბობს "ატტას-ის" გერმანიის განყოფილების წარმომადგენელი ფელიქს კოლბი, - მაშინ საქმეს ვერ უშველის ხელმოწერის სიები და უნიათო დემონსტრაციები"; "ძალისმიერი აქციები არ არის ჩვენი საქმე, მაგრამ ჩვენ ვამჟღავნებთ განსაზღვრულ გაგებას ამგვარი აქციებისა, რადგან დაგროვილი ბოღმა უნდა განიტვირთოს", - დასძინა ფელიქს კოლბმა.

V.

როგორც ვხედავთ, გლობალიზაციის მომხრეები და მოწინააღმდეგეები ებრძვიან ერთმანეთს, რომლის დროს, მაგალითად, მატს კარლსონი, მსოფლიო ბანკის ვიცეპრეზიდენტი, წარმოადგენს მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყნებს, ხოლო ჯეიმი დრუმონდი – უღარიბეს ქვეყნებს, და იბრძვის იმისათვის, რომ განახორციელოს გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის ლოზუნგი: "გააუქმეთ "drop the Debt" – ვალები", რადგან მსოფლიოს 8 ინდუსტრიული ქვეყნებისა თუ მსოფლიო ბანკების ვალებში იხრჩობიან მსოფლიოს სუსტად განვითარებული ქვეყნები, რომლებიც ეროვნულ შემოსავლის დიდ ნაწილს სხვადასხვა სახის ფინანსური სესხების პროცენტების დასაფარავად იხდიან, რის შედეგად ღარიბი ქვეყნები ხდებიან უფრო ღარიბები, ხოლო მდიდარი ქვეყნები უფრო მდიდრები.

ამგვარად, მსოფლიოს ინდუსტრიული ქვეყნები – აშშ, ინგლისი, იტალია, საფრანგეთი, გერმანია, იაპონია და რუსეთი -, სულ რვა სახელმწიფო, განსაზღვრავს მსოფლიო ეკონომიკური განვითარების გზებს, რომლის ჯადოსნური ფორმულაა – "გლობალიზაცია".

VI.

მართალია, მსოფლიო ბანკი, მისი გრძელვადიანი პროექტებით ცდილობს მიზეზის აღკვეთასაც, მაგრამ მსოფლიო ბანკის კრიტიკოსები ამბობენ, რომ მსოფლიო ბანკი დავალიანებულ ქვეყნების ეკონომიკას დამბლას სცემს, რადგან კრედიტების უკან გადახდა არ შეუძლიათ.

აი, ასეთ რთულ პრობლემებს ქმნის ეკონომიკური გლობალიზაცია, რაც იწვევს ისეთ შეჯახებებს გლობალიზაციის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის, რომლის მოწმენი ვხდებით არა მარტო რვა დიდი ინდუსტრიული ქვეყნების სამიტის დროს.

კარლო ინასარიძე

პარიზი, 2002 წლის მარტის 21

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ“ ᲙᲐᲞᲠᲘᲖᲘ?..

„წმინდა კაპიტალიზმის“ კაპრიზის უცნაური მაგალითი „თავისუფალი ბაზრის“ გლობალიზაციის პროცესში?..

კირკ კერკორიანს, ამერიკელ მილიარდერს და დაიმლერ-კრაისლერის, მსოფლიოში რიგით მესამე საავტომობილო ქარხნების უდიდეს აქციონერს, - ძვირად დაუჯდება მისი მოკლეხნიანი ცოლქმრობა ქალბატონ ლიზა ბონდერ კერკორიანთან. 36 წლის ქალბატონმა, მის 84 წლის ყოფილ ქმარს, უჩივლა გადაიხადოს მათი საერთო სამწლიანი ქალიშვილისათვის ალიმენტი 320-ათასი დოლარის რაოდენობით თვიურად.

მილიარდერ კირკ კეკორიანის ყოფილ მეუღლემ ლიზა კეკორიანმა სასამართლოს წარუდგინა სია თუ რისთვის ესაჭიროება მას სამწლიანი ბავშვის კირას უზრუნველსაყოფად: თვეში 320-ათასი დოლარი.

მოგზაურობისათვის ესაჭიროება მას. . . . . . . . . . . . . . . . . . . . 144-ათასი დოლარი

ბავშვის თანატოლებისათვის გამართულ

დაპატიჟებებისათვის. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 14-ათასი დოლარი;

შეწირულობებისათვის. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .7000 დოლარი;

სურსათ-სანოვაგისათვის. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 4300 დოლარი;

რესტორნებში სადილობისათვის. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 5900 დოლარი;

კინოსა და ქალაქგარეთ დასვენებისათვის. . . . . . . . . . . . . . . 2500 დოლარი;

საცვლებისა და სისუფთავისათვის. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 1400 დოლარი;

სათამაშოებისა და წიგნებისათვის. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .1000 დოლარი;

კირას კურდღელის მოვლისათვის. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 436 დოლარი;

და სხვა.

მილიარდერ კირკ კერკორიანის სიმდიდრეს განსაზღვრავენ 6,4 მილიარდ დოლარით.

მან უკვე განაცხადა მზადყოფნა, რომ მის ყოფილ მეუღლეს ყოველთვიურად მისცეს 75-ათასი დოლარი სამწლიანი კირასათვის. მაგრამ ლიზა კერკორიანი დაჟინებით მოითხოვს, რომ 75-ათასი დოლარი თვიურად კირასათვის საკმარისი არ არის. ბოლოსდაბოლოს არ უნდა დავივიწყოთ, რომ კირას დაბადების ერთი წლისთავის დაპატიჟება-პარტი დაჯდა 70 000 დოლარი!..

„ასოშიეტედ-პრესის-სააგენტო“: 15.1.2002 წ.

### მინიმალური ხელფასი საარსებო მინიმუმს გაუთანაბრდება

პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების რეალიზაციის შედეგად მინიმალური ხელფასი არსებული 20 ლარიდან 2005 წლისათვის გაიზრდება 100 ლარამდე, შესაბამისად, გაიზრდება საშუალო ხელფასი - ეროვნულ მეურნეობაში 92 ლარიდან - 300 ლარამდე, ხოლო საბიუჯეტო სექტორში 64 ლარიდან 220 ლარამდე. თანაფარდობა მინიმალურ და საშუალო ხელფასს შორის 22 პროცენტიდან 34 პროცენტამდე გაიზრდება, ხოლო თანაფარდობა მინიმალურ ხელფასსა და საარსებო მინიმუმს შორის 20-დან 87 პროცენტამდე. ამასთან, მიღებული იქნება ყველა ზომები, საიმისოდ, რომ მინიმალური ხელფასის მატებამ არ გამოიწვიოს ფასების მნიშვნელოვანი ზრდა.

"საქართველოს რესპუბლიკა "
სამშაბათი, 16 აპრილი, 2002 წელი

*

როგორ შეძლო “მაკდონალდსმა” 2001 წლის ბიუჯეტში 1.215.506 ლარის გადახდა,როცა თბილისის დანარჩენმა 104-მა რესტორანმა 46.384 ლარიც კი ვერ შეიტანა

20 მარტი, 2002 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პუბლიცისტიკა

## ეკუმენური მსოფლიო ეთოსი?..

## Ökumenisches Weltethos?..
(მიმოხილვა)

რა არის რწმენა?-რწმენა არის,
როცა ადამიანს მაინც სწამს?..

Was ist Glaube?- Glaube ist
wenn man trotzdem glaubt?..

I.

ეკუმენური მსოფლიო ეთოსი?.. მსოფლიო არა მარტო ქრისტიანულ რელიგიათა გაერთიანების შექმნა?.. რწმენა ღმერთისა, რაც თითქოს შეუთავსებელია სამყაროს მეცნიერულ გაგებასთან?.. და ოცდამეერთე საუკუნე შემობრუნებაა რელიგიისაკენ?.. კითხვები, კითხვები და ისევ კითხვები, რომლებიც – სხვა მრავალთა შორის – დგას კაცობრიობის წინაშე, რომელთა ახსნა-განმარტება რელიგიურ-მეცნიერულ ბურუსშია გახვეული, რომლის განმარტებას ისევ მეცნიერულ-რელიგიური ბურუსის სფეროში შევყავართ.

II.

"ალაჰ აკბარ"- "Allahu akbar"- "ღმერთი დიდია" გაიძახის მაჰმადიანი კალაშნიკოვით ხელში; "ღმერთი მოკვდა" – "Gott ist tot" – თქვა ფილოსოფოსმა ფრიდრიხ ნიტშემ (1844-1900) ერთი საუკუნის წინათ; კარლ მარქსი კი წერდა "რელიგია არის ხალხის ოპიუმი", რომლის დროს მიივიწყა, რომ ოპიუმს მკურნალობითი თვისებაც გააჩნია; ზიგმუდ ფროიდი (1856-1939), ფსიქოანალიზის შემქმნელი, ხედავდა ღმერთის რწმენაში "ბედნიერ, ჰალიცინაციურ დაბნევას", რასაც თვლიდა კოლექტიურ "ნოიროტიკულ" ავადმყოფობად, რომლისაგან განიკურნება კაცობრიობა მეცნიერული განათლების წყალობით.

III.

უდიდესი შეცდომა: დღეს, ერთი საუკუნის შემდეგ მეცნიერული წარმატებებისა, რწმენა ზებუნებრივი ძალებისა სა ამით ღმერთისა შეურყეველი რჩება. მერიკელი პოლიტოლოგი – სამუელ ჰუნტიგტონი, მის ნაშრომში "კულტურების ბრძოლა" ცდილობს დაამტკიცოს, რომ მომავალი ათასწლეული დახასიათდება "რელიგიების მსოპლიო რენესანსით", რაც შეხლა-შემოხლას იწვევს მეცნიერებს შორის.

IV.

რატომ სწამს ადამიანებს ღმერთი? – როგორც სჩანს, ჰომო საპიენსში, ადამიანში ღრმად აქვს ფეხი გადგმული მოთხოვნილებას სპირიტუალიზმისადმი, ე. ი. მწავლებისაკენ, რომ გონი ერთადერთი ნამდვილი და სხეული გონის მხოლოდ მისი გამოვლინების ფორმაა, და ტრანსცეტენტისადმი, რაც გარდალახვაა საზღვრებისა გამოცდილებასა სა გრძნობით ათვისების შესაძლებლობისა, რამაც – თავის მხრივ – რელიგიათა, რწმენათა სამყარო წარმოშვა და ამით შეარყია "რაციო", ლოგიკური აზროვნების უნარიანობა, რომ მეცნიერებისათვის ყველაფერი მისაწვდომია, გონების ძალა უსაზღვროა, რომელიც ჭეშმარიტი ცოდნის ერთადერთი წყაროა.

V.

მაგრამ მეცნიერება უკვე ეჯახება მის საზღვარს: რამდენადაც ადამიანი იჭრება ბუნების საიდუმლოებაში, იმდენად უფრო მეტი გამოცანების წინაშე დგას იგი; და "ცოდნის" იქეთ იზრდება აგრეთვე "არცოდნის" სამყარო, ე.ი. რელიგიათა, რწმენათა სამყარო: რწმენა ზებუნებრივი ძალებისა, რაც შეუთავსებელი მოსჩანს რელიგიურ რწმენასთან. "უხეშ ათეიზმს", წერს ფრანგი პუბლიცისტი ჟილ კეპელი (Gilles Kepel: "la revanche de Dieu") მოყვა "ღმერთის რევანში" აგრესიულ რელიგიურ მებრძოლთა სახით, რომელთაც სურთ საზოგადოებრივი წესრიგი, თუ საჭირო გახდა, "საკრალურ", ე.ი. რელიგიურ ფუნდამენტზე ააგონ.

VI.

რელიგიურად მოტივირებული შეიარაღებული ბრძოლები წარმოებს უკვე სრი ლანკაში, ჰიმალაის მთ ბში არსებულ ბუტანში, ქაშმირში ბუდისტებსა და ჰინდუს შორის; სუდანსა და ფილიპინებში იბრძვიან ერთმანეთის წინააღმდეგ მაჰმადიანები და ქრისტიანები; ისრაელში დავაა "ორთოდოქს"

ეროვნული ბიბლიოთეკა

და "სეკულარულ", ე.ი. საერო ებრაელებს შორის, რომლებიც ალყაშემორტყმულია მაჰმადიანებისაგან, რის გამო კათოლიკური თეოლოგი ჰანს კიუნგი ამბობს: - "მშვიდობიანობა ვერ იარსებებს ერებს შორის, მშვიდობიანობის გარეშე რელიგიებს შორისო".

VII.

მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჰანს კიუნგია "მსოფლიო პროექტის" შემქმნელი, რომლის მიზანია მშვიდობიანობის ჩამოგდება რელიგიათა შორის. იგი – ჰინდუ მაჰათმა განდის, ქრისტიანი დაგ ჰამერშელდის, მაჰმადიანის ანვარ ალ-სადატისა და ბუდისტის უ ტანის მოღვაწეობაზე დაყრდნობით, - ცდილობს დამყარებულ იქნას რელიგიათა შორის მშვიდობიანობა და შემწყალებლობა, თუმცა ბაზა ამგვარი "სამოთხისა" შორსაა სინამდვილიდან, რის გარკვევას ფილოსოფოსო და სოციო-ლოგი გეორგ ზიმელი (1858-1918) ცდილობს მის "ფულის ფილოსოფიაში".

VIII.

"ისტორიული მატერიალიზმის მტკიცება, რომ კულტურის ყველა ფორმა და შინაარსი ეკონომიკის მოცემულ ურთიერთიბებიდან გამომდინარეობს, ვასრულყოფილებ მე იმის მტკიცებით, რომ ეკონომიკური ფასოვანებანი და მოძრაობანი, მათი მხრივ, ღრმად გამჯდარია ინდივიდუალური და საზოგადოებრივი აზროვნების მსვლელობასთან",- ამბობს გეორგ ზიმელი. მილ დურკჰაიმი, ფრანგი სოციოლოგი (1858-1917), კი ლაპარაკობს, რომ "დასაწყისში არა მარტო ყველაფერი რელიგიაა", არამედ იგი იწვევს ფულისა და ღმერთის ანალოგიას, რის შედეგად ხდება ფულის თავისებური აბსოლუტური "წმინდა-ქონების" საკრალიზაცია. ეორგ ზიმელი კი კმაყოფილდება არა მარტო ფულის მეტაფორული ასახვით, არამედ მასში ხედავს ღმერთის წარმოდგენასა და ღრმა ნათესაობას:

IX.

"იმ დროს, როცა ფული აბსოლუტური გამოსახვა და ექვივალენტი ყველა ფასოვანებისაა, იგი მაღლდება აბსტრაქტულ სიმაღლემდე ობიექტის მრავალფე-როვნების ზევით; იგი ხდება ცენტრი წინააღმდეგობათა, უცხოთა, უშორესთა საგანთა, რომელშიც მათს საერთოს პოულობენ და ერთმანეთს ეხებიან." ეს "საწინააღმდეგოთა ერთადშეხვედრა" – "coincidenzia oppositorum" – აკავშირებს ფულსა და ღმერთს. ქ არის, როგორც სჩანს, აზროვნებითი წინაპირობა იმისათვის ჩამოყალიბებული, რომ კაპიტალიზმი განხილულ იქნას როგორც რელიგია. (ვერნერ გეჰჰარტი: "ძალა წმინდა მამონისა", "ზც", 30.12.2000). და ამიტომ უწოდებს იგი გეორგ ზიმელის "ფულის ფილოსოფიას" "თანამედროობის საადგილმამულო წიგნს".

X.

და ამ დროს ვატიკანის რწმენის კონგრეგაციამ ისევ განაცხადა, რომ "არ არსებობს შველა ეკლესიის გარეშე" – "Extra ecclesian nulla salus", რასაც მოყვა პროტესტები არა მარტო ქრისტიანული ეკლესიებიდან. როტესტანტულ თეოლოგმა ფულბერტ სტეფენსკიმ, მაგალითად, განაცხადა, რომ "...არავის არ აქვს უფლება მისი რწმენა ერთადერთ ნეტარების სწავლებად აღიაროს"..

XI.

და, მართლაც, მსოფლიო რელიგიათა პეიზაჟი აღნიშნულის ამადასტურებელი სურათია, თუ მორწმუნეთა რაოდენობას მივიღებთ მხედველობაში მსოფლიო მასშტაბით, რომლის დროს ნათელი ხდება რელიგიათა გლობალური მრავალ-ფეროვნება:

კათოლიკები არიან მსოფლიოში.......................1044 მილიონი;

პროტესტანტები.......................337 მილიონი;

მართლმადიდებლები.......................214 მილიონი;

იუდაიზმის მიმდევარნი.......................14 მილიონი;

მაჰმადიანები.......................1155 მილიონი;

ჰინდუს მიმდევარნი.......................799 მილიონი;

ბუდსიტები.......................356 მილიონი;

კონფუციანელები.......................6 მილიონი;

შინტოისტები.......................3 მილიონი; და სხვა.

იმ დროს, როცა ქრისტიქნიზმი, იუდაიზმი, მაჰმადიანიზმი მონოთეისტური რელი-გიებია, ჰინდუს (ინდოეთი) მიმდევარნი შეიძლება იყვნენ პოლითეისტები, მონო-თეისტები, პანთეისტები (სწავლება, რომ სამყარო ღმერთშია მომწყვდეული) თუ ათეისტები, რაც, თავის მხრივ, თითქოს რელიგიათა "გლობალურობისაკენ" მიუთითებს. ბუდიზმი, ბუდასაგან მე-5 თუ მე-4 საუკუნეებში, ქრისტეს წინ, შექმნილი რელიგია ჩრდილოეთ ინდოეთში, - იყო რეფორმისტული მოძრაობა, რომელიც

გავრცელდა თითქმის მთელს აზიაში, რომლის მონასტრებში ჰინდუიზმის "კასტების სისტემამ" მნიშვნელობა დაკარგა. კონფუციუს (551-479 ქრ. წინ) ანუ კონფუცი, ე.ი. კონფუციანიზმი აზიაში, განსაკუთრებით იაპონიაში გავრცელებული მსოფლხედვა, - ეყრდნობა ადრინდელ რელიგიურ და სოციალურ წარმოდგენებს, ისევ ხდება როგორც რელიგიურად შეფერადებული ეთიკური "ხსნის სწავლება", რაც "გასაუბ-რების" სახით აღწერა ლუნ-იუმ კონფუციუსის მოწაფეებთან, რომლითაც ცდილობდა სახელმწიფოს "ეთიკურ საფუძველზე" გარდაქმნას. შინტოიზმი კი, რომელიც გავრცელებულია იაპონიაში, წარმოიშვა "ბუნებისა და სულის განცდისაგან".

## XII.

და ვინ ჩამოთვლის რელიგიათა და მათს განშტოებათა ყველა სახეს და ფორმას?.. და ვითომ შეელა ეკუმენური მსოფლიო ეთოსია, რადგან "არა რელიგიები იბრძვიან ერთმანეთის წინააღმდეგ, არამედ პოლიტიკური განაპირა დაჯგუფებები"?.. და ამის მაგალითად გამოდგება ფუნდამენტალისტური "განაპირა დაჯგუფებები", ვთქვათ, სუდანში თუ ავღანეთში, რომლებშიც უკვე შექმნილია "რელიგიური სახელმწიფოები", რომლის ძალით ადამიანთა ფიზიკური წამება, ცენზურა თუ ქალების დამონება დღის წესრიგშია?.. ვითომ ეს პოლიტიკური "განაპირა დაჯგუფებები" რელიგიას, რწმენას იყენებენ თავიანთი ბნელი მიზნების განხორციელებისათვის?.. ვითომ იქმნება "შთაბეჭდილება, რომ კაცობრიობას თავს ატყდება უბნელესი შუასაუკუნეები?" (პოლიტოლოგი ჰუნტინგტონი). და, თავის მხრივ, ამის მიზეზია, რომ ჩვენ არ ვიცით თუ რა არის იქ, საიდანაც არავინ არ ბრუნდება უკან, რადგანაც "the rest is silance" – "დანარჩენი მდუმარებაა?" (უ. შექსპირი). აუცილებით ხომ არ უნდა წამოვიძახოთ "როგორ შევიცნო შენ უსაზღვრო ბუნებავ?" – "Wo faß ich dich, unendliche Natur?" და ჩვენი "უცოდინარობა" არის ვითომ რელიგიის წყარო საერთოდ?..

## XIII.

და აქ ხომ არ იბადება ე.წ. „გრეთხენ-ფრაგე" – „მარგარიტას შეკითხვა"- რომლის დროს მარგარიტა ჰაინრიხ ფაუსტს გულუბრყვილოდ ეკითხება:

Margarete: - Nun sag: wie hast du´s mit Religion?"

<u>მარგარიტა:</u> - „მითხარი: როგორ ხარ განწყობილი რელიგიისადმი?
შენ ხარ გულითადათ კეთილი ადამიანი,
თუმცა ვფიქრობ, დიდათ არ აფასებს მას.
<u>ფაუსტი:</u> - დაანებე თავი ამას ძვირფასო! შენ გრძნობ, რომ მე კეთილი ვარ შენდამი;
ჩემი სიყვარულისათვის განვწირე სისხლხორცი,
არ მსურს არავის მოვტაცო მისი გრძნობა და სამლოცველო.
<u>მარგარიტა:</u> - ეს არ არის სამართლიანი, ადამიანს ღმერთი უნდა სწამდეს!
<u>ფაუსტი:</u> - უნდა სწამდეს?
<u>მარგარიტა:</u> - ახ, შენზე რომ შემეძლოს ზეგავლენა!
შენ თაყვანს არ სცემ წმინდა საკრამენტს.
<u>ფაუსტი:</u> - მე თაყვანს ვცემ მას.
<u>მარგარიტა:</u> - მაგრამ მოთხოვნილების გარეშე.
წირვაზე, ცოდვების მონანიებაზე დიდიხანია არ ყოფილხარ.
გწამს ღმერთი?
<u>ფაუსტი:</u> - ჩემო ძვირფასო, ვის შეუძლია თქვას:
მე მწამს ღმერთი!
შეგიძლია მღვდელს ან ბრძენს შეეკითხო,
და მათი პასუხი მოჩანს როგორც დაცინვა
შემკითხველზე.
<u>მარგარიტა:</u> - ამგვარად, არ გწამს ღმერთი!
<u>ფაუსტი:</u> - ყალბათ არ გამიგო, უმანკოების განხორციელებავ!
ვის შეუძლია მისი დასახელება
და მისი აღიარება:
მე მწამს იგი!
ვის შეუძლია მისი შეგრძნობა
და შეუცნობელობა
თქვას: მე არ მწამს იგი!
ყველაფრის მომცველი,
ყველაფრის მფლობელი,
არ შეიცავს და ფლობს იგი
შენ, მე, თავისთავს?
არ მოფენს ზეცას მაღლა?
არ ამყარებს დედამიწას დაბლა მტკიცედ?
და არ გამოკაშკაშდებიან
მარადიული ვარსკვლავები ზემოთ?
არ გხედავ შენ თვალებით თვალებში,
და არ მიილტვის ყველაფერი შენს

Margarete: Nun sag: wie hast du´s mit der Religion
Du bist ein herzlich guter Mann,
Allein ich glaub, du hältst nicht viel davon
Faust: Laß das, mein Kind! Du fühlst, ich bin dir gut;
Für meine Lieben ließ´ich Leib und Blut,
Will niemand sein Gefühl und seine Kirche rauben
Marg: Das ist nicht recht, man muss dran glauben!
Faust: Muß man?
Marg.: Ach, wenn ich etwas auf dich könnte!
Du ehrst auch nicht die heiligen Sakramente.
Faust: Ich ehre sie
Marg.: Doch ohne Verlangen.
Zur Messe, zur Beichte bist du lange nicht gegangen. Glaubst du an Gott?
Faust: Mein Liebchen, wer darf sagen:
Ich glaub an Gott!
Magst Priester oder Weise fragen,
Und ihre Antwort scheint nur Spott
Über den Frager zu sein.
Marg: So glaubst du nicht?
Faust: Mißhör mich nicht, du holdes
Angesicht! Wer darf ihm nennen
Und wer bekennen: Ich glaub ihn!
Wer empfinden
Und sich unterwinden
Zu sagen: ich glaube ihn nicht!
Der Allumfasser, Der Allerhalter,
Faßt und erhält er nicht
Dich, mich, sich selbst?

თავის და გულისაკენ
და ქსოვს მარადიულ საიდუმლოებას
შენს ირგვლივ შესახედავ-შეუხედავად?
გაუღენთე შენი გული იმით, როგორი დიდი არ უნდა იყოს,
და როცა შენი შენი გრძნობებით სულ ბედნიერი ხარ,
უწოდე მას, როგორც შენ გსურს:
უწოდე ბედნიერება! ული! შინათლე! ღმერთი!
მე არ მაქვს სახელი
მისთვის! რძნობაა ყველაფერი;
სახელი არის ტალღა და ბურუსი,
ბურუსში გახვეული ზეციური ნაკვერჩხალი."

Wölbt sich der Himmel nicht dadroben?
Liegt die Erde nicht hierunter fest?
Und steigen freundlich blickend
Ewige Sterne nicht herauf?
Schau ich nicht Aug in Auge dir,
Und drängt nicht alles
Nach Haupt und Herzen dir?
Erfüll davon dein Herz, so groß es ist,
Und wenn du ganz in dem Gefühle selig bist,
Nenn es dann, wie du willst: Nenn Glück!
Herz! Liebe! Gott! Ich habe keinen Namen

(ი.ვ. გოეთე: "ფაუსტი", 1.- J.W. von Goethe: Faust, 1.)

XIV.

და ისევ მარადიული კითხვა: რატომ სწამს ადამიანს?.. ვითომ იმიტომ, რომ მასში არსებობს მიდრეკილება სპირიტუალიზმისადმი, ე.ი. სწავლებისადმი, რომ გონი, სული არის ერთადერთი ნამდვილი და სხეულია მხოლოდ გონის, სულის გამოვლინების ფორმა; და ტრანცენდენტიზმისადმი, ე.ი. შემეცნების ფარგლებს გარეთ არსებული, შემეცნების აპრიორული, ცდისაგან დამოუკიდებელი ფორმების აღიარებისადმი, რაც გვევლინება გამოთქმის სახით – „რწმენა არის, როცა ადამიანს მაინც სწამს"!..

XV.

ურთიერთობას მეცნიერებასა და რელიგიას შორის ფესვები აქვს გადგმული თანამედროვე მეცნიერების საწყისშივე. ისააკ ნიუტონი (1643-1727), გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცი (1646-1716), რენე დეკარტი (1596-1650) თუ გალილეო გალილეი (1564-1624) იყვნენ მორწმუნენი; და მათში მოდერნულმა მეცნიერულმა მეთოდებმა მეტ-ნაკლებად გამოიწვია ცდუნება რელიგიური რწმენა მეცნიერების დახმარებით რაციონალისტურ ფუნდამენტზე დაეყრდნოთ. ნიუტონმა, მაგალითად, ჩამოაყალიბა გრავიტაციის კანონი, ე.ი. მატერიის თვისება, რაც გამოიხატება სხეულთა ურთიერთმიზიდულობით; და ამტკიცებდა, რომ ყოველი, სასრულოვან სივრცეში განლაგებული მასა, თვითმიზიდულობით თავისთავში უნდა ჩაეცეს. ან იცოდა აგრეთვე, რომ კოსმოსი თავისთავში არ ეცემა. ისი აზრით ამის მიზეზი იყო ის, რომ ღმერთი არ უშვებს ამგვარ თავისთავში ჩაცემას; და უკვე გააჩნია მას ღმერთის არსებობის დასაბუთება.

XVI.

ჯორჯ ვ. კოინი, ამერიკელი ასტროფიზიკოსი, ვატიკანის ობსერვატორიის ხელძღვანელი აყენებს კითხვას: რა იცოდა ღმერთმა?.. სამყარო უკვე 15 მილიარდი წელიწადია თამაშობს ლოტერიას?.. ზოგიერთი მეცნიერი და უფრო მეტი არამეცნიერი ამბობს, რომ მეცნიერებაა ერთადერთი გზა ნამდვილი და დადასტურებული შემეცნებისა; და მაინც, - ამბობს ჯორჯ ვ. კოინი, - ყოველმა პრაქტიკოსმა მეცნიერმა უნდა აღიაროს, რომ ჩვენ ამგვარი ნამდვილი ცოდნა არ გაგვაჩნია. ჩვენ ვიცით, მაგალითად, რომ ჩვენს გალაქტიკაში ასი-მილიარდი ვარსკვლავია დაახლოებით, და რომ "ირმის ნახტომს" (რა მშვენიერი ტერმინია თუ გერმანულ "მილჰ-შტრასეს", "რძის გზას" შევადარებთ!..) აქვს ასი-ათასი სინათლის წლის დიამეტრი; და მე შემიძლია, - დასძენს კოინი, - ეს მონაცემები ისეთივე სიზუსტით ავსახო, როგორც მე ჩემი სხეულის სიდიდეს ვიცნობ, რადგან მე ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კანონების გამოყენება შემიძლია; ვიცი აგრეთვე, რომ ვარსკვლავები იბადებიან და კვდებიან; იმისათვის, რომ ქიმიური ელემენტები შექმნას, რომელთაგან ადამიანის სხეულია შექმნილი, საჭიროა ვარსელავების სამი თაობა.

XVII.

და აქ მივედით ისევ "ჯადოსნურ წრესთან", საიდანაც გამოსავალი – თუ საერთოდ არსებობს – ბურუსითაა მოცული. ჩვენი „უცოდინარობა" კი „ა პრიორული", წმინდა ცნებითი ხასიათისაა, რადგან რა არის ჩვენი "ცოდნა" "არცოდნის" პირისპირ?.. მას შოთა „მესამე პირში", „ა პრიორულად" ასე ასახავს: "რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,

ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,

ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,

მისგან არს ყოველი ხელმწიფე სახითა მის მიერითა."

და ისევ გაბმული ვართ "ჯადოსნურ წრეში", რომლისაგან გამოსავალს რწმენაში, ღმერთი თუ ბუნების ძალაში ვეძებთ; და ვპოულობთ?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

## XVIII.

უხოვარი დროიდან დღემდე, მსოფლიოს ყოველ კუთხეში, რელიგია, მისი მრავალფეროვნებით, ყოველთვის იყო ნაწილი ადამიანთა ყოფიერებისა, რის შედეგად ადამიანთა შექმნა "შესახედავი ბუნების" ბუნებრივი მისტერია, როგორიცაა დაბადება, სიკვდილი, სამყაროს საწყისი, ე.ი. რაც იყო, რაც არის და რაც იქნება. ამით აიხსნება, რომ რელიგიის საფუძველი გახდა რწმენა და კულტი, ე.ი. "თაყვანის-ცემა" ღმერთის თუ ღმერთებისადმი, რომ ადამიანს შეძლებოდა, ვთქვათ, ბუნებრივი მოვლენების – ჭექა-ქუხილის, ქარის, დღე-ღამის ცვლილებათა, დროს თუ წყალდიდობის – ახსნა, რომლის ერთერთ კულმინაციურ წერტილად თვლიდა "წარღვნას" თუ "პირველი ადამიანების" – ადამისა და ევას წარმოშობას ჩვენი ბიბლიის სფეროში რომ დავრჩეთ.

აქედან გამომდინარე, პირველი მორწმუნეები ფიქრობენ, რომ პრეისტორიულ ადამიანს უკვე გააჩნია რელიგიური, ე.ი. რწმენა ბუნებრივი ძალისა, ისევე როგორც მისი თაყვანისცემის კულტი, რაც სხვადასხვა ხანაში რწმენის სხვადასხვა ფორმების შექმნას იწვევდა დაწყებული უხსოვარი დროიდან: მესოპოტამიაში, მაგალითად, ეშინოდათ მათი ღმერთებისა და ცდილობდნენ მათი სურვილის გამოცნობასა და დამშვიდებას; ძველი ეგვიპტელები კი ფიქრობდნენ, რომ ადამიანები არსებობენ იმისათვის, რომ თაყვანისცენ ღმერთებს და სიკვდილს; ანტიკურ საბერძნეთში ღმერთებია დიდი ოჯახი, რომელთაც გააჩნიათ იგივე ღირსება და ნაკლი როგორც ადამიანებს; ევროპის მომთაბარე ხალხები – სკვითები, კელტები, გერმანელები თუ სლავები – მისდევდნენ "ბუნების კულტს", რომლის დროს სიცოცხლე-სიკვდილი გახდა მათი რელიგიური ცხოვრების ბაზა.

ამერიკის "აღმოჩენის" (1492 წელი) წინა ხანაში მაიას, აცტეთებისა და ინკას ხალხები წარმოადგენდნენ მთავარ რელიგიურ (და სახელმწიფოებრივ) ძალას ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში, რომლის დროს შეიქმნა ცივილიზაცია, რაც ეყრდნობოდა მათემატიკის, ასტრონომიის, ასტროლოგიის და მედიცინის მცოდნეობას და ზუსტად ჩამოყალიბებულ კალენდარს. მაიას ხალხმა, მე-3 – მე-10 საუკუნეებში, შეიქმნა დიდი ცივილიზაცია, რომლის რელიგიური პირამიდებით მოთესილია ცენტრალური ამერიკის აღმოსავლეთი რეგიონი. აცტეთებმა, დღევანდელი მექსიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მე-12 – მე-14 საუკუნეებში, შექმნეს რწმენა, რომ სამყარო შექმნილია ღმერთების მიერ, რომელიც დროთა განმავლობაში ინგრევა, და მის გადასარჩენათ საჭიროა ადამიანის სისხლის შეწირვა, რაც გახდა აცტეთების რელიგიური ბაზა. ინკას, რომელიც არსებობდა მე-13 – მე-16 საუკუნეებში, სამხრეთ ამერიკის დასავლეთ ნაწილში, რომლის ცენტრი იყო "მაჩუ პიჩუ" ანდების მთებში, - ღმერთებს სწირავდნენ ლამასა და ზოგჯერ ბავშვებსაც კი.

## XIX.

"სამი წიგნის რელიგია" კი გახდა იუდაიზმი, ქრისტიანიზმი და მაჰმადიანიზმი-ისლამი, რომელთაგან უძველესია იუდაიზმი, ებრაელი ხალხის რელიგია, რომლის "წიგნი", ე.ი. "ბიბლია" მოგვითხრობს ღმერთისა და ისრაელი ხალხის ისტორიას. ქრისტიანიზმი-ქრისტიანობა. რომლის ორი-ათას წელს აღვნიშნავთ ამჯერად, ღვთის ძე-ს – იესო ქრისტეს – მოძღვრებაა, რომელიც "ჯვარს აცვეს" და ისევ აღსდგა, რიდ საფუძველია იგივე "ბიბლია", ე.ი. ძველი და ახალი აღთქმა. აჰმადიანიზმი-ისლამი კი არის "წიგნის" მესამე რელიგია, რომლის, რომლის წინასწარმეტყველი-შემქმნელია მაჰომედი; მისი "წიგნი" არის "ყურანი". "წიგნი სამი რელიგიის" ქალაქი კი იერუსალიმია, თუმცა ისლამის წმინდა ადგილი კაბაა, სადაც ყოვეწლიურად მილიონზე მეტი მლოცველი იყრის თავს.

## XX.

ყველაზე უფრო ძველ რელიგიათ მსოფლიოში მიჩნეულია ჰინდუიზმი, რომელიც ეყრდნობა "ვედა-ს", წმინდა თქმულებებს, რომლებშიც მოთხრობილია ღმერთთა ამბები. ინდუიზმი წარმოიშვა ინდოეთში ორი-ათასი-წლის წინათ ჩვენს ერამდე და ამჟამადაც არსებობს ინდოეთში. მისი "წმინდა ტექსტი და ეპოპეა" არის "მაჰაბჰარატა" და "რამაიანა", რომელთაგან "მაჰაბჰარატა" არის "...ყველაზე უფრო დიდი პოემა, რომელიც ოდესმე შექმნილა, და მოგვითხრობს ორას-ათას (200 000) კუპლეტში ბრძოლას ორი თავადის ოჯახებს შორის."

ბუდიზმი, შეიქმნა ინდოეთში მე-5 საუკუნეში, ჩვენს ერამდე, ბრძენი ბუდას მიერ; და მე-2 – მე-12 საუკუნეებში მოედო მთელს აზიას, და დღესაც აერთიანებს 400-ს მილიონამდე მორწმუნეს. იუდიზმის, კონფუციანიზმისა და ტაოიზმის დოქტრინათა გაერთიანებას ჩინეთში ჰქონდა ადგილი მეორე საუკუნიდან ჩვენს ერამდე, რომლის დროს ადგილი ჰქონდა ამ სამ დოქტრინათა ურთიერთ ზეგავლენას: ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ბუდა, კონფუციუსი და ლაოძე შეხვდნენ ერთმანეთს "წმინდა მთასთან" – ტაი შან -, რომლის ფერდობზე განლაგებულია მრავალი ტაძარი. იაპონიაში კი, ბუდიზმის გვერდით, გავრცელებულია "შინტოიზმი"; სიტყვა "შინტო" ნიშნავს "გზას კამ-ისა", რაც ლეგენდის თანახმად, წარმოიშვა მე-8 საუკუნეში და მოგვითხრობს სამყაროს შექმნას, დაბადებას კამისა და იაპონიისა. "ტრადიციული რწმენის" არედ მიჩნეულია აფრიკის, ავსტრალიის, პოლინეზიის, მელანეზიის თუ ამერიკის პირვანდელი ტომები და ხალხები, რომელთაგან, მაგალითად, ამერიკის ინდიელთა რელიგია ცდილობდა ჰარმონიის შენარჩუნებას ადამიანსა და ბუნებას შორის. ავსტრალიის "აბორიგენების"-"მკვიდრთა" რელიგიის თანახმად, სხვაღა შოტის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

"ჯადოსანი... ეხმარება ადამიანებს მათი ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტებში: დაბადება, დამწიფება, სიკვდილი". პოლინეზიაში (ჰავაი, აღდგომის კუნძული, ახალი ზელანდია, ტაიტი...), რომლის მოსახლეობა დაახლოებით ნახევარ მილიონ სულს შეიცავს, -სწამთ მამალმერთი – ტანგაროა -, რომელმაც შექმნა სამყარო: მელანეზია მიმოფანტულია უდიდეს ტერიტორიაზე ოკეანეში, სულ, დაახლოებით, ოთხი მილიონი მოსახლეობით (კუნძულები ფიჯი, ვანუატა, ახალი კალედონია, პაპუას-ახალი-გვინეა, მელანეზია...); "აღდგომის კუნძულზე", მაგალითად, მე-9 საუკუნიდან, არსებობს ორი ათი მეტრის სიმაღლის "ღვთაებანი", რომელთაგან ზოგიერთები იწონის 80 ტონას, და წარმოადგენს "წმინდა ადგილს".

XXI.

ეს "სტენოგრაფიული" მიმოხილვას იძლევა იმის სურათს თუ როგორი ფართო და "უსასრულო" ცნებაა "ეკუმენური მსოფლიო ეთოსი", თუ მას ჩვენი მსოფლიოს ყველა რელიგიათა და რწმენათა საერთო ცნებათ მივიჩნევთ. "თეიზმი", ე.ი. რწმენა ღმერთისა და "ა-თეიზმი", ე.ი. ყოველგვარი რელიგიის უარყოფა, -ხომ უფრო ართულებს საერთო ეკუმენური ეთოსის შექმნას მთელს მსოფლიოში?.. მაშ, სად უნდა ვეძიოთ (და ვიპოვოთ) ის საძირკველი, სადაც თავს იყრის ყველა თეისტთა მსოფლიო ეკუმენური ეთოსი?.. და თვით ეს ცნებაც ხომ წინააღმდეგობითია, რადგან თეიზმი ათეიზმს ემიჯნება, უნდა ემიჯნებოდეს?.. და თვით თეიზმი, ე.ი. რწმენა ყველა რელიგიათა "მსოფლიო ეთოსი" შექმნა "შეუძლებლობის" სფეროში ექცევა?.. და თუ ეს ასეა, მაშინ სად უნდა ვეძიოთ საძირკველი, საყრდენი "თეისტთა" და "ათეისტთა" ერთობლივი მეობისა – ახალი, ჩვენი ერას, ხანის ორი-ათასი წლისთავზე?..

XXII.

"oecumene" ხომ "...დასახლებულ დედამიწას" გულისხმობს, და ქრისტიანულ ეკლესიებს რელიგიურ საკითხებში ერთობისაკენ მოუწოდებს, რაც კონსტანტინეპოლის 879-880 წლების ეკუმენური ყრილობის შემდეგ, ჩვენს ხანაში, პირველი და მეორე ეკუმენური ყრილობებით განახლდა, რომლებიც მოიწვია ვატიკანმა?.. მაშინ "მსოფლიო ეკუმენური ეთოსი", თუ ქრისტიანული ეკლესიებით შემოეიფარგლებით, "ნაწილია" – "მთელისა", ე.ი. "მსოფლიო ეკუმენური ეთოსისა" ?..

XXIII.

ამდენად ეკუმენური მსოფლიოს, სამყაროს ეთოსი "უტოპიური კუნძული" ხომ არ არის, თუმცა მასშიც ჰუმანიტარული თესლიცაა?.. ვითომ ეკუმენური მსოფლიო ეთოსის გზით შესაძლებელია ადამიანის, გვარის, ტომის, ერის "განსაკუთრებულობისა" და ამით მიზანდასახულობის საზღვრების გარდალახვა?..

XXIV.

ამგვარი "შეუძლებელი-შესაძლებლობის" გარდალახვის მაგალითად ხომ არ გამოდგება ჩვენი თანამემამულის, მაჰმადიანი ქართველის მემედ აბაშიძის გააზრება, რომელსაც, ჩვენი აზრით, სა-ერთა-შორისო განზომილება გააჩნია?.. "ბათუმშიც, - ამბობს მემედ აბაშიძე, - სცადეს ორი სარწმუნოების ერის – ქართველი მაჰმადიანებისა და ქართველი ქრისრიანების გადაკიდება, მაგრამ ამაოდ. ჩვენ სარწმუნოებით თუმცა მაჰმადიანები ვართ... მაგრამ ეროვნებით ქართველები ვართ, ქართული სისხლი გვიდუღს, სულითა და გულით ქართველები ვართ და ამიტომ ჩვენში ვერასოდეს ვერ მოიკიდებს ფეხს იმგვარი ქადაგება, რომელსაც მიზნად ექნება ჩვენს ძმებს – ქრისტიან ქართველებს გადაგვკიდოს და ჩვენსა და მათ შორის მტრობა გააჩაღონ... ჩვენ ქართველები ვართ და ამით ვამაყობთ. აგრამ განა საჭიროა ეროვნულ გრძნობებზე ლაპარაკი? ჩემი აზრით, ამაზე ლაპარაკი ისევე მეტია, როგორც მეტია იმის თქმა, რომ მზე ანათებს." (მემედ აბაშიძე, 1905 წელი)

1921 წელს კი, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესახებ, მემედ აბაშიძემ თქვა:

"ნურავინ ფიქრობს, რომ სარწმუნოება და ეროვნება ერთი და იგივეა... გახსოვდეთ, ჩვენი ხსნა, ჩვენი ბედნიერება საქართველოს ერთობაშია!

გაუმარჯოს მთლიან საქართველოს!"

XXV.

ამიტომ "ეკუმენური მსოფლიო ეთოსი" სა-ერთა-შორისო ერთიერთობის სფეროში ხომ არ ექცევა, რომლის ბაზა, საფუძველია "ერი და ბერი" როგორც ერის, ისევე ერთაშორისო ურთიერთობაში?..

XXVI.

მაშ, მსოფლიო ეკუმენური ეთოსი "მსოფლიო ზნეობა" ხომ არ არის?..

და, რწმენა ხომ არ არის, როცა ადამიან მაინც სწამს?..

კარლო ინასარიძე

2000 წელი – 31 დეკემბერი – 2001 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისტორიული მეგობრობა

## ნოდარ გაგულაშვილის (გოლანის) დაბადებიდან 65 წლის შესრულებასთან დაკავშირებით

რადიო „თავისუფლების" ერთ-ერთ წამყვან რედაქტორს - ნოდარ გაგულაშვილს (გოლანს) შეუსრულდა დაბადებიდან 65 წელი, რაც მისმა მეგობრებმა სათანადოდ აღნიშნეს: ჩვენი თხოვნით, ისრაელში გამომავალმა ქართულმა გაზეთმა „ალიამ" გამოაქვეყნა ჩვენი გულითადი მილოცვის განცხადება, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

რადიო "თავისუფლება / თავისუფალი ევროპის" ქართული რედაქციის
ყოფილ თანამშრომელთა სახელით

**ვ უ ლ ო ც ა ვ თ**

ჩვენს კოლეგას კაცსა და ბრწყინვალე ჟურნალისტს

**ნოდარ გაგულაშვილს (გოლანს)**

დაბადებიდან 65 წლის შეს რულებას და ვუსურვებთ ჯანმრთელობას და
ხანგრძლივ სიცოცხლეს თავის საყვარელ და ძვირფას ოჯახთან და
ყველა ახლობლებთან ერთად.

ნოდარის ხანგრძლივი ნაყოფიერი შრომის შესაფასებლად საკმარისია
თუნდაც ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის - ბილ კლინტონის მიერ მისთვის
გაგზავნილ საპატიო სიგელში გამოთქმული შემდეგი სიტყვები:
"რადიო "თავისუფლება / "თავისუფალმა ევროპამ" უდიდესი როლი ითამაშა
აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში დემოკრატიული
ძალების განვითარებაში და დიდია თქვენი წვლილი ამ საპატიო საქმეში..."

ქართული რედაქციის ყოფილი მთავარი რედაქტორი - დოქტორი
**კარლო ინასარიძე**

ყოფილი უფროსი რედაქტორები **ნუგზარ შარია**
**იაკობ კრიხელი**

რუსული რედაქციის ყოფილი უფროსი რედაქტორი **კოტე ნადირაშვილი**

---

გაზეთი "ალია საქართველოდან" რედაქცია და რუსთაველის სახელობის
საზოგადოება აბრამ სეფიაშვილის ხელმძღვანელობით უერთდება
თქვენს მილოცვას და ნოდარ გაგულაშვილ (გოლანს) ულოცავს
ღირსშესანიშნავ თარიღს.



გაზეთ „ალიაში გამოქვეყნებული განცხადებიდან შევიტყვეთ, რომ ნოდარს დაბადებიდან 65 წლის შესრულებას ულოცავენ აგრეთვე „ალიას" რედაქცია და ისრაელში არსებული რუსთაველის სახელობის საზოგადოება ბატონ აბრამ სეფიაშვილის ხელმძღვანელობით, რაც დიდად სასიამოვნოა.

ნოდარ გაგულაშვილმა მუშაობა დაიწყო რადიო „თავისუფლების" რედაქციაში 1974 წელს და პენსიაზე გავიდა 1995 წელს, ე.ი. 21 წლის განმავლობაში მაღალ-პროფესიული ოსტატობითა და კეთილსინდისიერი შრომით ერთგულად ემსახურებოდა საბჭოთა რეჟიმის პირობებში მყოფი ქართველი რადიომსმენელებისათვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდების საპატიო საქმეს.

რადიო „თავისუფლების" ქართულმა რედაქციამ ყოველდღიური გადაცემები დაიწყო 1953 წლის 17-18 მარტს, რითაც ქართული თავისუფალი სიტყვა გაისმა ეთერში. რადიო „თავისუფლების" შექმნა-დაარსებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ნოე ჟორდანიას მეთაურობით. 1952 წლიდან დაწყებული, პარიზში მიმდინარეობდა

მოლაპარაკებები დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ევგენი გეგეჭკორსა და ამერიკის კერძო „განთავისუფლების კომიტეტს“ შორის რადიო „განთავისუფლების“ ჩამოყალიბების მიზნით, რასაც შემდეგ რადიო „თავისუფლება“ ეწოდა. ქართული რადიორედაქცია კი ჩამოაყალიბა დამოუკიდებელი საქართველოს იუსტიციის მინისტრმა რაჟდენ (მიშა) არსენიძემ, რომლის მუშაობაშიც, დროთა განმავლობაში, ჩაებნენ ქართველი ებრაელებიც, რომლებიც 70-იან წლებში საქართველოდან საცხოვრებლად გადასახლდნენ ისრაელის სახელმწიფოში. უმაღლესი განათლება მათ მიღებული ჰქონდათ საქართველოში და ამდენად, შესანიშნავად ფლობდნენ ქართულ ენას. ამ გზით, გადალახულ იქნა ქართული რადიორედაქციის დაკომპლექტების სიძნელეები, რადგან საქართველოსთან კავშირის დამყარება იმ დროს, გასაგები მიზეზების გამო, შეუძლებელი იყო.

ამდენად, დიდად დასაფასებელია ქართველი ებრაელების თანამშრომლობა და ღვაწლი რადიო „თავისუფლების“ ქართულ რედაქციაში და ეს პირველ რიგში ითქმის სწორედ ჩვენს იუბილარ ნოდარ გაგულაშვილზე (გოლანზე), რომელიც ამჟამად ცხოვრობს ისრაელში. მისი გადაცემები, როგორც ქართულ რედაქციაში მიღებული მცირე, მაგრამ შთამაგონებელი წერილებიდან ვიცით, მსმენელთა დიდ მოწონებას იმსახურებდა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გადაცემათა ციკლი – „ქართული თვითგამოცემის ქრონიკა“, რომელშიც აღინუსხებოდა საქართველოში იმ დროს არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ცხოვრების მანკიერებანი. „თვითგამოცემის“ გზით, ხელით საწერ მანქანებზე დაბეჭდილი და ფარულად გავრცელებული ეს ჟურნალები, არაოფიციალური გზით აღწევდა ჩვენამდე. პირველი ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ჩვენ მივიღეთ, იყო ჟურნალი „ოქროს საწმისი“. ეს იყო რუსულ ენაზე შედგენილი დოკუმენტი, რომელშიც განხილული იყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხები, აღწერილი იყო საქართველოს ეკლესიაში არსებული მდგომარეობა და სხვა. ჟურნალი დაწერილი იყო რუსულ ენაზე და მის შედგენაში, როგორც შემდეგ გამოირკვა, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია. „ოქროს საწმისი“ ქართულად თარგმნა და რადიო „თავისუფლების“ მიკროფონით ნაწილ-ნაწილად გადაცემისათვის მოამზადა ნოდარ გაგულაშვილმა.

თუ მივიჩნევთ, რომ რადიო „თავისუფლებამ“ ერთი დიდი აგური გამოაცალა საბჭოთა რეჟიმს და გარკვეული წვლილი შეიტანა საბჭოთა იმპერიის დაშლაში, რითაც სხვა რესპუბლიკებთან ერთად კვლავ სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა საქართველო, მაშინ მისასალმებელი და საამაყოა, რომ ამ დიდი ისტორიული მისიის შესრულებაში ჩვენ, ქართველებს მხარში ამოგვიდგნენ ქართველი ებრაელები და ისინი დღესაც ინარჩუნებენ „ქართულ სულს“ ისრაელში, რისი ნათელი გამოვლინებაა, თუ გნებავთ, ის ფაქტიც, რომ ისრაელში გამოდის ქართულ-ენოვანი გაზეთი „ალია საქართველოდან“ და შექმნილია „რუსთაველის სახელობის საზოგადოება“, რომლის ხელმძღვანელია ბატონი აბრამ სეფიაშვილი.

მისასალმებელი და საამაყოა ის ფაქტიც, რომ ისრაელში მცხოვრები ქართველი ებრაელობა ინარჩუნებს მჭიდრო კავშირს საქართველოსთან, რისი ნიმანსვეტიც გახდა საქართველოში ებრაელობის დასახლების 2600 წლისთავის საზეიმო აღნიშვნა საქართველოში 2000 წელს, რომლის დროსაც ისრაელის მაშინდელი პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ ეწვია საქართველოს, რაც ისრაელისა და საქართველოს სახელმწიფოთა და ხალხთა მარადიული მეგობრობის სიმბოლოდ აღიქვა ებრაელობამ და ქართველობამ.

აქვე გვსურს მოვიგონოთ სიტყვები, რომლებიც ითქვა რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქციის ბანკეტზე, რომელიც ქართული რადიორედაქციის მთავარმა რედაქტორმა – ქალბატონმა გულნარა პატარიძემ გამართა მიუნხენში 1995 წელს ნოდარ გაგულაშვილისა და იაკობ კრიხელის საპატივცემლოდ, როდესაც რადიო „თავისუფლებამ“ თავისი მოღვაწეობა გერმანიის ქალაქ მიუნხენიდან ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში გადაიტანა, ხოლო ნოდარ გაგულაშვილმა და იაკობ კრიხელმა, ოჯახური პირობების გამო არ ისურვეს პრაღაში სამუშაოდ წასვლა. აღნიშნულ საზეიმო ბანკეტზე, სხვათა შორის, ითქვა შემდეგი:

„თქვენ ისრაელში, თქვენს სამშობლოში, შეინარჩუნეთ ღრმა სიყვარული საქართველოსადმი და ეს სიყვარული გამოამჟღავნეთ ქართულ რადიორედაქციაში მრავალ-წლიანი მუშაობის დროს. ამით დაგვეხმარეთ ჩვენ, ემიგრაციაში მცხოვრებ ქართველებს, მიგვეწოდებია ჩვენი ხალხისათვის, საქართველოში, ობიექტური და ჭეშმარიტი ინფორმაცია. ამიტომაც გვსურს გადაგიხადოთ დიდი მადლობა არა მარტო ჩვენი, რადიორედაქციის წევრთა სახელით, არამედ მთელი ქართველი ერის სახელითაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ ერთხელ გვსურს ჩვენს ნოდარ გაგულაშვილს მივულოცოთ დაბადებიდან 65 წლის შესრულება და იმავე დროს ვისურვოთ, დღეგრძელი იყოს ქართველი და ებრაელი ხალხების 2600-წლოვანი მეგობრობა!

მრავალჟამიერ!.....

კარლო ინასარიძე

მიუნხენი, 26 აგვისტო, 2001 წელი

## რადიო „თავისუფლების" დაარსების 50 წლის იუბილე

*2003 წლის პირველ იანვარს სრულდება 50 წელი, რაც რადიო „თავისუფლების" მეშვეობით, ინფორმაციის თავისუფალი დინებით, დაიწყო ბოლშევიკური „რკინის ფარდის" გარღვევა, რაც ემყარებოდა ერთის მხრივ ინფორმაციის თავისუფალი გავრცელებისა და მეორის მხრივ, ერისა და პიროვნების თავისუფლების საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს. აი, ამ ისტორიულ მოვლენას ვუძღვნით გადაცემათა ციკლს, რომლითაც გვსურს გაგაცნოთ თქვენ, ძვირფასო მკითხველო, რადიო „თავისუფლების" წარსული, აწმყო და მომავალი რაობა.*

რადიო „თავისუფლების" როლი ყოფილი საბჭოთა კავშირის დემოკრატიზაციის საქმეში.

საბჭოთა რეჟიმის პირობებში, „კომუნისტური რკინის ფარდის" მიღმა მოქცეული ხალხებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რადიო „თავისუფლება/თავისუფალი ევროპის" გადაცემებს. საბჭოთა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები კომპარტიის რუპორს წარმოადგენდნენ და მხოლოდ ცალმხრივად, კომპარტიის იდეოლოგიური კუთხიდან აშუქებდნენ ამა თუ იმ საკითხს, რის გამოც საზოგადოება ვერ იყო სათანადოდ ინფორმირებული.

რადიო თავისუფლება/თავისუფალი ევროპა საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების ენებზე გადასცემდა სწორსა და ობიექტურ ინფორმაციას, მსოფლიოს უდიდესი საინფორმაციო სააგენტოების ცნობებზე დაყრდნობით პირუთვნელად აშუქებდა და აანალიზებდა მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს, აქტიურად უჭერდა მხარს ადამიანის უფლებების დაცვის მოძრაობას საბჭოთა კავშირში.

კაგებე ატარებდა საშინელ რეპრესიებს ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ, აპატიმრებდა, სპეციალურ იზოლატორებში ამწყვდევდა ან ციმბირში ასახლებდა მათ.

საბჭოთა პრესა, რადიო და ტელევიზია, ან სრული დუმილით უვლიდა გვერდს ამ უკანონობას, ან ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლთ კრიმინალებად, დამნაშავეებად და შეურაცხადებად სახავდა.

რადიო „თავისუფლება/თავისუფალი ევროპა" დაუყოვნებლივ გადასცემდა ცნობებს საბჭოთა სადამსჯელო ორგანოების უკანონო მოქმედებათა შესახებ, აცნობდა საბჭოთა საზოგადოებას ადამიანის უფლებებისათვის, საბჭოთა წყობის დემოკრატიზაციისათვის მებრძოლთა სახელებს, რაც ძალასა და ენერგიას მატებდა მათ. ამით რადიო „თავისუფლება/თავისუფალმა ევროპამ" უდიდესი როლი ითამაშა ყოფილ საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დემოკრატიზაციის პროცესის წარმოქმნასა და გამტკიცებაში.

ამიტომაც იყო, რომ კომუნისტური რეჟიმების დამხობის შემდეგ, აღმოსავლეთ ევროპის რიგ სახელმწიფოთა ლიდერებმა და საზოგადო მოღვაწეებმა წამოაყენეს წინადადება,- რადიო „თავისუფლება/თავისუფალი ევროპისათვის" ნობელის სამშვიდობო პრემიის მინიჭების შესახებ.

1994 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა რადიო „თავისუფლება / თავისუფალი ევროპის" რედაქტორებსა და წამყვან ჟურნალისტებს დაუგზავნა საპატიო სიგელები, რომლებშიც მაღალი შეფასება მისცა მათ მიერ გაწეულ მუშაობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*აი, რას წერდა პრეზიდენტი კლინტონი  აღნიშნულ საპატიო სიგელში:*

THE WHITE HOUSE

WASHINGTON

October 25, 1994

Radio Free Europe/Radio Liberty

Munich

GEERMANY

On behalf of a greateful nation, I want to thank you for your service as an employee of Radio Free Europe / Radio Liberty. RFE/RL played a crucial role in the development of democratic forces in Eastern Europe and the former Soviet Union, and you contributed to its mission in many valuable ways. The world will feel the impact of your loyal service and your dedication to the cause of freedom for years to come.

Thank you for your outstanding efforts.

Sincerery,

Bill Clinton

*„მადლიერი ერის სახელით, მსურს მადლობა გადავიხადოთ რადიო თავისუფლება / თავისუფალ ევროპაში გაწეული მუშაობისათვის. ამ რადიოებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში დემოკრატიული ძალების განვითარებაში და დიდია თქვენი წვლილი ამ საპატიო საქმეში. მსოფლიოსათვის საგრძნობი და თვალნათლივი იქნება მშვიდობის საქმისათვის თქვენს მიერ გაწეული მუშაობის შედეგები.“*

*გმადლობთ შესანიშნავი მუშაობისათვის.*

*გულწრფელად*

*ბილ კლინტონი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორმოც მოწამეთა ეკლესია
## ჟამთა სვლის უტყუარი ბარომეტრი

„ჰაბის წამება“ უძველესი წერილობითი წყაროა, რომელიც თბილისში, ამირას სასახლის მახლობლად, ორმოცი მოწამის სახელობის ტაძრის არსებობას გვახსენებს. 786 წლის 8 იანვარს (ძველი სტილით) წმინდანს თავი მოჰკვეთეს. ამ დროისათვის თბილისში ორმოცი მოწამის სახელობის ეკლესია უკვე აშენებული იყო. არაბთა მუსლიმანურ პოლიტიკას არ ახასიათებდა ქრისტიანულ ეკლესიათა დარღვევა. ისინი მხოლოდ აკონსერვებდნენ ტაძრების მშენებლობას.

ეკლესია თბილისის ცენტრში დღევანდელ აბანოთუბანში მდებარეობდა. დღეს იგი დედაქალაქის ისტორიული მაჯისცემის უტყუარი საზომია. არქეოლოგიურ გათხრათა შედეგები გვიდასტურებენ, რომ ტაძარი ყოველთვის იზიარებდა ქალაქის ბედს. აოხრებდნენ თბილისს და ისიც ინგრეოდა. მის ადგილას ჩნდებოდნენ სამოსახლოები. დგებოდა ჟამი შენებისა და ახალი ტაძარი წამოიმართებოდა. სულ ცოტა ხნის წინ ამ ადგილზე სამშენებლო ნაგვით გარშემოყრილი ნაეკლესიარიღა იხილვებოდა.

ნაეკლესიარი და მისი მიმდებარე რამდენიმე არქეოლოგიურ-კულტურული შრისაგას შედგება. უძველესი ფენა ქალაქის გალავნის ნაშთითა და მასში შემავალ ნაგებობათა კომპლექსითაა წარმოდგენილი. იგი IV-VI საუკუნეებით თარიღდება. თბილისის უძველესი გალავანი 626-627 წლებში ბიზანტიელთა და ხაზართა ერთობლივი ჯარის მიერ დედა-ქალაქის აოხრებას ემსხვერპლა. ორმოცი მოწამის სახელობის ეკლესიის საკურთხევლის ნაწილი სწორედ ფუნქციადაკარგულ დანგრეულ გალავანზე აღიმართა. მეცნიერთა აზრით, ტაძარი არაბთა ბატონობის ხანამდე უნდა აგებულიყო, სავარაუდოთ ხაზარ-ბერძენთა ერთობლივი ლაშქრობის შემდეგ, მაგრამ არქეოლოგიური გათხრების დასასრულამდე ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა შეუძლებელია.

853 წელი საბედისწერო აღმოჩნდა თბილისისათვის, რადგანაც სასტიკმა ტირანმა ბუღა თურქმა იგი თითქმის მთლიანად გადაწვა. ამ გარემოებას ორმოცმოწამეთა ეკლესიაც ემსხვერპლა. ტაძარი სავარაუდოდ, 1125 წელს დავით აღმაშენებლის მიერ თბილის აღების შემდეგ უნდა აღდგენილიყო, რამეთუ გათხრების დროს აღმოჩენილი კულტურული ფენები 1226 წელს ჯალალედინის მიერ თბილისის აოხრების მოველენებს ირეკლავს. მან სიონის ტაძრის მორღვეულ გუმბათზე ტახტი დაიდგა და ქრისტიან მოსახლეობას ღვთისმშობლის ხატის შებღალვა უბრძანა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას სიკვდილით დასჯიდნენ. ამ დღეს ასიათასი ქრისტიანი ქართველი ემსხვერპლა. ქართველი მართლმადიდებელი ეკლესიის მატიანეში კი ამ თარიღს ასი ათას მოწამეთა დღედ მოიხსენიებენ. ქალაქის თავს დატე-ხილი განსაცდელი აისახა აგრეთვე ორმოც მოწამეთა ტაძარზეც. ეკლესიის შენობის ხელახალი აღდგენა გიორგი ბრწყინვალის მეფობას (1314-1346წ) უკავშირდება.

1386 წელს თემურ ლენგმა „შემუსრნა ყოველი ციხენი და დააქცევინა ყოველნი საყდარნი, მონასტერნი და ეკლესიანი და დაფარნა ლაშქარმა ყოველნი მინდორნი, მთანი და ტყენი, კლდენი და ხევნი და, ეითრცა ზვავმან, დაფარნა ყოველი ესე ქუეყანაი“.

1792 წელს ერეკლე მეორემ სომხებს ამ ტერიტორიაზე ძეგლების აშენების ნება დართო. მათ ეკლესიას სახელიც შეუცვალეს და მთავარანგელოზისა უწოდეს. ასე იქცა ორმოცი მოწამის სახელობის მართლმადიდებლური ტაძარი მთავარანგელოზის გრიგორიანულ ეკლესიად. სამი წლის შემდეგ იგი აღა-მაჰმად-ხანის შემოსევას ემსხვერპლა.

პლატონ იოსელიანი ცნობით 1830 წელს მიწა, სადაც ტაძარი მდებარეობდა, შეიძინა თათარმა მირზა აბულფუტმა. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში იგივე მიწა თბილისელმა მოქალაქემ მიითვისა და ზედ დასახლდა. მე-19 მე-20 საუკუნეთა მიჯნაზე ტაძრის ტერიტორიაზე თბილისელმა სომხებმა ისევ აღადგინეს მთავარანგელოზის ეკლესია.

საუკუნეების განმავლობაში თბილისში დატრიალებულმა მოვლენამ თავის კვალი დაატოვა ორმოც მოწამეთა წმინდა ეკლესიას. განსაკუთრებით უარსო იყო ბნელეთის ძალთა უკანასკნელი შურისძიება: 1925 წელს კომუნისტურმა მთავრობამ ტაძრის ადგილზე საზოგადოებრივი საპირფარეშო გახსნა...

კაცთმოყვარე უფალმა ეს შეცოდებაც შეგვინდო და, როგორც ადრე მრავალგზის, ახლაც მიგვანიშნა ორმოც მოწამეთა მადლმა, რომ ჩვენს გულებსაც შეხებოდა მსოფლიო საქრისტიანოს მათდამი ლოცვის ძალა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 1998 წლის 1 ივლისიდან თბილისში, აბანოთუბანში, სამღებროსა და ბოტანიკური ქუჩების გადაკვეთაზე არქეოლოგიური სამუშაოები დაიწყო. გათხრები წმინდა მიხეილ ტვერელისა და ნიკოლოზის სახელობის ეკლესიათა მრევლის მწირი შემოწირულობებით დაიწყო.

არქეოლოგიურმა გათხრებმა თბილისის ისტორიის ბევრ ბუნდოვნებით მოცულ საკითხს მოჰფინა ნათელი, მაგალითად ჩვენ შეგვიძლია პასუხი გავცეთ სომეხ „მეცნიერებს", რომლებიც ორმოც მოწამეთა ეკლესიას სომხურად მიიჩნევენ. ცნობილია, რომ მონოფიზიტურ სომხეთში ფრესკული ხელოვნება არ განვითარებულა. გამონაკლისს წარმოადგენს წმინდა დავით აღმაშენებლი ეპოქა, როცა სომხეთი ქართული სახელმწიფოს ნაწილს წარმოადგენდა, ქართული კულტურის ზეგავლენით მაშინ ზოგიერთი სომხური ეკლესიაც მოიხატა. აბანოთუბანში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი შუა საუკუნეების ფრესკათა ნაშთები აბათილებენ აღნიშნული ტაძრის მიმართ სომეხთა პრეტენზიებს. შუა სახუკუნეების ქალაქური ცივილიზაციის ნაშთები დაფიქსირებულია ძველი სამოსახლოების ნანგრევთა და ყოფითი საგნების ნატეხთა სახით. ამოღებულია X-XII საუკუნეების მოჭიქული ჭურჭელი, მინის სამედიცინო დანიშნულების ან სანელსაცხებლე ჭურჭელი, შუა საუკუნეების მინისა ფაიფურის ჭურჭელი, თიხის მოჭიქული კრამიტის ნაშთები. აგრეთვე აღმოჩენილია ქუფურის ფელსის ნატეხები (VIII-XI სს.), ბიზანტიური ფული (X ს.), მონეტა ჯალალ-ად-ინის სახელით (1226 წ), სპარსული საქალაქო სპილენძი ქალაქ შემახიიდან (XVI ს.).

ფინანსური შემწეობის შემთხვევაში გათხრების დასრულების შემდეგ ორმოცი მოწამის სახელობის ეკლესიას აღადგენენ, ეკლესიის ქვეშ აღმოჩენილ კულტურულ ფენებს კი დააკონსერვებენ და მიწისქვეშა მუზეუმს გახსნიან. საქართველოს კულტური მემკვიდ-რეობის ფონდს სურს ამ ტერიტორიის ერთგვარ ნაკრძალად გამოცხადება. ქართველ ბიზნესმენებსა და ყველა მსურველს გვეძლევა საშუალება პატრიოტული მოვალეობის აღსრულებისა. ერი და ბერი უნდა დაირაზმოს ტაძრის აღსადგენად.  გავიხსენოთ, თუ რა შეძლეს ერთობით თავის დროზე ბრძენმა ჭყონდიდელმა და სრულიად ახალგაზრდა მეფე დავითმა.

გვწამს, უფალი კიდევ დაიცავს ორმოც მოწამეთა სახელობის ტაძარს და მშრალ სხეულებს იმით დაუამებს, რომ კვლავ წამოიმართება ტაძარი-მემატიანე, რომელიც კვლავ გააგრძელებს ქრისტიანული საქართველოს მუდმივ ბრძოლას ურჯულოებასთან.

ზაზა მესხი
ლონდონი, 2002 წლის 30 აპრილი

## "ისტორია უკანსვლით"

I.

„ბელადის კულტი სტალინის მუზეუმში. დღევანდელ დროს ჯერ კიდევ ვერ მიაღწია საქართველოს ქალაქმა გორმა". აი, ასეთი სათაური და ქვესათაური აქვს გერმანიის დიდი გაზეთის "ზიუდდოიჩე-ცაიტუნგის" (მიუნხენი, 2002 წლის 9-10 თებერვალი) კორესპონდანტის- ფილიპ თერის რეპორტაჟს გორიდან, რომელშიც ის, სხვათა შორის, წერს:

II.

"გორის, სტალინის სამშობლოს ქუჩებში, ორმოები ღრმაა და აქა- იქ არ მოიპოვება კანალიზაციის სახურავიც კი, რადგან იგი მეჯართეებისათვის მიუყიდიათ. მტვრიან ქუჩებში ზანტად მიემართება 70-იან წლებში, შევროლეს წაბაძვით გამოშვებული ვოლგა და აკრობატიულად გვერდს უვლის ასფალტიან ორმოებს. მანქანა, ქალაქის ცენტრში, ვირშებმულ ურემს კინაღამ დაეტაკა. სავარაუდოდ, ამგვარ ავარიას, ეს დამტვრეული ვოლგა ვერ გადაიტანდა და მოგვიწევდა, დავჯერებულიყავით ვირის ურემს, და გაგვეზიარებინა ის ბედი, რომელშიც საქართველო 1991 წლიდან იმყოფება, როდესაც მთლიანად დაინგრა საბჭოთა კავშირი. იმ პერიოდის განვითარებადი საქართველო, რომელიც მაშინდელ საბერძნეთსა თუ პორტუგალიას შეედარებოდა, დღესდღეობით მე- 19 საუკუნის ყოფა-ცხოვრებას დაუბრუნდა".

III.

"ეს უკანსვლა შესაძლოა დაინახოთ მოსახლეობის ელექტროენერგიითა და წყლით მომარაგების ხშირი შეწყვეტისას. როდესაც, ხალხი იძულებულია, საღამოები სანთლის შუქზე გაატაროს და წყალიც სათლით ზიდოს. გასულ წელს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში ადგილი ჰქონდა შიმშილობასაც".

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV.

"მძღოლმა უახლესი საყვირით აგვაშორა მრავალ აეარიას და ასე აღმოვჩნდით გორის ცენტრში. აქ კი იწყება მოგზაურობა არა ასი წლით, არამედ 50 წლით შორეულ წარსულში. დიდ მოედანზე სტალინის გრომადული ძეგლი მიგვითითებს მომაველისაკენ. თავად ძეგლი შემკულია ტორტისმაგვარი საბჭოთა სტილის ნაგებობათა ანსამლით, რაც ყოფილ სტალინის გამზირს-ბერლინში, ზიზილპიპილოებით აჭარბებს. შუაში, ქალაქის საბჭოა- მინის გუმბათით, მარჯვნივ-პატარა სასახლე, საპრეზენტაციო კიბით, რომელიც ალბათ, ერთ დროს, კულტურის სასახლე ან უნივერმაღი იყო. მაგრამ, სიდიდითა და მორთულობით ყველაფერს ჩრდილავს ხელმარცხნივ მდებარე ნაგებობა, რომელიც ტაძრის მსგავსად შემკულია კოლონადებით, ორიენტალური ფერადი მინის ფანჯრებით, ქვის ორნამენტებით და ამ ყველაფ აერთიანებს ზარის კოშკი. ეს არის სტალინის მუზეუმი- ჩვენი მოგზაურობის ცენტრი. მასთან მიახლოვებისას, ადამიანს ჯუჯად აქცევენ ეს უზარმაზარი სვეტები და შესასვლელის მონუმენტური დარბაზი".

V.

"ჯერ კიდევ სსრკ-ას კომპარტიის მე-20 ყრილობაზე, 1956 წელს, დაგმობილ იქნა სტალინის პიროვნების კულტი და მისი ყველა ძეგლი გაქრა, მაგრამ გორამდე ვერ მიაღწია. სტალინის მუზეუმის მშენებლობა 1956 წელს დასრულდა და ჯერ კიდევ სტალინის დროებითი მემკვიდრის, შიშისმგვრელი საიდუმლო პოლიციის მეთაურის- ბერიას დროს გაფართოებულ იქნა. ბერიას მოკვლის შემდეგ, სტალინის მუზეუმი დაიკეტა ორი წლით. მაგრამ მოგვიანებით, ყოველგვარი ცვლილების გარეშე ისევ გააღეს... და დღეს, ალბათ, ვერსად ვერ ნახავთ საზოგადოებრივ ნაგებობას ისე მოვლილს, როგორც სტალინის მუზეუმს გორში".

VI.

"დღევანდელ საქართველოში მოსახლეობის 85 პროცენტი ცხოვრობს სიღარიბეში ან სიღარიბის საზღვრის უფრი დაბალ პირობებში, ხოლო 15 პროცენტი ცხოვრობს ფუფუნებაში, რომლებიც მერსედესებითა თუ ბე-ემ-ვე-ს მარკის ავტომობილებით დადიან. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქართველები ყვლეფენ ერთმანეთს. და ეს სისტემა სიცოცხლისუნარიანია მსოფლიოს ბანკის კრედიტების საშუალებით, ე.ი. რევოლუცია მოსალოდნელი არ არის, მოსალოდნელია, მხოლოდ შიმშილობით გამოწვეული არეულობა".

VII.

ფილიპ თერი დასძენს: "საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ, მოსახლეობის შემოსავალი შემცირდა ოთხჯერ, საბჭოთა პერიოდთან შედარებით... ამდენად, გორის მუზეუმი, მუზეუმის მუზეუმია, რომელიც განუმეორებელ სურათს იძლევა სსრკ-ს ისტორიისა".

VIII.

და ამ ცნობას, დავსძენთ ჩვენ, ის უწოდებს- "ისტორიას უკანსვლით" და როგორც ჩანს, ფილიპ თერი ვერ ამჩნევს, რომ თვითონ "ისტორიის უკანსვლისაკენ" მოგვიწოდებს, როცა გვეუბნება "ოთხჯერ მეტი" შემოსავალი ჰქონდა საქართველოს მოსახლეობას... უცხო ძალის განუკითხავი ბატონობის პირობებშიო...

კ.ი. ფილიპ თერი (ზც-9-10. 2. 2002წელი)

## "ქართველი ეშმაკი მელა"

„ქართველი ეშმაკი მელა" – „პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძემ ამერიკელი სპეციალისტები შემოიყვანა პანკისის ხეობაში; მას სურს საქართველო რუსეთის დახრჩობისაგან გადაარჩინოს" – ასეთ სათაურსა და ქვესათაურს აძლევს თავის მიმოხილვას გერმანელი კორესპონდენტი – თომას ურბანი, რომელიც სხვათაშორის, წერს:

„თბილისიდან ქვეყნის ჩრდილოეთ – აღმოსავლეთ – კუთხეში მდებარე პანკისის ხეობაში შესასვლელ გზაზე ყოველთვის განლაგებულია საგუშაგო. მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობასა და სამხედრო პირებს აქვთ ხეობაში შესვლის უფლება. ამ თოვლიანი მთებით შემოფარგლულ ხეობაში საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობს ჩეჩენი უმცირესობა საქართველოში და უკვე რამდენიმე წელიწადია ათასობით ჩეჩენი ლტოლვილი მოდის რუსეთის მიერ განადგურებული ჩეჩნეთიდან, რომელიც კავკასიონის მთების მეორე მხარეს მდებარეობს."

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ეს ხეობა უკვე აღარ არის საქართველოს ცენტრალური მთავრობის კონტროლის ქვეშ. ლტოლვილებმა, მათ შორის რამდენიმე ასეულ შეიარაღებულ აჯანყებულს, თითქოს შეუქმნიათ იქ საკუთარი რეჟიმი, სადაც ბატონობს ფუნდამენტალიზმი და მაფია. თბილისი აქამდე ცდილობდა თავიდან აეშორებინა რუსეთ-ჩეჩნეთის ომში ჩარევა, ფიქრობდა რა რომ პანკისის ხეობა ისედაც მივარდნილი კუთხეა. მაგრამ ამ მივარდნილ კუთხეში ალ – ქაიდას ისლამისტური ტერორისტები გარეულა; ამერიკის ჯარების სულ 200-მა ჯარისკაცმა უნდა აღკვეთოს მათი მოქმედება. ზოგიერთი ქართული გაზეთი წერდა, რომ თვით საუდის არაბეთის ტერორისტების მბრძანებელ – ოსამა ბინ ლადენსაც – კი განუზრახავს მოკალათება პანკისის ხეობაში, მაგრამ ამის დამამტკიცებელი საბუთი მათ არ გააჩნიათ."

„მაგრამ პანკისის ხეობაში არსებული მდგომარეობის შესახებ ქართველები თავს არ იწუხებენ. უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ამერიკელები საერთოდ საქართველოში არიან. გაზეთი „რეზონანსი" წერდა:

„ისინი (ამერიკელები. კ. ი. ) არიან უკეთესი მომავლის გარანტია!"

არა იმიტომ, რომ რამდენიმე ათასი ჩეჩენი საქართველოში საშიშია, რომელთა უმრავლესობა გაძვალტყავებული ლტოლვილებია, არამედ უმთავრესად საქმე ეხება რუსეთს, საქართველოს მეტად ძლიერ მეზობელს ჩრდილოეთით. რუსები ორასი წელიწადია განსაზღვრავენ საქართველოს ბედ – იღბალს და დღეს ხელი შეუშვეს საქართველოს დახრჩობას. სულ ცოტა, ქართველების დიდი უმრავლესობა ასე ხედავს ამ პრობლემას".

„მოულოდნელი დაპატიჟებით ამერიკის არმიისა საქართველოში, შევარდნაძემ მოიგო თანამემამულეთა გული, და მისთვისაც სასარგებლოა ამჯერად. შევარდნაძის კლანის მრავალი თანამონაწილე ფუფუნებაშია იმ დროს, როცა ქვეყანა გაღატაკებულია... უცბად ისევ ამობრწყინდა შევარდნაძის ვარსკვლავი ამერიკელების წყალობით. „ქართველ მელას", როგორც მას უწოდებს რუსეთის პრესა, სურს რაც შეიძლება დიდხანს ჰყავდეს ამერიკის ჯარისკაცები საქართველოში. ეს, როგორც სჩანს, დაეხმარება მას ქვეყნის მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებაში; ესაა აფხაზეთის პრობლემა, ნავთობი და გაზი. შავი ზღვის სანაპირო პროვინცია აფხაზეთი, სამოქალაქო ომის შემდეგ 1992 – 1993 წლებიდან ფაქტიურად იმყოფება არა საქართველოს, არამედ რუსეთის ეკონომიკის კონტროლის ქვეშ. აფხაზეთში აღებ – მიცემობა წარმოებს არა ლარით, არამედ რუსული მანეთით; ათასობით ტურისტი მოდის აფხაზეთში რუსეთიდან; აფხაზეთს იცავს რუსის ჯარები, ოფიციალურად „ სამშვიდობო ჯარების" სახელწოდებით. ჯერ კიდევ ათი წლის წინათ აფხაზეთში ცხოვრობდა 300 ათასი ქართველი, რომლებიც რუსეთის ჯარებმა განდევნეს საქართველოს ამ ტერიტორიიდან, ამით სურდა კრემლს, როგორც ჩანს, შევარდნაძის დასჯა, რომელიც ხალისუფლებაში მივიდა რუსეთის საიდუმლო პოლიციის მეშვეობით, მაგრამ დასავლეთს მიემხრო, და უარი სთქვა ხელი მოეწერა რუსეთთან სამხედრო კავშირის შეთანხმებაზე. სოხუმისათვის ბრძოლების უმაღლეს წერტილზე შევარდნეძემ, 1993 წელს, ნატოს მოთხოვა დახმარება, მაგრამ ამაოდ".

შემდეგ აქ ვკითხულობთ:

„თითქმის ათი წლის შემდეგ უკვე დგას შეერთებული შტატების ერთი ნაწილი საქართველოში, რომლის რაოდენობა 200 კაცითაა განსაზღვრული, როგორც გვატყობინებს თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებიც ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ რეფორმების ჩახშობისა და კორუფციის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, გამოვიდნენ ქუჩებში შევარდნაძის სურათებით, ამერიკული დროშებითა და ევროპის კავშირის დროშებით. ამერიკის შეერთებული შტატების დროშა გამოკიდებულია აგრეთვე აწ უკვე გაპარტახებული ჰოტელის „ივერიის" ფასადზე, სადაც დღეს ლტოლვილები აფხაზეთიდან ცხოვრობენ.

„საქართველოს პრეზიდენტს სურს აგრეთვე ცოტა რამე შეთავაზოს: სახელდობრ გაზისა და ნავთობის უშიშარი ტრასა კასპიის ბასეინიდან შავ ზღვამდე.

გაზეთ „ რეზონანსის" კომენტარი დაასკვნის:

„უკვე ვართ ჩვენ გაზისა და ნავთობის დიდ თამაშში ჩარეული. ვიყოთ ფრთხილად, რომ თითები უფრო მეტად არ დავიწვათ".

აი, ამონაწერები გარმანელი კორესპონდენტის – თომას ურბანის – ცნობიდან სათაურით – „ქართველი ეშმაკი მელა", რომელშიც წერს, რომ პრეზიდენტ შევარდნაძეს სურს პანკისის ხეობაში ამერიკელთა შემოყვანით, საქართველო რუსეთის დახრჩობისაგან გადაარჩინოს.

თომას ურბანი

-ზც- 6.03.2002, თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# "დამშეული მგლები"

"დამშეული მგლები"- "ისლამისტები, ჩეჩენი პარტიზანები და ბოროტმოქმედნი გაბატონებულია ამიერკავკასიის პანკისის ხეობის კანონგარეშე რეგიონში. საქართველოს მთავრობამ თხოვა ამერიკას დახმარება". ასეთი სათაურითა და ქვესათაურით აქვეყნებს ცნობას გერმანიის, მსოფლიოში აღიარებული ყოველკვირეული ჟურნალი- "დერ შპიგელ"(ნომერი 11, 2002 წელი)-, უვე კლუსმანის ცნობას, რომელშიც იგი, სხვათა შორის, წერს:

"...არავინ არ იცის კავკასიონის მთების სამხრეთით განლაგებულ 3500 მოსახლიდან, მიუხედავად მზიანი დღისა და გაზაფხულის მომასწავებელ ამინდისა, რაც სუფევს სოფელ დუისში, 30 კილომეტრის სიგრძისა და 3 კილომეტრის სიგანის პანკისის ხეობაში. აქ ცხოვრობს 7000 მუსლიმანი- ჩეჩენი ქისტების გვარეულობისა და ამდენივე ლტოლვილი- ჩეჩნეთის რესპუბლიკიდან. საქართველოს ამ ჩრდილოეთ რეგიონიდან 70 კილომეტრითაც კი არ არის დაშორებული რუსეთის არმიის ბრძოლის რეგიონი; და ახლა აქ მოეიდნენ ამერიკელები."

"ფილიპ რომლერმა, აშშ-ს დიპლომატმა თბილისში, მარტის დასაწყისში გააკვირვა მთელი მსოფლიო მისი ეჭვით, რომ ტერორისტი ოსამა ბინ ლადენი შეიძლება იმალება კავკასიის ამ ხეობაში. თეთრი სახლის სპიკერმა- არი ფლაიშერმა- საქართველოს ამ მთიან ხეობას უწოდა "უკანონობის ზონა", სადაც არსებობს ალ-ქაიდას ტერორისტების ზეგავლენა".

"სიმართლეა: ...1999 წლის რუსეთის ჯარის ზამთრის შეტევების დროს მრავალი ჩეჩენი გადავიდა საქართველოში და განაგრძეს ჩვეულება... პარავდნენ ადგილობრივ გლეხებს ძროხას, ცხენს თუ ცხვარს, რამაც გლეხობა აამხედრა ლტოლვილების წინააღმდეგ. იტაცებდნენ რა, თვით ადამიანებსაც, რომელთა შორის იყვნენ წითელი ჯვრის სამი თანამშრომელი, ორი ესპანელი საქმოსანი, ერთი ქართველი სასულიერო პირი და ოთხი პოლიციელიც კი... 2002 წლის იანვრიდან საქართველოს უშიშროების ნაწილებმა ჩაკეტეს პანკისის ხეობა. ჩეჩენ ლტოლვილთა სპიკერი- ხამიდ ალიევი- პირდაპირ ამბობს, რომ ჩეჩენი ლტოლვილების უმრავლესობა მოპარული საქონლით ცხოვრობს. "ჩვენ ვცდილობთ ჩვენი ხალხი გადავარჩინოთ",- ამბობს იგი. სხვათა შორის, წერს შემდეგ უვე კლუსმანი,- კავკასიაში მოგზაური ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა 1859 წელს წერდა, რომ "...კავკასიის მთიანეთის მცხოვრებნი უფრო სხვისი საქონლის დატაცებით ცხოვრობენ, ვიდრე მუშაობითო".

"ყოველ ოჯახს ჰყავს აქ ხუთი- ექვსი შვილი. მათი სათამაშოა პლასტიკის თოფები, მათი საყვარელი მხეცია...მგელი. "ჩვენ ვართ ყველა მგლები". "ეს მტაცებელი ცხოველი ჩეჩნეთში არის მითიური სიმბოლო, რაც ამკობს სახელმწიფო ღერბს, ბეჭედს და მიწერმოწერის ფურცლებს, რის შესახებ ალიევი ამბობს: "მაძღარი მგელი არავის არ ერჩის; მშიერი მგელი კი- საშიშია"; მისი აზრით, საქართველოს, რომელმაც ეს ლტოლვილები მიიღო, არ აქვს უფლება შეიარაღებული ძალებით ბატონობდეს აქ; "ჩვენ არ გვჭირია აქ სამხედრო პირები, არც საქართველოსი",- დასძენს იგი.

"ლტოლვილების უმრავლესობა უარს ამბობს დაბრუნდნენ ჩეჩნეთში სანამ იქ რუსის ჯარი ბატონობს".

უვე კლუსმანი განაგრძობს:

"პანკისის ხეობაში, პარტიზანები ყოფილან უმთავრესად მეთაურ - რუსლან გელაევის მიმდევრები, მაგრამ 100 თუ მეტი არაბი, ჩეჩნეთში მებრძოლი მეთაურის- ხატაბის მიმდევარია. ხატაბი იორდანიიდანაა და მჭიდრო კონტაქტი ჰქონია ოსამა ბინ ლადენთან. დუისში მეჩეთი აუშენებიათ საუდის- არაბეთის ფუნდემენტალისტების ფონდის სახსრებით".

"თბილისის კონტროლის ქვეშაა საქართველოს ტერიტორიის სამი-მეოთხედი. სეპარატისტები ბატონობენ აფხაზეთის მდიდარ ტერიტორიაზე და სამხრეთ ოსეთში, რომლებსაც ეხმარება რუსეთი. ... ამიტომ შევარდნაძე მფარველობას ეძებს დასავლეთში; ყველაზე მეტად მას სურს ნატოში გაწევრიანება. ამერიკელები უკვე წლების განმავლობაში წვრთნიან საქართველოს საიდუმლო პოლიციას და ამარაგებენ მას ტექნიკით; ახლა აღჭურვენ საქართველოს სამხედრო ნაწილებს ბოროტთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ათობით აშშ-ს ოფიცერი იმყოფება თბილისის შერატონის ჰოტელში... 100-დან 200-მდე აშშ-ს სამხედრო მრჩეველმა უნდა გაწვრთნას იალგუჯასა და კოჯორში მე-11 არმიის ბრიგადა 1000 ჯარისკაცის შემადგენლობით. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აგზავნის 15 საუკეთესო ჯარისკაცს ანტი-ტერორის დანაყოფიდან აშშ-ში სამეცადინოთ. აშშ-ს საიდუმლო სამსახურმა სი-აი-ემ მიიწვია საქართველოს უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია სი-აი-ეის მთავარ ბინაზე ლანგლეიში".

"კავკასიაში ქართველები უფრო ცნობილია როგორც პრაგმატიკოსები, ვიდრე დიდი მებრძოლები, რაც იმას ამბობს, რომ მათ სურთ არეულობის კერა პანკისის ხეობაში თავდაცვითი გზით ჩააცხრონ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდრე ბრუტალური შეტევებით. მაგრამ ამის გადაწყვეტა უკვე მათ ხელში კი არ არის, არამედ ლანგლეიშსა და პანკისის ხეობაში". "მაგრამ ალ-ქაიდას წინააღმდეგ საბრძოლველად მოდიან ქართველები და ამერიკელები მეტად გვიან. საქართველოს საიდუმლო სამსახურის ცნობით, პანკისის ხეობაში მიმალულმა არაბებმა უკანასკნელ დღეებში მეზობლებს მიყიდეს ტელევიზორები და რადიოაპარატები და ამის შემდეგ წავიდნენ უცნობი მიმართულებით",-დასძენს უკვე კლუსმანი.

"დერ შპიგელ", 11-2002, გვ. 194-195

## „ომი პალმების ხეივნიდან"

ათასობით კილომეტრის დაშორებით აწარმოებს აშშ-ს ფლორიდის შტატიდან საომარ მოქმედებებს ტერორისტების წინააღმდეგ მსოფლიო მასშტაბით. აშშ-ს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, ოთხვარსკვლავიანი გენერალი – ტომი ფრანკსი – ცენტრალური სარდლობის „ომის დარბაზიდან" – „War room" – უძღვება საომარ მოქმედებებს თვით ათასობით კილომეტრით დაშორებულ ავღანეთის მთიან რეგიონებშიც კი.

„ომის დარბაზი" წარმოადგენს ოვალური ფორმის მაგიდას, რომლის ერთ მხარეს განლაგებულია ფართე ეკრანები, რომლის წინა მხარეს ზის, არწივის ნისკარტის მსგავსი ცხვირიანი 56 წლის გენერალი – ტომი ფრენკსი –, რომელსაც მონიტორზე „წინ უდგას" მისი მბრძანებლობის ქვეშ მყოფი გენერლები ხან ავღანეთიდან, ხან ქუვეიტიდან, ხან ბარეინიდან თუ ხან არაბეთიდან, რომლებიც მოკლედ ახსენებენ მთავარსარდალს საომარი მოქმედების წარმოების დეტალურ რაობას ათი-ათასობით კილომეტრით დაშორებული ფლორიდიდან. „ომის მაგიდის" ირგვლივ, მთავარსარდალ ტომი ფრენკსთან ერთად, სხედან გენერლებიც მოკავშირე სახელმწიფოებიდანაც: გერმანიიდან, ინგლისიდან თუ საფრან-გეთიდან, რომლებიც აწარმოებენ საბრძოლო მოქმედებებს „თავისუფლების უზრუნველყოფის" ლოზუნგით – „Endwring Freedom".

სარდლები მსოფლიოს ყოველი კუთხიდან, სადაც განლაგებულია აშშ-ს ჯარები, მოახსენებენ ხოლმე მდგომარეობას მოცემულ რეგიონში და მთავარსარდალი აჯამებს შედეგებს, რაც ყველაფერი მოსჩანს „ომის დარბაზის" მონიტორზე, ეკრანზე; და ამავე დროს სარდლები ღებულობენ მთავარსარდლის ბრძანებებს შემდეგი დღის მოქმედების შესახებ.

ამიტომ წერს თავის ბიოგრაფიაში აშშ-ს დღევანდელი საგარეო საქმეთა მინისტრი და ერაყის წინააღმდეგ წარმოებული ომის დროს აშშ-ს გაერთიანებული შტაბის უფროსი – კოლინ პაუელი: „თუ შენ თითით აჩვენებ ყველაზე უფრო გავარვარებულ წერტილს მსოფლიოში, მაშინ შენ მოხვდები ცენტრალური სარდლობის ადგილას".

აი, ასე წარმოებს დღეს ომი საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ შორეულ კენიაში თუ ყაზახეთში – მსოფლიოს 25 ქვეყანაში; მათ შორის უკვე საქართველოცაა, სადაც, აშშ-ს დახმარებით, შესაძლებელი ხდება ყოველი ჯურის ტერორიზმი და ექსტრემიზმი ავაშოროთ საქართველოს, რაშიც დადებითი როლის თამაში შეუძლია ვლადიმერ პუტინის რუსეთსაც, თუ იგი ხელს აიღებს ექსტრემისტების მხარდაჭერაზე ჩვენს აფხაზეთსა და შიდა ქართლში.

კ. ი., სუსანე კელბლი („შპ.", 13 – 2002)

*

1991 წლის 9 აპრილს, პირველი დემოკრატიული არჩევნების შედეგად დაფუძნებულმა უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა – 26 მაისს ისტორიული აქტის საფუძველზე.

*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლიტერატურა და ხელოვნება

## ბაიროითის ფესტივალის 125 წლისთავი

## „წმინდა შეშლილთა დღესასწაული?... “

“აქ , სადაც ჩემმა ალგ'ნებამ
სიმშვიდე ჰპოვა – აღგზნებითი
სიმშვიდე “.

“Hier , wo mein Wahn
Friede fand-Wanfried“

Richard Wagner (1813-1883)

I

“წმინდა შეშლილთა დღესასწაული” თუ “წმინდა მასხარათა დღესასწაული”- ასეთი სათაური აქვს დიდი გერმანული ყოველკვირეულის “დერ შპიგელის” (31-2001წელი) წერილებს, რომლებიც მიძღვნილია ბაიროთის ფესტივალის 125 წლისთავისადმი. აქ ვკითხულობთ: “ბაიროითი საიუბილეო აღგზნებაში: 125 წლის წინათ დაარსდა ვაგნერის ფესტივალი... მაგრამ წაჩხუბებულმა ვაგნერის კლანმა უკვე დიდი ხანია გაუშვეს შესაძლებლობა, ეს ტრადიციით წმინდა ადგილი გაეხადათ მოდერნულ მუსიკალურ თეატრად”. “შპიგელის” იმავე ნომრის ყდაზე კი გამოსახულია გერმანული ვალკირია შუბით, სადაც ვკითხულობთ: “სამოთხე ბაიროითი”, “ღმერთთა დალუპვა მწვანე მაღლობზე”, რაშიც ნაგულისხმევია ბაიროითის მართლაც „მწვანე მაღლობი“, სადაც თვით რიხარდ ვაგნერმა ააშენა ბაიროითის ფესტივალის თეატრი.

II

საფრანგეთის დიდი “შპიგელის ძმობილი” ჟურნალი “ექსპრესი” (“L; Express”, 26.7.2001, გვ.63) წერს: “ბაიროითი – დაუნდობელი ვაგნერის ოჯახი”; და განაგრძნობს: “ცნობილი ფესტივალის თეატრი, “ფესტივალჰაუზ” – გახსნილ იქნა 1876 წელს, რომელსაც ყოველთვის ხელმძღვანელობს გერმანელი კომპოზიტორის მემკვიდრეები. ქადონსნურობა, რომელიც წარმოშვა ამ თეატრის ისტორიამ, უკვე ერთ საუკუნეზე მეტი ხანია, - იშლება მემკვიდრეთა უთანხმოების წყალობით”.

III

“ყოველ ვაზაფხულზე (მხოლოდ აგვისტოს თვეში. კ.ი.) ათასობით სმოკინგში და საღამოს შესანიშნავ კაბებში გამოწყობილი ადამიანები თავს იყრიან “ბურგერროითის” (ირონიულად უწოდებს ბაირუთს “მოქალაქეთა სადგომს”. კ.ი.) “ფესტშპილხაუზში”. ეს მოღუშული წითელი აგურისაგან აშენებული დარბაზი მოგვაგონებს სწორხაზოვან სარკოფაგს, რომელიც მორთულია 30 წრიული საფეხურით, და სართულებიანი ლოჟებით, რაც იტევს 1925 მაყურებელს. 16 საათზე იკეტება ხის მძიმე კარები, რომლის შემდეგ მოყვება ოთხსაათიანი სპექტაკლი, რომლის დროს ოფლში იწურები, რადგან დარბაზი ჰაერის კლიმატიზაციისა და თეატრის სახურავის მორწყვის გარეშეა“...

IV

„დაუჯერებელი მაგრამ სიმართლეა: ეს თეატრი არის ერთადერთი მსოფლიოში, რომელიც შექმნა ერთმა კომპოზიტორმა და იდგმება მხოლოდ მისი ნაწარმოებები მხოლოდ მისი მემკვიდრეების მიერ. 1951 წლიდან, რიხარდ ვაგნერის შვილიშვილი – ვილფგანგი – „რკინის ხელებით“ მართავს „ფესტშპილჰაუზს“... ვილფგანგი კი უკვე 81 წლისაა, მაგრამ არჩეულია ბაიროთის ფესტივალის ხელმძღვანელად მთელი სიცოცხლის განმავლობაში“. ამიტომ არ ფიქრობს გადადგომაზე, რის გამოც 2001 წლის მარტში შეიკრიბა „რიხარდ ვაგნერის ფონდის საბჭოს 24 წევრი, რომელიც შესდგება ვაგნერის ოჯახის, ქალაქ ბაიროთის, გერმანიის მთავრობის, ვილფგანგ ვაგნერის ადგილზე წამოაყენეს, მისი შვილი პირველ ცოლთან, ევა ვაგნერი-დასკიერი, მაგრამ ვოლფგანგმა განაცხადა, რომ მისი ადგილი თავისუფალი არ არის. ამდენად, დავა „დაუნდობელ ვაგნერის ოჯახში“ („ექსპრესი“) გრძელდება.

V

თუმცა მე (და ჩემი მეუღლეც), მართალია, „წმინდა შეშლილად “ თუ “წმინდა მასხარათ” („Der Spiegel“, „Das heilige Narrenfest“, 31/2001, S. 136) – არ ვგრძნობთ თავს ბაიროითის ფესტივალზე, რომელსაც აგერ უკვე ათეული წლებია ვესწრებით, მაგრამ ვფიქრობთ “პოლიტიკური მუსიკა” – თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნულ ჰიმნებს არ მივიღებთ მხედველობაში – საერთოდ არ არსებობს. და სწორედ ეს არის "ვაგნერიანთა" და "ანტივაგნერიანთა" დაპირისპირების მიზეზი, რაც უფრო რიხარდ ვაგნერის პიროვნე-ბასთანაა დაკავშირებული, ვიდრე მის მუსიკასთან, თუმცა ამგვარი ქირურგიული განკვეთა პიროვნებასა და მის შემოქმედებას შორის რთული პრობლემაა, რაც – თავის მხრივ – იწვევს აღნიშნულ დაპირისპირებას.

## VI

საქმე იმაშია, რომ ვაგნერმა მისი შემოქმედების ცენტრში დააყენა გერმანიკული, ე.ი. არა მარტო გერმანული მითოლიგია, რომლის შედევრად ითვლება "ნიბელუნგის ბეჭედის" ტეტრალოგია, რითაც გაიხსნა ბაიროითის პირველი ფესტივალი 1876 წელს რიხარდ ვაგნერის ხელმძღვანელობით. და სწორედ აქედან იწყება ვაგნერის შემოქმედების, ასე ვთქვათ, "პოლიტიზაცია", რადგან ბაიროითის ფესტივალის გახსნას დაესწრო გერმანიის კაიზერი ვილჰელმ, ბრაზილიის კაიზერი დომ პედრო II, ბავარიის, ვიუტერბერგის, პრუსიის მეფეები თუ პრინცესები, ჰერცოგები, თავადები თუ გრაფები, რომლებიც სადღესასწაულო ვითარებაში ეწვიენ ბაიროითს; და ამ რჩეულთა გუნდს არც კომპოზიტორები აკლდნენ. ბაიროითის ფესტივალის გახსნას დაესწრენ ანტონ ბრუკნერი, კამილ სენ-სენი და პეტრე ჩაიკოვსკი; ცნობილი მხატვრები ჰანს მაკარტი, ფრანც ფონ ლემბახი და ადოლფ მენცელი; აგრეთვე ბაიროიტს ეწვიენ პოეტები და მოაზროვნეები, ხელოვნების მცოდნეები და ტურისტები შორიდან და ახლო ფრანკებიდან. გერმანიის კაიზერმა ვილჰელმ I-მა კი უთხრა რიხარდ ვაგნერს: მე არც კი მჯეროდა, რომ"... თქვენ ამას განახორციელებდით". თეატრი უკვე აშენებული იყო, ტექსტი და მუსიკა შექმნილი, ფესტივალი ხორცშესხმული, რითაც "მწვანე მაღლობი" ბაიროითში გახდა რიხარდ ვაგნერის სამყაროს ევერესტის მთა.

## VII

რიხარდ ვაგნერის "ევერესტის მწვერვალის" აღგზებული ასახვა კი მოგვცა ვაგნერის მოდავე ფრიდრიხ ნიცშემ, რომელმაც თქვა: "ერთ დროს შევიყრით თავს ყველა ბაიროითში და უკვე ვერც კი გავიგებთ თუ როგორ უნდა გაძლო სხვაგან".

## VIII

თომას მანი წერდა: "თვის დასაწყისში შემთხვევით ჩამივარდა ხელში "პარსიფალის" ერთი ბილეთი და წავედი ბაიროითში, პირველად და სიმართლე ვთქვათ, გვიან, რადგან ვაგნერით ალტაცებამ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად დაიკლო ჩემში. მაგრამ, მიუხედავად იმისა რომ მე იქ სკეპტიკურად განწყობილი მივედი და გრძნობამ შემიპყრო თითქოს ლურდში ან მკითხავთან ანდა სხვა შთაგონებითი სიცრუის ადგილთან მივდიოდი, და ბოლოს ვიყავი მეტად აღგზნებული. ზოგიერთი ადგილები, სახელდობრ მესამე მოქმედებაში: წითელი პარასკევის მუსიკა, მონათვლა, მირონცხება და სხვა, შემდეგ გრანდიოზული გარდაქმნის მუსიკა და დაუვიწყარი დასასრული სურათი-არის თავზარდამცემი და სრულიად შთამაგონებელი. მუსიკა არის საერთოდ მოდერნულობის მწვერვალი და მიღწეველი..."(<u>თომას მანი</u>).

## IX

ფრანგი მწერალი რომენ როლანი ამბობს:

"შაბათ დილით დავათვალიერეთ ვაანფრიდი, რომელიც ახლოსაა ჩვენთან. ყველაზე უფრო უბრალო და გემოვნებიანი, რაც ვაგნერმა მის სიცოცხლეში შექმნა: მისი სახლი და მისი საფლავია," – წერს <u>რომენ როლანი</u> და განაგრძობს: "...აქ შეიძლება მხოლოდ ბაიროითზე ლაპარაკი. ყველაფერი სხვა კონკურენციაა. და აქ უკვე ადამიანი მიუნხენს ამჯობინებს პარიზს. იქცევიან ისე, რომ თითქოს არაფერს არ კითხულობენ, ცხოვრობენ ყველაფრის იქით".

"საღამოს საზოგადოება ვაანფრიდში. ვაგნერის მეუღლე (ზიგფრიდის – რიჰარდ ვაგნერის შვილის. კ. ი.) შავებში შარფით... ის არის თავაზიანი ყველას მიმართ და ლაპარაკობს ფრანგულად საუკეთესოდ. მისი ოთხივე ქალიშვილი ქმნიან უკეთეს შთაბეჭდილებას ვიდრე ხუთი წლის წინათ... ყველაფერი ამ საზოგადოებაში უფრო რთულია. ვაგნერისათვის ადვილი საქმე იქნებოდა, ამ მიღებისადმი მეტი ინტერესი გამოეჩინა და საუბრისათვის მეტი გულკეთილობა."

## X

<u>პეტრე ი. ჩაიკოვსკის</u> მოგონება კი გამოირჩევა თავისი დოკუმენტურობით:

"ამ 12 აგვისტოს, პირველ დღეს "ნიბელუნგების ბეჭდის" ტეტრალოგიის პირველი ნაწილის წარმოდგენისას, ჩამოვედი ბაიროითში. ქალაქი ქმნიდა არაჩვეულებრივად გამოცოცხლებულ შტაბეჭდილებას. ადგილობრივი მოსახლეობა და უცხოელები, რომლებიც ყოველი მხრიდან მოსული იყვნენ აქ, მიისწრაფვოდენ რკინიგზის სადგურისაკენ, რომ დასწრებოდენ კაიზერვილჰელმის მიღებას. მეზობელი სახლის ფანჯრიდან შევძელი მე ამ მიღების დანახვა. რამდენიმე წყვილი ბრწყინვალე მუნდირებიანი წინ, შემდეგ ვაგნერის თეატრის მუსიკოსების პროცესია, რომელსაც მიუძღვოდა მისი დირიჟორი ჰანს რიხტერი; მათ მიყვებოდა წერწეტი ტანის მშვენიერი მოხუცი <u>აბე</u>

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისცტი, რომლის ყველგან გავრცელებული პორტრეტი მე მატყვევებდა ; და – ბოლოს ერთი ელეგანტური ეტლი დამახასიათებელი არწივის ცხვირით და ფაქიზი სარკასტული ტუჩებით, რომელიც იყო მთელი ამ კოსმოპოლიტურ-არტისტული დღესასწაულის დამახასიათებელი: თვით რიჰარდ ვაგნერი...

პირველი ხარისხის მუსიკალური ცნობილი პიროვნებები ბრწყინავდნენ არმოსელით: ვერდი, გუნო, ამბრუაზ თომას, ბრამსი..."

"ზუსტად ოთხ საათზე გაისმა ფანფარების ხმა. ყველა შეცვივდნენ თეატრში. ხუთი წუთის შემდეგ ყველა იჯდა თეატრში. ისევ გაისმა ტრომპეტის ხმა., ხმამაღალი ლაპარაკი ჩაჩუმდა, უცბათ გაზის ლამპები ჩაქრა, მთელი თეატრი სიბნელეში, და სიღრმეში მჯდომარე უჩინარ ორკესტრიდან გაისმის მშვენიერი ჟღერადობა უვერტიურისა. ფარდა გაიხსნა და წარმოდგენა დაიწყო. ყოველი მოქმედება გრძელდება საათნახევარი. პირველი პაუზა მეტად შემაძრწუნებელია, რადგან თეატრიდან გამოსვლისას მეტად ძნელია ჩრდილში ადგილის პოვნა, რადგან მზე მეტად დაუნდობლად აცხუნებს... "

"ათ საათზე დამთავრდა წარმოდგენა, და დაიწყო გამწარებული ბრძოლა ადგილისათვის რესტორანში... "მიუხედავად ამისა, პ. ი. ჩაიკოვსკი ლაპარაკობს ბაიროითის "უთვალავ განსაცვიფრებელ სიმშვენიერეზე."

## XI

თეოდორ ფონტანეს ბაიროითის ფესტივალიდან მოგონებებში ჩარჩენია "გამოკიდებული საცვლების სუნი", იგი წერს:

"კისინგერიდან, სამი დღის მოგზაურობის შემდეგ, მივედი ბაიროითში, რომ მენახა "პარსიფალი" და "ტრისტანი და იზოლდა". კვირა საღამოს მივედი ბაიროითში. ერთი პოტელიდან და საყაველდან მივდიოდი მეორეში, რაც მეტად საინტერესო იყო... კვირას "პარსიფალი", დასაწყისი 4 საათზე. სამ და ოთხ საათს შუა, რა თქმა უნდა, კოკისპირული წვიმა, მიუხედავად ამისა ორი მარკა გადავიხადე, რომ მწვანე მაღლობზე ავსულიყავი, თუმცა ახლოს ვცხოვრობდი. აკოტავებული შარვლით შევედი თეატრში, ყველაფერი სველია, წყლით გაჟღენთილი, სიცივე; გამოკიდებული საცვლების სუნი. 1500 ადამიანი თეატრში, ყველა ადგილი დაკავებულია. მე უცნაურად ვგრძნობ თავს. ველა კარი ჩაკეტილია. ამ მომენტში დახუთული ჰაერია, მხოლოდ ფარდიდან იჭრება დარბაზში სუსტი სინათლის სხივი, ზუსტად ისე, როცა "მაკბეტში" მეფე დანკანს მოკლავენ. და გაისმის ტუბას საყვირი თითქოს განკითხვის ჟამი დადგა. მე ეხდები უჟრო ცუდად და როცა უვერტიურა მთავრდებოდა, მე ვგრძნობდი სამ წუთში გული წამივიდოდა ან მკვდარი დავეცემოდი სკამზე; ამგვარად გარეთ გასვლა... მადლობა ღმერთს, ჩემი დაჟინებული მოთხოვნით, გამიღეს კარი და როცა მე გარეთ გამოვედი, ვგრძნობდი კმაყოფილებას... ყველაფერი ეს - ნერვების აშლის გარდა – სულ დამიჯდა 100 მარკა და მაინც მწუხარებას არ გამოვთქვამ, ბაიროითი ვნახე მისი ვაგნერის კულტის სეზონში, ეს ჩემთვის მეტად ძვირფასია".

## XII

ბაიროითის ფესტივალის "პოლიტიზაციის" საბაბი კი გახდა ნაციზმი და პირადად ადოლფ ჰიტლერი, რომელიც, როგორც ამბობენ, აღტაცებული იყო ვაგნერის შემოქმედებით, თუმცა ზოგიერთი, არა მარტო თეატრის მცოდნე, ივიწყებს, რომ "ფიურერს" გერმანული "მწყემსის ძაღლიც" ("შეფერ-ჰუნდიც") კი უყვარდა, მაგრამ ეს ამბობს რამეს დადებითს ან უარყოფითს თვით გერმანულ მწყემსის ძაღლზე?...

## XIII

კლაუს უმბახი კი "წმინდა მასხარათა დღესასწაულს", კ. მარქსის თანახმად, უწოდებს ბაიროითის ფესტივალს, და მეტად საყურადღებო 125-წლიანი უმთავრესი მონაკვეთების ანალიზის შემდეგ, მიდის კატეგორიულ დასკვნამდე:

"დიდი რიჰარდის 100-წელზე მეტმა გენეოლოგიურმა "ცხოვრების ხემ" დაკარგა მისი სიდიადის უკანასკნელი ფოთლები. ვაგნერები გადამდგარია – და ბაიროითიც მათთან ერთად".

## XIV

კლაუს უმბახის ვაგნერების "ცხოვრების ხის" სარკასტულ აღწერაშიც კი ჩაქსოვილია ბაიროითის ფესტიევალური სიდიადეც ყველა აღმართ-დაღმართით". "დანაღვლიანება! აღგზნება! "ჩაიწერა კოზიმა ვაგნერმა თავის დღიურში პირველი (დეფიციტიანი) ფესტივალის დაწყებისას, და მის ქმარმა თითქოს ცხოვრების ხალისიც კი დაკარგა: "რიჰარდი მეტად დანაღვლიანებულია, ის ამბობს, აღარ სურს ცხოვრება! ".

## XV

ეროვნული ბიბლიოთეკა

“ახ, რას ვამბობ, პირიქით: უგვიანეს იმ 1876 წლის აგვისტოში – მისი საკუთარი ოპერის თეატრის ინაგურაციით, პირველი სრული დადგმით გიგანტური დრამისა “ნიბელუნგების ბეჭედი” – და მუსიკის ისტორიაში პირველი კერძო ფესტივალის დაარსებით – საქსონიელი ჯუჯა უკვდავი გახდა და მწვანე მაღლობზე ძეგლი დაიდგა: ფესტივალის თეატრი, ვილა მისი სიმშრების მაღლობზე, შუქურა გერმანული ლაიტკულტურისა”, - წერს ირონიულად კლაუს უმბაში და განაგრძობს:

“აი, აქ დგას გენიალური ამოტივტივებულის ჰერმაფროდიტული ნაგებობა, ნახევრად თივის შენობა, ნახევრად ტაძარი... “მსოფლიო ჩემს ვალშია შემიქმნას რაც მე მჭირია”, ამბობდა ეს “გერმანული გონი”, ეს “უგერმანელესი ადამიანი”, ამბობს სარკასტულად კლაუს უმბახი; და თუ ამას კ. მარქსის გამოთქმას მივუმატებთ – “სახელმწიფო მუსიკოს ვაგნერის მასხარების დღესასწაული”-, მაშინ სრულყოფილი ხდება ბაიროითის ფესტივალის “პოზიციის” ცდები, თუმცა გაურკვეველი რჩება საკითხი როგორი უნდა იყოს საერთოდ “პოლიტიკური მუსიკა”, და სად ჩანს ეს რიჰარდ ვაგნერის მუსიკაში?!...

XVI

განა აღნიშნულის სასარგებლოდ არ მეტყველებს, რომ რიხარდ ვაგნერის მუსიკამ, ამ 125 წლის განმავლობაში, გადაიტანა კაიზერის რაიხი, ვაიმარის რესპუბლიკა, ნაციზმი, ორი მსოფლიო ომი, გერმანიის გაყოფა, მისი გაერთიანება და ვაგნერის შთამომავალთა გაუთავებელი დავა პირველობისათვის?!... და განა ვაგნერის მუსიკა არ გვაიძულებდა ჩვენ, ყველას – ვიყოთ “ვაგნერიანელი” თუ “ანტივაგნერიანელი”, თორემ ვაგნერი და “მისი ბაიროითი” ისე აღიგვებოდა მიწისაგან პირისა, როგორც უამრავი მუსიკალური თუ თეატრალური წამოწყებები ხალხების ისტორიაში?...

XVII

რა თქმა უნდა, აზრთა ჭიდილი ბაიროითის ფესტივალის მომავლის ირგვლივ – “მეტი ვაგნერი, მაგრამ არა მარტო ვაგნერი” – საყურადღებოა, რადგან დრო იცვლება და მასთან, ადამიანის, ადამიანთა კრებულის, საზოგადოების რაობაც, რის პასუხი შეუძლებელია იყოს “არავითარი ექსპერიმენტი”!... და ამდენს რომ ვლაპარაკობთ ბაიროითის ფესტივალის ირგვლივ, განა ეს ნათლად არ მოწმობს იმას, რომ ამას ჩვენ “ვაგნერის მუსიკა გვაიძულებს?...“

XVIII

რიხარდ ვაგნერის მუსიკას ხომ გადგმული აქვს ფესვები ბეთჰოვენისა და კარლ მარია ვებერის ტრადიციაში, რომელმაც ორკესტრის შესაძლებლობა წარმოუდგენელ დინამიურ უკიდურესობამდე აამაღლა და ტრადიციული “ნომრების ოპერის” პრინციპი – რეჩიდატივი, არია, ანსამბლი -, მისი “უსასრულო მუსიკის” იდეალით შეცვლა?... ამგვარად, “თვალსაჩინოდ განლაგებულ სასიმღერო თამაშმა მიიღო განუწყვეტელი მუსიკალური დრამის ფორმა...“, წერს კ. უმბახი. ალბათ, ამგვარი ნოვატორული “მიმიკური მუსიკა” ექცევა ვაგნერის შემოქმედების ცენტრში, რომლის დროსაც შეუძლებელია ფორმა-შინაარს-ეთოსის ქირურგიული განკვეთა, რაც მხატვრული ნაწარმოების სტილისტურ თვისებად გვესახება საერთოდ.

XIX

მაგრამ უმჯობესი არ იქნება თუ ჩვენ ისევ ბაიროითის ფესტივალის 2001 წლის 3 აგვისტოს წარმოდგენას შევეხებით, როცა ნაჩვენები იქნა “პარსიფალი?...“ “პარსიფალზე” მუშაობა რიჰარდ ვაგნერმა ჯერ კიდევ 1865 წელს დაიწყო და, განსაზღვრული პაუზების შემდეგ, დაამთავრა 1882 წელს, და პრემიერა ჩატარდა ბაიროითის მეორე ფესტივალზე 1882 წლის 26 ივლისს.

და, საერთოდ, ვოლფრამ ფონ ეშენბახის “პარსიფალით” (1179-1229), რომელიც რიჰარდ ვაგნერმა “პარსიფალად – “გრიგალის მისტერიად” აქცია და გახდა რიჰარდ ვაგნერის უკანასკნელი, ასე ვთქვათ, შემაჯამებელი ნაწარმოები, არ შეიძლება – დრატიციული “ნორმების ოპერის” პირისპირ – “განუწყვეტელი”, “უსასრულო მუსიკის” ნიმუშადაც ჩაითვალოს?...

XX

1857 წლის წითელ პარასკევს, - ამბობენ ჰელმუდ შტეგერი და კარლ ჰოვე, - შვეიცარიის ლანშაფტის მომაჯადოებელი სიმშვენიერით სურათი ისე გაცოცხლდა, რომ ვაგნერმა მოხაზა პარსიფალის პირველი ესკიზი და წითელი პარასკევის ჯადოსნური ძლერადობა... ეს გაგრძელდა... 1879 წლის აპრილამდე, მაგრამ ზუსტი ინსტრუმენტალიზაცია 1882 წლის იანვარში დამთავრდა. ვაგნერს სურდა ეს “სცენიური-ლოცვითი-თამაშის-დღესასწაული” – “Buehnenweihfestspiel” - მხოლოდ ბაიროითში დადგმულიყო, მაგრამ 30 წლის შემდეგ, ავტორის უფლებების ვადა გავიდა და მალე დაიდგა მსოფლიოს თეატრებში”. “წმინდა მუსიკალური ფორმით “პარსიფალში” ახალი პრობლემები არ არის წამოჭრილი. ვაგნერი უფრო თავს უყრის ყველაფერს, რაც მან აღმოაჩინა და განავითარა, კონცენტრაციულად. მაგრამ მაინც მოსჩანს მის ამ უკანასკნელ ნაწარმოებში ჩამოსხმული სტილი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა მხრივაც "პარსიფალი" არის შემაჯამებელი რეტროსპექტივა და იმედგაცრუებული ერთი კულტურული ეპოქის დასრულება".

## XXI

და თუ "პარსიფალის" და ამით "გრაალის" <u>ზვიად გამსახურდიასეულ</u> განჭვრეტას ვიზიარებთ, "პარსიფალი" ღებულობს ახალ (!) განზომილებას. "გრაალის ეტიმოლოგია, გრაალი,.. – ამბობს ზვიად გამსახურდია, - მომდინარეობს ძველპროვანსული და ალბათ, ძირით კაბადოკიური ტერმინიდან "გრაცალ" და საერთოდ, გრაალის მიმდინარეობა ქართველური ტომების შექმნილია აგრეთვე. კაბადოკიური ეთნოსი, რომელიც იგივე ქართველური, პროტოიბერული ეთნოსია, არის ძირითადი შემქმნელი გრაალის მიმდინარეობისა. თიტურელი, ცნობილი პირველი მფლობელი გრაალისა, ეროვნებით იყო კაპადოკიელი, ე.ი. ქართველური წარმოშობისა. შემთხვევითი როდია, რომ კაპადოკიელები იხსენიებიან სულუწმინდის გადმოსვლის დღეს, მეერგასისე დღეს, რომელიც მოცემულია მოციქულთა საქმეში (საქმე, 2, 9). კაბადოკიელები ესწრებოდნენ სულიწმინდის გადმოსვლას და გრაალის მისია ეს არის სულიწმინდის მისია. გრაალი ეს არის სულიწმინდის მატარებელი, გრაალი ეს არის სიმბოლო ღვთისმშობლისა, სულიწმინდისა და გრაალის მფლობელი არის სულიწმინდით განმსჭვალული ადამიანი. გრაალის მოძრაობა, გრაალის ქრისტიანობა შექმნეს სწორედ იბერიულმა ხალხებმა. ის შექნეს ჯერ კაპადოკიაში, შემდეგ პროვანსში, ლანგდოკში, სადაც ძირითადათ იბერიული და კელტ-იბერიული მოდგმის ხალხები ცხოვრობდენ. კელტ-იბერები იგივე იბერებია წარმოშობით, რომელთაც შემდეგ, გვიანდელ პერიოდში შეერწყენ კელტები. კელტების მიგრაცია ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით მესამე საუკუნიდან დაიწყო და მოგვიანებითაც გაგრძლდა. შემდეგ ჩამოყალიბდა კელრ-იბერიული მოდგმა, მაგრამ წარმოშობით მაინც იბერიულია. კელტ-იბერული მოდგმაც კაპადოკიასთანაა დაკავშირებული და სწორედ კაპადოკიიდან, ამ მესხური, ანუ მოსხური, ზანური კაპადოკიიდან მომდინარეობს გრაალის ქრისტიანობა და გრაალის მიმდინარეობა. ქართლში არის, სხვათაშორის, სოფელი გრაკალი. რამდენადაც პირველი სახელი ამ თასისა არის გრაცალი, გრაკალი და გრაცალი აშკარად მონათესავეა და ეს ტოპონიმი უნდა იყოს გრაალთან დაკავშირებული, ჩვენის ღრმა რწმენით. გრაალი მოხსენიებული არის შავთელის ოდებში. შავთლის ოდებში მას ეწოდება "მადლთა ბარძიმი, ერთა განსაწმენდი". როგორც მოგეხსენებათ, გრაალი არის ბარძიმი, თასი და გარდა ამისა, ეს თასი მოხსენებული არის ქართულ ფოლკლორში, კერძოდ, როდესაც წმინდა გიორგი – ქართული ფოლკლორის წმინდა გიორგი – ლაშქრობს ქაჯავეთში კოპალასთან და იახსართან ერთად, მას ქაჯავეთიდან მოაქვს თასი და ჩვენი ღრმა რწმენით ეს გრაალის თასია. ე.ი. წმინდა გიორგის ჩასვლა ჩვესკნელში დაკავშირებულია გრაალის თასის წამოღებასთან, ე.ი. ეს არის ინიციციის სიმბოლო. ამრიგად უკავშირდება გრაალი ქართულ კულტურას, ქართულ ფოლკლორს, საქართველოს ისტორიას. გელათის ფრესკების ძირითადი მოტივები გრაალის თასთან არის დაკავშირებული. ყრმა მაცხოვარი, რომელიც უჭირავს გელათის ღვტიმშობელს, შუბლზე გრაალის ტვიფრას ატარებს! ასე რომ, ეს უაღრესად მჭიდრო კავშირშია ქართულ კულტურასთან და რაც შეეხება "ვეფხვისტყაოსანს", შეიძლება ითქვას რომ "ვეფხვისტყაოსანიც" გრაალის პოემაა იმიტომ, რომ გრაალის სიმბოლოები, სინონიმებია საუნჯე, თვალ-მარგალიტი, ფილოსოფიური ქვა და ქალწული, ე.ი. ქალწულის გამოხსნა ტყვეობიდან, ქვესკნელიდან აგრეთვე იგივეა, რაც გრაალის გამოხსნა. ქალი ამ შემთხვევაში განასახიერებს ანიმას, საშვინელს და ანიმას გამოხსნა დრაკონის ტყვეობიდან არის სწორედ ინიციაციის მიზანი. ეს არის მოცემული სწორედ "ვეფხვისტყაოსანში". "ვეფხვისტყაოსანი" არის სწორედ ინიციაციის გზა, ჰეროიკული ინიციაციის გზა არის აქ აღწერილი. ალეგორიულად, საერთოდ, რაინდობა დაკავშირებული იყო ინიციაციასთან, რაინდობა იყო ინიციაციის ინსტიტუტი, ამიტომ მისი უმთავრესი მიზანი იყო ქვესკნელად შთასვლა და გრაალის გამოხსნა, ანუ წმინდა საწყისის გამოხსნა ბნელი ძალების ტყვეობიდან". (ზ. გამსახურდია: " საქ. სულიერი მისია", თბ. 1998 წ. გვ. 37-38).

## XXII

ვაგნერისეულ "გრალსბურგში", რომელიც ააშენა ღვთისმოშიშმა მეფე ტიტურელმა და ცხოვრობს მასში მისი რჩეული რაინდებით, არის დასვენებული ორი რელიქვია: გრაალი, ე.ი. თასი, რომლითაც მაცხოვარი იესო ქრისტე სვამდა და შუბი, რომლითაც მაცხოვარს ჯვარზე გვერდი გაუჭრეს, და როცა ცოდვილი ჯადოსანი – კლინგსორიც – მოინდომებს გრალსბურგში მიღებას, რაზედაც უარს მიიღებს, კლინგსორი ხდება წმინდა გრაალის მტერი, ჩაიგდებს ხელში შუბს და დაჭრის ტიტურელის შვილს ამფორტრასს, რომლის ჭრილობა მაშინ მორჩება თუ შუბი მეორეჯერ შეეხება ჭრილობას; ეს კი შეუძლია "წმინდა სულელს", რომელიც მას თანაგრძნობით შეგნებულად დაეხმარება; და აქ იწყება მოქმედება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

## XXIII

<u>პირველი მოქმედება</u>: 1 <u>სურათი</u>: ტყე გრალსბურგის რაიონში. გურნემანცი, ციხესიმაგრის ერთგული მცველი, მიიღებს ბრძანებას მოამზადოს აბანო მეფე ამფორტასისათვის; კუნდრი ცდილობს უშედეგოდ ჭრილობის მორჩენას მალამოთი; ამ დროს ჩამოვარდება ველური გედი და დაეცემა ცოცხალმკვდარი გურნემანცის ფეხებთან; პარსიფალმა დაჭრა იგი; და ვინაიდან ეს წმინდა ტყე გრალსბურგს ეკუთვის, ეს არის ბოროტება, რასაც განუმარტავს მას გურნემანცი და ეკითხება მის ვინაობას: პარსიფალმა კი მხოლოდ იცის, რომ მისი დედა იყო ჰერცელაიდე, რომელმაც გაზარდა. კუნდრი, გრალის შიკრიკი, კი მოყვება, რომ ჰერცელაიდე გარდაიცვალა პარციფალის დაკარგვის ჯავრით. გურნემანიც, რომელიც იმედობს პარსიფალი შეიძლება იყოს "წმინდა სულელი" რომელიც მას მორჩენს, მიიღებს მას ბურგში.

## XXIV

<u>2 სურათი</u>: გრალის ტაძარი. აქ განიცდის პარსიფალი სერობის წმინდა ქმედებას. პარსიფალი, მართალია, აღგზნებულია, მაგრამ არ გამხდარა "მცოდნე", რის შემდეგაც გურნემანცი განდევნის მას ბურგიდან.

## XXV

<u>მეორე მოქმედება</u>: <u>3 სურათი</u>: კლინგსორის ჯადოსნური სასახლე. კლიგსორის დამხმარე-ქალი კუნდრი მოხიბლავს პარსიფალს, რომელიც ჯადოსნურ ბაღში შემოდის.

## XXVI

<u>4 სურათი</u>: კლინგსორის ჯადოსნური ბაღი. ახალგაზრდა პარსიფალი ბავშვურად თამაშობს მომხიბლავ ქალიშვილთან; კუნდრი წარმოიდახება შესანიშნავი სიმშვენიერით და აკოცებს მას. ამ მომენტში შეიცნობს პარსიფალი რატომ ჩაიდინა ამფორტასმა ცოდვა, და სურს მისი გადარჩენა. როცა პარსიფალი კუნდრის თხოვს გრალსბურგის გზა აჩვენოს, უძახის ის კლინგსორს დასახმარებლად, რომელიც ესვრის წმინდა შუბს პარსიფალს, მაგრამ შუბი გაშეშდება მის თავზე. არსიფალი აიღებს შუბს და აქცევს მას ჯვრის ფორმად.

## XXVII

<u>5 სურათი</u>: უდაბნო. ქადოსნური ბაღი გაუჩინარდება. პარსიფალი განშორდება მას რომ გრალსბურგი იპოვოს.

## XXVIII

<u>მესამე მოქმედება</u>: 6 სურათი: ბაღნარი. მოხუც გურნემანცს მოესმოს გოდება. ის გამოდის მის ქოხიდან და პოულობს კუნდრის, გრალის შიკრიკს, მკვდარს, რომელსაც იგი აცოცხლებს და ხედავს, რომ მას სურს მხოლოდ ემსახუროს. პარსიფალი მოდის შავ აბჯარში და გურმენამცი ეუბნება მას, რომ დღეს წითელი პარასკევია და რა მნიშვნელობა აქვს ამ დღეს. პარსიფალი იხსნის აბჯარს და ჩაასობს მიწაში წმონდა შუბს. გურნემანცი იცნობს წმინდა სულელს და წმინდა შუბს. პარსიფალი ამბობს, - რომ მან ვერ იპოვა გზა გრალაბურგისაკენ. გურმენამცი კი მოუთხრობს, რომ მეფე ტიტურელი გარდაიცვალა და საშინელება სუფევს გრალსბურგში. პარსიფალი ფიქრობს, რომ ყველაფერ ამაში ისაა დამნაშავე. გურნემანცი და კუნდრი წაუძღვებიან მას "წმინდა წყაროსკენ". კუნდრი დაჩოქებული ბანს პარსიფალს ფეხებს, და გურნემანცი აცხებს მას მირონს როგორც გრაალის მეფეს. პარსიფალი აპატიებს ცოდვას კუნდრის, მოისხამს გრაალის რაინდის მოსასხამს და, გურნემანცთან და კუნდრისთან ერთად, მიდიან გრალსბურგისაკენ.

## XXIX

<u>7 სურათი</u>: გრაალის ტაძარი. დარბაზში წევს ამფორტასი და ეხვეწება რაინდებს მოკლან ის; ამ დროს შემოდის პარსიფალი, შეეხება "წმინდა შუბით" მის ჭრილობას, და ჭრილობა მორჩება. პარსიფალი ეუფლება ამფორტრატის უფლებამოსილებას; იგი გამოამჟღავნებს წმინდა გრაალს და რაინდებთან ერთად ატარებს "სიყვარულის სერობას". ცოდვისაგან განწმენდილი კუნდრი ეცემა მიწაზე და კვდება; გრაალის რაინდები იჩოქებენ მის ფეხებთან იმ დროს, როცა ერთი მტრედი მათ თავზე ფრინავს.

## XXX

და დაიწყო "პარსიფალის" წარმოდგენა!... "უვერტიურის უკვე პირველ ბგერადობისას ხდება ეს განსაკუთრებული მოვლენა. ბგერადობანი, რომლებიც ორკესტრის გამოქვაბულიდან ამოჟღერდება, იკუმშება მის ზემოთმდებარე თავანთან, იგი იწყებს დინებას და ღებულობს თითქმის სხეულებრივ ფორმას, მაგრამ კი არ მოქმედებს მკვეთრად, კუთხოვნად, არამედ ჰემოგენურად მაღლდება. და როცა მას თუნუქის ინსტრუმენტებს, სიმებიანი და ხის სასულე ინსტრუმენტები უერთდება, მოჩანს, მუსიკა მოდის სხვა სამყაროდან და მაინც ინტეგრირებულია ქრერადობათა ერთობაში. და ამ დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაყურებელთა დარბაზიდან, შეუკავებელი ჩახველება არ გვესმოდეს, ვიფიქრებდით, რომ ვიმყოფებით მუსიკალურ საიქიოში", წერს გოტფრიდ კნაპი, ("ზ. ც." , 6.8. 2001), და განაგრძობს:

XXXI

ამდენად, დირიჟორი ქრისტიან თილემანი "პარსიფალის" დადგმას მუსიკალურად აცოცხლებს, რომლის დროს "მისი პარტნიორია მთელი ანსამბლი". მაგრამ არაფერს არ ამბობს იგი რიჰარდ ვაგნერის შვილისშვილზე – ვილფგანგ ვაგნერზე, რომელსაც ეკუთვნის "პარსიფალის" ეს დადგმა, და დადებითი გამოძახილი ჰპოვა მაყურებელში, მიუხედავად სუსტი ნეგატიური "ბუუჰ" შეძახილებისა საერთო აღიარების აპლოდისმენტის დასაწყისში. ეს გასაკვირიც არ არის, რადგან უკვე 82 წლის ასაკსწიმყოფიეოლფგანგ ვაგნერის გადადგომა გარდაუვალი ხდება მხოლოდ მისი ასაკის გამოც, რაც კიდევ უფრო ართულებს ისედაც გართულებილი მემკვიდრის თუ მემკვიდრეების აღმოჩენას.

XXXII

როგორც ჩანს, ბაიროითის რიჰარდ ვაგნერის ფესტივალი, მაყურებლების მხრივ, უკვე შეურყეველი ინსტიტუცია, რაც მის მოდერნიზაციას თუ ტრადიციას მეორე პლანზე აყენებს, რადგან შესაძლებელია მიმიკური მუსიკის ოპტიკური, ე.ი. მიმიკური რაობის თანადროულობის შესაბამისი განჭვრეტა, მაგრამ მისი აკუსტიკური რაობის შეცვლა შეუძლებელია.

XXXIII

ალბათ, ამით აიხსნება ის, რომ ტრადიციული და მოდერნული ვაგნერიალებები თუ ანტივაგნერიალებები მთავარში ერთი აზრის არიან: შენარჩუნებულ იქნას ვაგნერის მიმიკური მუსიკის განსაკუთრებულობა, რომელიც ჩანს, ბაიროითის ფესტივალის პოლიტიზაციასაც უმნიშვნელოს ხდის, და ეს მოსჩანს ბაიროითის ფესტივალის მაყურებლების მრავალფეროვნებაშიც: აქ თქვენ ნახავთ სადღესასწაულოთ გამოწყობილ საღამოს გრძელ კაბებში მორთულ მანდილოსნებისა და ფრაკიანი ჩინოსნების გვერდით, ბლიუ–ჯინსში გამოწყობილ ახალგაზრდებსაც, თუმცა პირველნი ჭარბობენ. და ბაროითის ვაგნერის ფესტივალზე ვითომ უფრო მეტი შამპანიური თუ კოკა-კოლა იყიდება?..

XXXIV

და, საერთოდ, ფასები ხელმისაწვდომია "რიგითი მოქალაქისათვისაც" როგორც ეს რიხარდ ვაგნერს სურდა?.. ჩვენ -ჩემმა მეუღლემ და მე– "პარსიფალის" ბილეთში გადავიხადეთ 430 მარკა, ე.ი. 215 მარკა თითოეულმა; სასტუმროში (ორი დღე) გადავიხადეთ 360 მარკა საუზმით; და თუ მივიღებთ მხედველობაში სხვა ხარჯებს გზის ჩათვლით, "რიგითი მოქალაქისათვის" ეს მეტად დიდი ხარჯებია, მითუმეტეს, რომ ჩვენ ვიჯექით ბალკონის პირველ რიგზე.

XXXV

და ამ გზით ხომ არ მივედით "წმინდა კაპიტალიზმთანაც" და ბარიოითის ფესტივალის „წმინდა მასხარათა დღესასწაულთანაც" (კ. მარქსი)?... და ვითომ არა მარტო რიჰარდ ვაგნერის „გენეოლოგიურმა ხემ", არამედ ბაიროითმა უკვე დაკარგა მისი სიდიადის უკანასკნელი ფოთლები, და ვაგნერებთან ერთად, ბაიროითიც გადამგრარია (კ. უმბახი )?...

XXXVI

თუ „წმინდა შეშლილთა დღესასწაული" დაარსებიდან 125 წლის შემდეგაც – ისე მოქმედებს არა მარტო "შეშლილებზე" თუ "მასხარებზე", რომ ჩვენც ვართ – ვაგნერიანელები თუ ანტივაგნერიანელები – ვპოულობთ სიმშვიდეს და აღგზნებასაც ვაგნერის "მიმიკური მუსიკის" წყალობით, და ეს არ მეტყველებს ბაიროითის ფესტივალის სიდიადეზე?...

კ. ინასარიძე

ბაიროითი (გერმანია), 2001 წლის 3 აგვისტო

*

„საქართველოს მატიანე"

„ეს უნიკალური მონუმენტია, რომელიც ჩვენი ქვეყნის მთელ ისტორიას ასახავს და სიმბოლურია, რომ მისი შექმნა დამოუკიდებელ საქართველოში დასრულდება. ეს ბატონ ზურაბ წერეთლის უძვირფასესი საჩუქარია თავისი სამშობლოსადმი. და ამ ღვაწლს მას თაობები არ დაუვიწყებენ"

ედუარდ შევარდნაძე; 23 მარტი 2002 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კინორეჟისორ ოთარ იოსელიანის წარმატება

ბერლინის კინოფესტივალზე – „ბერლინალე", რომელიც 2002 წლის 5-18 თებერვალს ჩატარდა, „ვერცხლის დათვის" პრემია მიანიჭეს ოთარ იოსელიანს "ორშაბათ დილას" გადაღებისათვის. ეს ფილმი წარდგენილი იყო ბერლინის 52-ე ფესტივალზე საფრანგეთიდან, სადაც ცხოვრობს და მოღვაწეობს ჩვენი თანამემამულე ოთარ იოსელიანი.

კინოფილმი „ორშაბათ დილას" მოგვითხრობს საფრანგეთის ერთი პატარა სოფლის მცხოვრების ყოველდღიურ მოსაწყენ ცხოვრებას; და როცა იგი ვენეციაში გაემგზავრება, რათა ცხოვრების „სითბო" იგრძნოს, სიამოვნებას განიცდის, მაგრამ თავისმშობლიურ სოფელში დაბრუნებისას, ისევ იწყება მონოტონური ცხოვრება; და მორალი? – ცხოვრება მშვენიერია სტუმრობისას; სხვა შემთხვევაში ყველგან ერთნაირია, რასაც ადამიანმა უნდა „გაუძლოს". ვითომ ჩვენ ცხოვრება „მისჯილი" გვაქვს?..

ოთარ იოსელიანი საერთაშორისოდ აღიარებული დიდი კინორეჟისორია, რადგან იგი "მოძრავი სურათების" შინაარსს, ფორმასა, და ეთოსს კინოკამერათი „სწერს", რაც მის ფილმებს საერთოდ ანიჭებს მის საკუთარ სტილს; და სტილი ხომ უნდა გააჩნდეს ყოველი სახის მხატვრულ ნაწარმოებს კინოფილმის ჩათვლით.

„ბერლინალე"-ს ჟიურიმ ოთარ იოსელიანს მიანიჭა „ვერცხლის დათვი" საუკეთესო დადგმისათვის; მას მიენიჭა აგრეთვე კინოკრიტიკოსთა „გრანპრი" აღნიშნული ფილმისათვის.

აქვე მოვიგონოთ გერმანელი დიდი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის – გუნტერ გრასის აზრი იოსელიანის შემოქმედების შესახებ, როცა ის გაეცნო იოსელიანი ქართულ და ფრანგულ კინოფილმებს; სასურველი იქნებოდა, რომ ამ შესანიშნავმა რეჟისორმა კინოფილმები შექმნას ქართულ თემებზეო.

კ.ი.-„ს.რ." – 22.02.2002

## ქართული მუსიკა საქართველოს ფარგლებს გარეთ

"მეგობრული და სტუმართმოყვარე ხალხი...", "ამწვანებული მთები..." და "უცნაური, პირდაპირი, სიმღერები..."



რეპეტიცია 17:30 წუთზეა დანიშნული გოეთებორგის უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტის შენობაში. შესასვლელში იენს მოლერი მეგებება, ანსამბლ "დოლურის" ხელმძღვანელი, და უკვე კიბეებზევე იწყებს შვედური გუნდის დაარსების ისტორიის თხრობას. ანსამბლი "დოლური" იოჰან ვესტმანის მიერ იქნა შექმნილი 1996 წელს, დღეს იგი 10 შვედი ახალგაზრდისაგან შედგება, რომლებიც ქართულ ხალხურ სიმღერებს ასრულებენ.

რეპეტიციის დაწყებამდე ცოტა დროა დარჩენილი და საშუალება მეძლევა გავესაუბრო იენსს:

*როდის და როგორ დაიბადა იდეა შექმნილიყო გუნდი, რომელიც ქართულ სიმღერებს შეასრულებდა?*

- პირადად ჩემთვის ყველაფრის დასაწყისი ასეთი იყო: შვედეთის ერთ-ერთ ქალაქში მოვხვდი ანსამბლ "თბილისის"კონცერტზე, რის შემდეგაც ისეთი აღფრთოვანებული ვიყავი, მთელი კვირა სიარულიც კი აღარ შემეძლო (იცინის), სულ იმ კონცერტზე ვფიქრობდი. ქართულმა სიმღერამ შეაღწია ჩემს გულში, ჩემს მუცელში, მთელს სხეულში... ერთი თვის შემდეგ დავიწყე მუსიკათმცოდნეობის ფაკულტეტზე სწავლა, სადაც იოჰანი გავიცანი, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურმე აგრეთვე ყოფილა იმ კონცერტზე და სურდა ჩამოეყალიბებინა ქართული სიმღერების შემსრულებელი გუნდი. მან პირველმა დაიწყო სიმღერების ჩაწერა.

*სიმღერების ჩაწერა? რა სახით?*

- იგი უბრალოდ ისმენდა მათ და ნოტებს ინიშნავდა. ჩვენ მასწავლებელი არ გვყოლია და ამიტომ ეს ერთადერთი გზა იყო.

*იყო თუ არა რთული გუნდის წევრების შერჩევა და მათი დაინტერესება?*

- დაინტერესება არანაირ სირთულეს არ წარმოადგენდა. თავიდან კი ძნელი იყო საჭირო "ხმების" მოძებნა. 1996 წელს 8 კაცი საქართველოში გავემგზავრეთ და სწორედ ის 8 კაცია გუნდის ბირთვი დღესაც. საქართველოში შევხვდით ანსამბლ "გეორგიკას", ანსამბლ "თბილისს"...

*საიდან წარმოიშვა დასახელება "დოლური"?*

- ანსამბლი "თბილისი" მღერის სიმღერას "დოლური" (იწყებს ღიღინს). ძალიან მოგვეწონა ეს სიმღერა და გუნდსაც ასევე დავარქვით.

*რა ცვლილებებია გუნდში მისი დაარსების დროიდან დღემდე, რა სახის სირთულეებს აწყდებოდით?*

- (ო, ო, ო... ამოიოხრა და გაიცინა) ძალიან ბევრი სირთულე გვქონდა. ენა (იწყებს თითებზე ჩამოთვლას), არცერთმა ჩვენთაგანმა არ იცის ქართული, თავიდან სიტყვებს მიახლოებით ვმღეროდით. ახლა კი აქ მცხოვრები ქართველი ახალგაზრდები ძალიან გვეხმარებიან. მეორე ის არის, რომ ძალიან ძნელია სწორი ჟღერადობის პოვნა, მაგალითად კახურ სიმღერებში ან თუნდაც "კრიმანჭულში".

*თქვენს მიერ ნამღერი სიმღერების მნიშვნელობა თუ გესმით?*

- მე, სამწუხაროდ ქართული არ ვიცი. გუნდში გვყავს ერთი ახალგაზრდა, რომელიც ცოტ-ცოტას ლაპარაკობს. ისე, კი ძირითადად ქართველი მეგობრები გვეხმარებიან სიმღერის ტექსტების გარჩევაში.

*რამდენი ქართული სიმღერა იცით?*

- გააჩნია თქვენ "ცოდნაში" რას გულისხმობთ. ჩვენ ვარჩევთ და ვცდილობთ შევასრულოთ 50-მდე სიმღერა. დაახლოებით 30 მათგანი, შემიძლია ვთქვა, რომ ვიცით.

*თქვენი საყვარელი სიმღერა?*

- ჩემი საყვარელი სიმღერა? ბევრი საყვარელი სიმღერა მაქვს. იმ სიმღერათაგან, რომლებსაც ჩვენ ვასრულებთ: კახური სიმღერა "ზამთარი", გურული – "ორერა" და მეგრული – "ოდოია".

*როგორ ეცნობით ახალ სიმღერებს?*

- სხვადასხვა გზით. ერთ-ერთი გზაა, როგორც გითხარით, ჩაწერა: ვისმენთ ქართულ კასეტებსა და დისკებს და ყოველ "ხმას" ნოტების სახით ვინიშნავთ. ჩვენ ასევე ვსწავლობთ სიმღერებს საქართველოში ქართველი მომღერლებისაგან. პირადად მე უკვე სამჯერ ვარ საქართველოში ნამყოფი (მის სიტყვებში დიდი სიამაყე იგრძნობა).

*ვიცი, რომ კარგი ურთიერთობები გაქვთ ანსამბლ "თბილისთან". ისინი, ალბათ, კონსულტაციებსაც გიწევენ.*

- ერთი წლის წინ ანსამბლის ერთ-ერთი წევრი იყო ჩამოსული შვედეთში. მასთან შეხვედრისას ახალი სიმღერები ვისწავლეთ და ბევრი ძალიან საინტერესო რჩევა მივიღეთ. გვაქვს მიმოწერა ბატონ ზაზა მამალაძესთანაც.

*კონცერტები თუ გამართეთ საქართველოში ყოფნისას?*

- კი, რამოდენიმე. 2001 წლის ივლისში თბილისის ერთ-ერთ თეატრში (იენსი უშედეგოდ ცდილობს თეატრის სახელწოდების გახსენებას). ანსამბლი "გეორგიკა" დაგვეხმარა ამ კონცერტების ორგანიზებაში.

*თუ შეგიძლიათ თქვენი შთაბეჭდილებების გაზიარება საქართველოსა და ქართველი ხალხის შესახებ?*

- ქართველები, ჩემს მიერ აქამდე გაცნობილ ხალხთაგან, ყველაზე მეგობრულები არიან. ჩვენ, შვედები, ძალიან მორიდებულები ვართ უცხოებთან, ვიცავთ დისტანციას და მხოლოდ რაღაც დროის შემდეგ "ვიკარებთ" ადამიანს. ქართველები კი ყველას გაშლილი ხელით გვეგებებოდნენ. საჭმელი, უამრავი საჭმელი... ღვინო... არა, ეს მართლაც გასაოცარი რამ იყო! ძალიან მეგობრული და სტუმართმოყვარე ხალხია!

საქართველოში ყოფნისას, ჩვენ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეები დავათვალიერეთ. განსაკუთრებით შთამბეჭდავი მთები იყო. მთები ჩვენთანაც კი არის (იცინის), მაგრამ ჩვენი მთები ნაცრისფერია, თქვენი კი ამწვანებული.

*შვედეთში თუ გაქვთ ხოლმე კონცერტები?*

- კი. დაახლოებით 10-ჯერ წელიწადში.

*როგორ იღებს შვედი მსმენელი ქართულ სიმღერას?*

- არ შემიძლია ვთქვა, რომ ვერ იგებენ ან პირიქით. მათ ხომ საქართველოს შესახებ არაფერი იციან. უდავო კი ისაა, რომ ქართული სიმღერები პირდაპირ მათ გულებში აღწევს, ძალიან საინტერესოა ხოლმე კონცერტებზე მათი სახეების ყურება. თქვენი სიმღერები ძალიან უცნაური და პირდაპირია. შვედური სიმღერები ინტელექტუალუ-რია, მათ გასაგებად გარკვეული ცოდნაა საჭირო, ქართული კი (დაფიქრდა) ძალიან ფიზიკურია.

*როგორ გამოიყურება თქვენი სამომავლო გეგმები? რამდენადაც ჩემთვის ცნობილია ამა წლის ოქტომბერში დაგეგმილია თქვენი საქართველოში გამგზავრება.*

- დიდი იმედი გვაქვს, თუ ჩვენი ფინანსური მხარე ამის საშუალებას მოგვცემს. ოქტომბრის დასაწყისში საქართველოში გაიმართება კონფერენცია ინტერ-ნაციონალური ტრადიციული მუსიკის შესახებ. ეს კონფერენცია უკვე არა ერთხელ ჩატარდა, წელს კი მისი ერთ-ერთი ძირითადი თემაა: "ქართული მუსიკა საქართველოს ფარგლებს გარეთ". ანსამბლ "დოლურის" გარდა დაპატიჟებულია ფრანგული ანსამბლი "მარანი", აგრეთვე იაპონური და ავსტრალიური ანსამბლები.

*კონცერტის ჩატარება თუ არის დაგეგმილი?*

- კი, ეგეც კონფერენციის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენს.

*წარმატება მინდა ვისურვოთ ყველა თქვენს წამოწყებაში.*

უკვე 6 საათი ხდებობა. რეპეტიცია მცირე ოთახში გაიმართა. იენსმა იქვე მდგარ როიალზე პირველი ნოტა შეამეელა კალლეს (კარლ სტინტცინგს – პირველი ხმა) და გაისმა „ოდოია", მათი საყვარელი მეგრული სიმღერა, შემდეგ „დოლური", „მრავალჟამიერი"... მე თვალწინ წარმომიდგა „მეგობრული, სტუმართმოყვარე ხალხი", „საჭმელი", „ღვინო", „ამწვანებული და არა ნაცრისფერი მთები"...

ნინო ხაბელაშვილი
გოთებორგი (შვედეთი), 2002 წლის 5 აპრილი

## „რეგიონალური ენები"?..

### I.

„რეგიონალური ენები" თუ ერებისა და ეროვნებების (ტომების) ენები?.. ჩვენ, რა თქმა უნდა უფრო ერებისა და ეროვნებების მცნებას ვიზიარებთ, მაგრამ ასე არ არის მსოფლიოს ყველა ერსა და ეროვნებაში. მაგალითად საფრანგეთში რეგიონალური ენებია: ელზასური, ფლამანდიური, კორსიკული, კატალანური თუ ბასკური. სულ რვა ენა, რომლებსაც საფრანგეთის შესაბამის რეგიონებში ლაპარაკობენ.

### II.

მაგალითად ბასკები, რომელთა რაოდენობა საფრანგეთში 260 ათასს აღწევს, ფრანგული ჟურნალი „ლა ვი"-ის (5.9.99 წ) ინფორმაციაზე დაყრდნობით, სახლში ბასკურ ენაზე მხოლოდ 40 ათასი ლაპარაკობს; ოკიტანურ ენაზე ლაპარაკობს 2 მილიონი კაცი 14 მილიონიდან; კორსიკულ ენაზე ლაპარაკობს 150 ათასი კაცი 250 ათასიდან; ალზასურ ენაზე, რომელიც გერმანული ენის დიალექტია, ლაპარაკობს 900 ათასი კაცი 1,7 მილიონი მოსახლეობიდან; ბრეტონულ ენაზე ლაპარაკობს 300 ათასამდე კაცი 500 ათასიდან მოსახლეობიდან; კატალანურ ენაზე კი სულ 125 ათასი კაცი მოსახლეობიდან.

### III.

მაგრამ საფრანგეთის მთავრობას არ სსურს „ევროპის ქარტიის ენების შესახებ" რატიფიკაციის მოხდენა, რომლის საფუძველზეც საფრანგეთის სკოლებში რვა ენისა და დიალექტის სწავლა გახდება შესაძლებელი. ეს კი არ შეესაბამება აღნიშნული ქარტიის დებულებებს.

### IV.

ამასთან საყურადღებოა, რომ მსოფლიოში არსებობს სამიათასზე მეტი ენა თუ დიალექტი, რომელთა განვითარება ან შენარჩუნებაც კი დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რამეთუ მთელ რიგ სახელმწიფოებში უმცირესობათა ენების გამოყენება შეზღუდულია. ამის შედეგია, რომ საქართველოში ოთხმოცათასიანი ერი, რომელთა დიდი ნაწილი მშობლიურ ენასაც ვერ ფლობს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსულად საუბრობს, დიდპყრობელი შოვინისტების შთაგონებითა და იარაღის ძალით სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასაც კი მოითხოვს. ამ გარემოებას ირონიის თვალითაც კი შევხედავდით, ეს უკანასკნელი აფხაზი და ქართველი ერების ტრაგედია, რომ არ იყოს; მეორე მხრივ მშობლიურ ენაზე ლაპარაკსაც კი უკრძალავენ ეროვნებათა უმცი-რესობებს, მაგალითად თურქეთში ქურთებსა და ქართველებს; წარმოიდგინეთ, თურ-ქეთის მმართველობის ქვეშ მოქცეულ საქართველოს ტერიტორიაზე ქართველობას გვარებიც კი შეაცვლევინეს, რათა მათი გათ-ურქების პროცესი დაეჩქარებინათ!..

V.

როგორც ეხედავთ, საქართველოა ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფო დაწყებული 1991 წლის 9 აპრილიდან, მას შემდეგ რაც 1921 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე აღსდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რომელიც ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვასაც შეეხო. რას ვიმკით ჩვენ ეროვნულ უმცირესობათა მიმართ ამგვარი ცივილიზებ-ული და ჰუმანიტარული მოქმედების საფუძველზე? – ვიმკით ქართველთა გენოციდს აფხაზეთსა და შიდა ქართლში, რის შედეგადაც აგერ უკვე რვა წელია 300 ათასი ქართველი ლტოლვილი თავიანთ სახლკარში დაბრუნებას ელის. ამას კი წინ უდგანან ზემოთ აღნიშნული დიდმპყრობელი შოვი-ნისტები, რომლებიც პატარა ერების ერთმანეთზე გადაკიდების გზით თავიანთი იმპერიის, პოსტბოლშევიკური რუსეთის აღდგენას ლამობენ.

კარლო ინასარიძე

ლევილი, 2002 წლის 9 აპრილი

## ფაქტები, ფაქტები, მხოლოდ ფაქტები

### ნატო და საქართველო

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებმა ნატოს გენერტალურ მდივანს – ჯორჯ რობერტსონსა და საქართველოს პრეზიდენტს – ედუარდ შევარდნაძეს, სხვათა შორის, ასეთი შეკითხვა დაუსვეს:

- „ნატო... რა სიტუაციაში აიღებს თავის თავზე... ნავთობსადენისა და გამსადენების უსაფრთხოების დაცვას?"
- „ასეთი მისიის შესრულება ნატოს არ დასჭირდება, რადგანაც საქართველო მთლიანად თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას მილსადენების უსაფრთხოებასა და მთლიანობაზე. სწორედ ეს არის საქართველოს არმიის რეფორმირების მიზანი, რაშიც შეერთებული შტატები და ნატო გვეხმარება", - განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

ბრიუსელი, 21.3.2002 წელი

### აფხაზეთ-სამაჩაბლოს კონფლიქტი

„საქართველო კვლავინდებურად ერთგულია ორივე კონფლიქტის მხოლოდ მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისა, რადგან არ დაგვიკარგავს იმედი, რომ ეს შესაძლებელია".

ედუარდ შევარდნაძე; 25 მარტი, 2002 წელი

*

„საქართველო და ნატო მხარში უდგანან ერთმანეთს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში"

ჯორჯ რობერტსონი; ბრიუსელი, 19 მარტი, 2002 წელი

*

„ჩემი მიზანია დაგანახოთ საქართველო ისეთი, როგორიც არის – უამრავი პრობლემით, ზოგჯერ იმედგაცრუებული, ზოგჯერ აბობოქრებული, მაგრამ მუდამჟამს იმის ურყევი რწმენით, რომ მისი ბუნებრივი და კანონიერი ადგილი აქ, თქვენს შორისაა".

ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა ევროპარლამენტის სხდომაზე, 19 მარტი, 2002 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველები უცხოეთში

## "ინგოლშტატის ქართული კამერული ორკესტრი"

გერმანიის ქალაქ ინგოლშტატში არსებობს ქართული კამერული ორკესტრი, რომელიც უკვე საერთაშორისო სახელმოხვეჭილ კამერულ ორკესტრად ითვლება.

ქართული კამერული ორკესტრი ჩამოყალიბებული იქნა 1964 წელს ჩვენს დედაქალაქ თბილისში, საერთაშორისო მასშტაბით ცნობილი მევიოლინეს – ლიანა ისაკაძის – მიერ, რომელიც 1981 წლიდან 1995 წლამდე ამ ორკესტრის დირიჟორი იყო. ამ ქართულმა კამერულმა ორკესტრმა მალე მოიპოვა საერთაშორისო აღიარება და კონცერტები გამართა ისეთ საერთაშორისო მნიშვნელობის საკონცერტო დარბაზებში, როგორიცაა "კორნინგი-ჰოლი" ნიუ-იორკში, "კონცერტგებუვ" ამსტერდამში, "ჩაიკოვსკის-დარბაზი" მოსკოვში, "გევანდჰაუზი" ლაიპციგში, "მუზიკ-ფერაინი" ვენაში, "ოპერჰაუზი" სიდნეიში თუ "ფილარმონია" მიუნხენში.

გასტროლები გერმანიაში ჩაატარა ქათულმა ოკესტრმა 1990 წელში, რის შემდეგ ორკესტრი დაბინავდა ქალაქ ინგოლშტატში, სადაც გულითადად მიიღო მოსახლეობამ. საქართველოში არსებულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ გამოიწვია ის, რომ ქართული კამერული ორკესტრის წევრები – ინგოლშტატის ქალაქისა და საავტომობილო ფირმა "აუდის" დახმარებით, დარჩე-ნილიყო ამ შესანიშნავ ქალაქში "ინგოლშტატის ქართული კამერული ორკესტრის" სახელწოდებით. ქალაქი ინგოლშტატი და საავტომობილო ფირმა "აუდი" არსებით დახმარებას უწევს "ქართულ კამერულ ორკესტრს". ეს ანსამბლი უკვე განუყოფელი ნაწილია ქალაქ ინგოლშტატისა და არა მარტო ამ რეგიონის კულტურული ცხოვრებისა.

2000 წლის მაისიდან კი ქართული კამერული ორკესტრის მუსიკალური ხელმძღვანელია – მარკის პოშნერი. ამ შესანიშნავი კამერული ორკესტრის მუდამ უკანასკნელ ბილეთამდე გაყიდული ბილეთები ადასტურებენ ამ ორკესტრის მაღალ მუსიკალურ დონეს.

კ. ი. მიუნხენი, 2002 წლის მარტი

## ქართული ნაქსოვი ხატების გამოფენა პარიზში

მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში პარიზში, საქართველოს საელჩოს სალონში ჩატარა ქართული ნაქსოვი ხატების გამოფენა, რომელსაც დიდი წარმატებ ჰქონდა.

გამოფენა ჩატარდა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის – ბატონ გოჩა ჩოგოვაძისა და მუსიე ჟაკ ტაიოს თაოსნობით.

**Monsieur G.TCHOGOVADZE**
**Ambassadeur Extraordinaire**
**et Plénipotentiaire de Géorgie en France**

**Monsieur Jacques TAILLIEU**
**Président**
**d'Artois Rencontre Travelling**

seraient très honorés de votre présence à l'inauguration de
l'exposition d'icones brodées
de "BESSO"

le mardi 29 janvier 2002
à 18 h 30

*Salons d'Honneur*
*Ambassade de la République de Géorgie*

104 Avenue R.Poincaré
75116 PARIS

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| | წმიდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ქართული მართლმადიდებლური ეკლესია მიუნხენში<br><br>მდებარეობა:<br><br>Kapelle „Salesianum“ im Jugendwohnheim, Sannt Wolfgang Platz 10+11, München |

## მართლმადიდებლობის ზეიმი გერმანიაში

გერმანიის ტერიტორიაზე მოქმედი კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლებმა 24 მარტს, ქალაქ მიუნხენში, ბერძნულ „ყოველთაწმიდათა“-ს ეკლესიაში აღაველინეს ერთობლივი წირვა. წირვაზე თანამსახურთა შორის იყვნენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიტროპოლიტი გერმანიაში - მეუფე ავგუსტინე, რუსეთის საპატრიარქოს მთავარეპისკოპოსი გერმანიაში-მეუფე თეოფანე, სერბეთის საპატრიარქოს ეპისკოპოსი გერმანიაში - მეუფე კონსტანტინე, რუმინეთის საპატრიარქოს მიტროპოლიტი გერმანიასა და შუა ევროპაში - მეუფე სერაფიმე, ბულგარეთის საპატრიარქოს მთავარეპისკოპოსის გერმანიაში - მეუფე სვიმონის პირადი წარმომადგენელი (თავად ავად გახლდათ) და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს წარმომადგენელი გერმანიასა და ავსტრიაში - მღვდელი მამუკა. ეს დღე ზუსტად რომ შეეფერებოდა მის სახელწოდებას - მართლმადიდებლობის ზეიმს. ბერძნული ტაძარი და ასევე ეზო ველარ იტევდა მორწმუნეებს. საღმრთო ლიტურგიაზე ბერძნულ და სერბულ საეკლესიო გალობებთან მონაცვლეობით გაისმოდა ქართული მართლმ. ეკლესიის მგალობელთა გუნდის მიერ შესრულებული წირვის ძველი ქართული საგალობლები, რომელიც ამ ზეიმს ერთი ათად ალამაზებდა. წირვის შემდეგ გაიმართა ტრაპეზი, სადაც მეუფე ავგუსტინემ დიდი სიყვარულით და სიხარულით გაიხსენა საქართველოს კათოლიკოს-პატიარქის, ილია II-ს სტუმრობა მათთან, 1996 წელს შტუტგარტში და 1997 წელს ბონში, ბერძნულ საკათედრო ტაძარში.

ყველაფერ ამას უძღოდა წინა დღით, 23 მარტს, გერმანიაში მოქმედი მართლმადიდებლური ეკლესიის კომისიის (KoKiD) სხდომა-შეკრება. ამ კომისიაში წარმოდგენილნი არიან ზემოთ ჩამოთვლილი ეკლესიები. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენელი პირველად იყო მიწვეული ამ სხდომაზე, რამეთუ გერმანიაში ქართული ეკლესია ახალი დაფუძნებულია. კომისიის თითქმის ყველა წევრი მიესალმა ქართული მართლ. ეკლესიების დადგენას და გაძლიერებას გერმანიაში. ყველა ეკლესიის მღვდელმთავრებმა გამოთქვეს მზადყოფნა და თანხმობა ამ კომისიაში ჩვენი ეკლესიის სრულუფლებიან წევრად გახდომაზე. ეს უდავოდ მისასალმებელი ფაქტია, რამეთუ კომისიის სხდომებზე განიხილება ძალიან მნიშვნელოვანი სხვადასხვა საკითხები და პრობლემები. მათ შორის ისეთი პრობლემები, რომლებიც აქაურ მართლმადიდებლურ ეკლესიებს წარმოეშობათ ხოლმე არამართლმადიდებლურ ქვეყანაში მოღვაწეობისას.

23 მარტს, ასევე მიუნხენში, გაიმართა გერმანიის ახალგაზრდა მართლმადიდებელთა კავშირის მეოთხე ყრილობა. აქაც მიწვეულნი იყვნენ და აქტიურ მონაწილეობა მიიღეს მიუნხენის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლის წარმომადგენლებმა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის
პრესცენტრი გერმანიასა და ავსტრიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესის, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის მეუფე დანიელის ვიზიტი ვენასა და მიუნხენში

ამა წლის 9-11 მარტს გერმანიასა ავსტრიაში სტუმრად იმყოფებოდა ცხუმ-აფხაზეთის მეტროპოლიტი დანიელი. ეს ვიზიტი უცხოეთში მცხოვრები ქართველებისა და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისათვის ისტორიულ მოვლენად მოიაზრება, რადგან იგი ევროპაში ახლად დაფუძნებული ქართული ეკლესია-მრევლისათვის მღვდელმთავრის პირველი სტუმრობა გახლდათ.



მიუნხენის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახ. ეკლესიის წინამძღვრის, მამა მამუკას და სამრევლოს სათათბიროს მოთავეობით მისი ყოვლადუსამღვდელოება, მეუფე დანიელი და დედა ელენე 9 მარტს ავსტრიის დედაქალაქ ვენას ეწვია. იქ, როგორც ვიუწყებოდით, წმ. დავით აღმაშენებლის სახ. ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლისათვის ყოველთვიურად აღევლინებოდა საღმრთო ლიტურგია. ამჯერად კი შესრულდა სამღვდელმთავრო წირვა. ხორციელის შაბათის ტრადიციისამებრ წირვას მიება მიცვალებულთა დიდი პანაშვიდი. ტაძარში მარავალმა მორწმუნე ქართველმა მოიყარა თავი, რომლებიც სულგანაბული უსმენდნენ, ასევე ლიტურგიის შემდეგ ქადაგებას. ეს გახლდათ ქართული მართლმადიდებლური სულის ზეიმი.

მეორე დღეს, 10 მარტს მიუნხენის ბერძნულ მართლმადიდებლურ ტაძარში, ბერძენ სამღვდელოებასთან თანამწირველობით მეუფე დანიელმა აღავლინა აგრეთვე სამღვდელმთავრო წირვა. ლიტურგიის განმავლობაში ერთმანეთს ცვლიდა ძველი ქართული და ბერძნული საგალობლები; ტალარი სავსე იყო ორივე ერის წარმომადგენლებით, ამბიონზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ქართველი და ბერძენი სასულიერო პირები. ეს ღვთისმსახურება ორი მართლმადიდებელი ერის ზეიმად იქცა. მეუფე დანიელის თქმით, ამ წირვაზე სამაგალითო იყო ჩვენთვის, თუ როგორ ინახავს ბერძენი ხალხი, უცხო ქვეყანაში, ეკლესიის წიაღში, თვითმყოფადობას და ეროვნულობას.

ლიტურგიას მოყვა მეტროპოლიტის შეხვედრა-საუბარი ქართველ მრევლთან. ნაჩვენები იყო სასულიერო შინაარსის დოკუმენტური ფილმი "დღესასწაული დღესასწაულთა". მეუფის ქადაგებამ, რომ ჩვენ ქართველნი ვართ მაცხოვრის კვართის პატრონები, რომ საქართველო მუდამ ელოდება ჩვენს დაბრუნებას, მსმენელებს თვალზე ცრემლი მოჰგვარა. აღინიშნაისიც, რომ შესაძლებელია ქართველების უცხოეთის მიწაზე ცხოვრებას ღვთისაგან საიდუმლო მისიაც აკისრია – მართლმადიდებლური სარწმუნოების ქადაგება. მართლაც, საღმრთო ლიტურგიაზე და შეხვედრაზეც იმყოფებოდნენ აგრეთვე უცხო ერის წარმომადგენლები, რომლებიც გულწრფელად დაინტერესებული არიან მართლმადიდებლობით და ზოგიერთი მათგანი უკვე კათაკმეველია.

საღამოს მეუფე დანიელის ლოცვა-კურთხევით, გაიმართა საზეიმო მიღება-ბანკეტი, სადაც მოწვეულნი გახლდნენ სასულიერო პირები ბერძნული, რუსული, სერბული მართლმადიდებლური ეკლესიებიდან. აგრეთვე ჩვენი ერის სასიქადულო შვილები, რომლებიც ევროპაში ცხოვრობენ და მოღვაწეობენ, რომელთა სორის იყვნენ: ბატონები პაატა ბურჭულაძე, ქრისტეფორე კირკიტაძე, ვახტანგ ჩხაიძე, კარლო ინასარიძე, ქალბატონი თამარა ჩოფიკაშვილი-ვესტი. საღამოს ამშვენებდა მიუნხენის ეკლესიის მგალობელთა გუნდის მიერ შესრულებული საგალობლები, ხალხური და სუფრული სიმღერები.

მოკლე გახლდათ ეს სტუმრობა დროში, მაგრამ იმდენად სავსე იყო ყოველი წუთი სულიერებითა და სიყვარულით, რომ ჩვენთვის მიუნხენის ეკლესის მრევლისათვის მთელ ეპოქასავით გადაიქცა. გულისამაჩუყებელი იყო შეგრძნება იმისა, რომ მწყემსი კეთილი დაკარგულ ცხვართა მოსაძიებლად მოვიდა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის
პრესცენტრი გერმანიასა და ავსტრიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „გაუმარჯოს იმ ქვეყანას,

## რომელშიც უბრალო მუშებიც კი ქართულად ლაპარაკობენ!"

### ინტერვიუ ქალბატონ თინა პატარიძესთან

ქალბატონი თინა პატარიძისა დაიბადა და გაიზარდა ქ. პარიზში. ამის მიუხედავად იგი კარგად ფლობს ქართულ ენას და თავის სამშობლოდ საქართველოს მიიჩნებს.



*ქალბატონო თინა, თუ შეიძლება, მოგვიყევით ცოტაოდენი თქვენს შესახებ.*

- მე დავიბადე პარიზში, ქართულ ოჯახში. დედაჩემი მის ბიძასთან ჩავიდა გერმანიაში, სადაც დიდი ხნით არ აპირებდა გაჩერებას, რადგანაც არ უნდოდა დედის მიტოვება. სამწუხაროდ კი ისე მოხდა, რომ მან დედის ნახვა ველარ მოახერხა. მამა ცხოვრობდა პარიზში და სწორედ იქ, 26 მაისს გაიცნეს ჩემმა მშობლებმა ერთმანეთი.
- მამა სულ ქართულად გველაპარაკებოდა. ყოველ ხუთშაბათს დავყავდით ტყეში და გვიტარებდა გაკვეთილებს: გვასწავლიდა ქართულ ლექსებს, სიმღერებს, წერა-კითხვას. სასაცილო ამბავი მახსენდება: როდესაც მამასთან ერთად დასასვენებლად ვიყავით ზღვის ნაპირზე, იგი მოინდომებდა ხოლმე, რომ ჩვენ ქართული სიმღერები გვემღერა. ჩვენ კი, ბავშვებს, ძალიან გვერიდებოდა, ამიტომ ამოვთხრიდით სილას და შიგ ვიმალებოდით, მხოლოდ თავიღა გვიჩანდა. მამა კი თავიდან ვერ ხვდებოდა რატომ ვაკეთებდით ამას, დაგვიჯდებოდა წინ და გვამღერებდა.
  სასწავლებელი პარიზში დავამთავრე. 21 წლის ასაკში გავხდი გივი ყიფიანის, ასევე პარიზში მცხოვრები ქართველის, მეუღლე. გვეყოლა სამი შვილი: ნათელა, თამაზი და გოგი.

*მათ თუ იციან ქართული?*

- ნათელამ იცის, იგი საქართველოშიცაა ნამყოფი; ბიჭებს ესმით ცოტ-ცოტა, მაგრამ ვერ საუბრობენ. თამაზის და გოგის დაბადებამდე პარიზში ვცხოვრობდით. ჩვენ სამსახურში გვიწევდა სიარული, ნათელა კი დედაჩემთან რჩებოდა და სულ ქართულად ლაპარაკობდა. სკოლაში რომ მივიდა, ფრანგული არც კი იცოდა.
  შემდეგ გადავედით ლიონში. ჩემი მეუღლის დედა ფრანგი იყო, გივიმ სრულყოფილად არ იცოდა ქართული და ამიტომ ოჯახში უფრო ფრანგულად ვსაუბრობდით.

  გავიდა წლები, მე და ჩემი მეუღლე ერთმანეთს დავშორდით, მაგრამ დღემდე კარგი ურთიერთობა გვაქვს და გვყავს სამი შესანიშნავი შვილი.
  1987 წელს კი ისევ დავქორწინდი.

*თქვენნაირი ხალხისათვის სამშობლო, ალბათ, ცოტა ფართო ცნებაა, არა მხოლოდ ადგილი, სადაც ადამიანი იბადება და იზრდება. რა არის სამშობლო პირადად თქვენთვის?*

- მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთში დავიბადე და გავიზარდე, ფრანგი მაინც არ ვარ. ჩვენ სულ ქართულ წრეში ვტრიალებდით... ჩემი სამშობლო საქართველოა. ჩემი შვილებისათვის კი ეს არის საფრანგეთი.

*საქართველო თქვენს წარმოსახვაში მხოლოდ მშობლების მონაყოლიდან არსებობდა. რამდენად შეესაბამება თქვენს მიერ წარმოდგენილი, იმას, რაც საქართველოში დაგხვდათ?*

- საქართველო ჩვენთვის ყოველთვის რაღაც საოცარი იყო და, იცით, ახლა რომ ვიყავი, ყველაფერი ისეთი დამხვდა, როგორიც წარმომედგინა. საქართველოში კარლოსთან ერთად ჩავედი, მის სოფელ ყუშუბოურში და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს იქ ვიყავი დაბადებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*რა მოგეწონათ და დაგამახსოვრდათ საქართველოში ყველაზე მეტად?*

- რამაც გამაოცა იყო ხალხის სითბო, განსაკუთრებით სოფელში მცხოვრებლებისა და საქართველოს ბუნება.

*შეგიძლიათ გაიხსენოთ ისეთი რამ, რაც მოულოდნელი და იქნებ გაუგებარიც იყო თქვენთვის საქართველოში?*

- როდესაც ჩვენთან საფრანგეთში სტუმრები ჩამოდიან, ჩვენ იმის საშუალება არ გვაქვს, რომ მუშაობა შევაჩეროთ. ჩვენი საქართველოში ჩასვლისას კი ნათესავებმა სამუშაოდ სიარული შეწყვიტეს და სულ ჩვენ დაგვყვებოდნენ. ეს მართლაც გაუგებარი იყო ჩენთვის..

*რამდენადაც ჩემთვის ცნობილია. ბატონმა კარლომ ყუშბოურში ღვთისმობლის სახელობის ეკლესია ააგო. ამის შესახებ რას გვეტყოდით?*

- დიახ, ყველაფერი იმით დაიწყო, რომ კარლომ სასაფლაოზე, სადაც მისი მშობლები არიან დაკრძალულნი დიდი ზარი გააგზავნა. შემდეგ კი აზრად მოუვიდა სასაფლოს ეზოში პატარა ეკლესია აეგოთ. ეკლესიის შესასვლელთან კი ბიბლიოთეკა გაკეთდა.

*რა სახის წიგნებია ამ ბიბლიოთეკაში თავმოყრილი?*

- ყველანაირი, კარლო ყველა წიგნს აგროვებს.

*თქვენ 26 მაისისათვის საქართველოში მიემგზავრებით. ამჯერად რა გეგმები გაქვთ?*

- საქართველოს სხვა ადგილებთან ერთად მინდა ვესტუმრო სოფდელ კუშუბოურს (ვანი რაიონო), სადაც აშენებულია საყდარი სამრეკლოთი, რომლის ზარი გერმანიაში იქნა ჩამოსხმული. ამავე ტერიტორიაზე მოწყობილია საქარძველოს თავისუფლებისათვის დაღუპულთა მემორიალი. აქვე გვსურს 26 მაისს აღვმართოთ ჩვენი ეროვნული დაროშა, რომელიც შევკერე პარიზში და ნაკურთხი იქნა მამა არჩილის მიერ პარიზის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიაში.

*რაიმე სასაცილო ამბავს ხომ ვერ გაიხსენებდით თქვენი საქართველოში მოგზაურობიდან?*

- სასაცილო ამბები ბევრი იყო: მაგალითად ერთხელ მგზავრობისას მანქანა ძალიან ბევრჯერ გაგვიფუჭდა, სასაცილო იყო ის, რომ ასეთ დროს ყველა გამოვარდებოდა ხოლმე საშველად, ზოგი ფეხს ურყამდა მანქანას, ზოგი ხელს, ზოგი სიცხეში ფანჯრის გაღებას ცდილობდა, რაზეც პასუხად ღებულობდა: "არ გააღო, არ გააღო, მერე ველარ დავკეტავთ".

  სასაცილო იყო თუნდაც ის, რომ მე გაოცებული ვიყურებოდი აქეთ-იქით, როდესაც მესმოდა სახელები: ნათელა, გიორგი, თამაზი... საფრანგეთში ხომ მსგავს სახელებს ვერ გაიგონებ, იქ კი ყველას ასე ჰქვია. ხშირად უბრალოდ ვჩერდებოდი ქუჩაში და სიამოვნებით მივჩერებოდი ქართულად მოლაპარაკე ხალხს.

  ჩემს ძმასაც საქართველოში ყოფნისას სასაცილო რამ შეემთხვა: გზაზე მილები იყო გახეთქილი, იქვე მუშები იდგნენ და კინკლაობდნენ. ჩემი ძმა გაჩერდა და სიამოვნებით შეჰყურებდა მათ, შემდეგ კი დააყოლა: "გაუმარჯოს იმ ქვეყანას, რომელშიც უბრალო მუშებიც კი ქართულად ლაპარაკობენო".

ნინო ხაბელაშვილი
მიუნხენი, 2002 წლის 15 აპრილი

*

"მონობა სიმდაბლეა, მაგრამ მონური აზროვნება თავისუფლებაში საძულველია!"

ფრიდრიხ ფონ შილერი (1759-1805)

*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## "ხსნა შიგნიდან უნდა დაიწყოს..."

ინტერვიუ ბნ. დოქტორ ბუბა ქებაძესთან

*რა იყო თქვენი საზღვარგარეთ წამოსვლის მიზანი და რა სტატუსით იმყოფებით ამჟამად მოცემულ ქვეყანაში?*

– ბრიტანეთში გავემგზავრე სასწავლებლად – სადოქტორო თემაზე სამუშაოდ. დაცვის შემდეგ ორი წელი კემბრიჯის უნივერსიტეტში ვმუშაობდი მკვლევარად. ამჟამად ლონდონის ერთერთ კერძო კომპანიაში ვარ ინჟინერ-კონსულტანტად.

*როგორ გესახებათ თქვენი მომავალი: ცსურთ საზღვარგარეთ დარჩენა თუ აპირებთ საქართველოში დაბრუნებას?*

– ეს ძალზედ რთული კითხვაა. არ მაქვს გადაწყვეტილი. ერთი მხრივ დაბრუნება მინდა – უმეტესი წილი ჩემი მეგობრებისა და ნათესავებისა საქართველოში მყავს და მათთან ყოველდღიურ ურთიერთობას რა ჯობია. მეორე მხრივ, საქართველოს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა ართულებს სამსახურის შოვნას, ვგულისხმობ ისეთს რომელიც ერთის მხრივ ნორმალური ცხოვრების, მეორე მხრივ კი თვითრეალიზაციის საშუალებას მოგცემს.

დიდი განსხვავებაა იმ საქმეს, რომელსაც სიამოვნებით აკეთებ და მონდომებით აკეთებ, და იმ საქმეს შორის, რომლის გაკეთება არავითარ სიამოვნებას არ განიჭებს, თუმცა იძულებული ხარ მაინც გააკეთო. ჯერ-ჯერობით, პირადად ჩემთვის, საქართველოში სამუდამოდ დაბრუნება უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება.

*თქვენ პირადად როგორ უყურებთ ამდენი ახალგაზრდის საზღვარგარეთ ჩამოსვლის ფაქტს. ეს ხომ დღესდღეობით ნებაყოფლობით გადადგმული ნაბიჯია და ოდესღაც საქართველოდან იძულებით წამოსულთათვის ალბათ გაუგებარიც.*

– პირადად არ მიიღოთ, მაგრამ, ეს კითხვა დღევანდელ ეპოქას არ ეკუთვნის – მოძველებულია. ოცდამეერთე საუკუნეში, როცა საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს და ხალხს მხოლოდ ეკონომიკური მდგომარეობა ყოფს, როცა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ნებისმიერ ქვეყანაში წავიდეს (ეკონომიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე), როცა ინტერნეტმა მსოფლიო პატარა სოფლად აქცია, იმის თაობაზე ლაპარაკი თუ ვინ სად და რატომ წავა. მე პირადად ჭორაობის საგნად მიმაჩნია.ვერაფერ ცუდს ვერ ვხედავ, არა მარტო ახალგაზრდის არამედ, "ძველგაზრდის" სადაც არ უნდათ იქ წასვლაში, თუ ეს მათ ინტერესებში შედის, მიაჩნიათ რომ ეს წინ გადადგმული ნაბიჯია.

რაც შეეხება ნებაყოფლობით თუ იძულებით წამოსვლას, მე პირადად ვთვლი რომ არაფერი არ არის იძულებითი ამ ქვეყანაზე. იძულებით წამოსულებში ალბათ იმათ გულისხმობთ ვინც 1921 წელს დატოვა საქართველო?

მე ვთვლი რომ არაფერი იძულებითი არ ყოფილა. მათ შეეძლოთ დარჩენილიყვნენ თუმცა კომუნისტები ან დააპატიმრებდნენ ან დახვრეტდნენ და ვინც დარჩა კიდეც დახვრიტეს 1937-ში. ასე რომ, ყველამ მიიღო ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება არსებული გარემოების საფუძველზე. მე დარწმუნებული ვარ რომ ყველამ თავისთვის სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ყოველ შემთხვევაში ჩვენ მათი განსჯის უფლება არა გვაქვს ვინაიდან მათ ადგილას არ ვყოფილვართ.

იგივე მიზეზით, ასევე ვერ ვიმსჯელებთ დღეს წამოსულ ხალხზე – მათ ასევე მიიღეს გადაწყვეტილება რომ ეს უკეთესი იქნება მათთვის. და არაფერია გაუგებარი მათ მოქმედებაში. ძირითადად, დრევანდელ დღეს წამოსულნი "ეკონომიკური ემიგრანტები" არიან, ადრე, 1921 წელს, პოლიტიკური ემიგრანტები იყვნენ. ერთნი შიმშილით, ნევროზით ან დეპრესიით სიკვდილს გამოექცნენ, მეორენი კი კომუნისტების ტყვიით სიკვდილის – მე მგონი რითი მოკვდება ადამიანი დიდი მნიშვნელობა არა აქვს. თვითგადარჩენა არის ადამიანის უპირველესი ინსტინქტი – ამას ვერ გავექცევით!

*ალბათ თვალყურს ადევნებთ საქართველოში შექმნილ რთულ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. თქვენის აზრით, რაში მდგომარეობს გამოსავალი ("გზა ხსნისა") და შეუძლია თუ არა თვითოეულ ჩვენთაგანს თავისი წვლილი შეიტანოს მდგომარეობის გამოსასწორებლად?*

– დრო ყველაფრის წამალია. საუბედუროდ ეს უკანასკნელი ძალზედ დიდ დეფიციტს წარმოადგენს. გამოსავალი დროშია, თუმცა დრომ არგენტინას ვერ უშველა. ჩემი აზრით "ხსნა" შიგნიდან უნდა დაიწყოს. ხალხმა უნდა შეიცვალოს მენტალიტეტი დაწყებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფოს მმართველობიდან უბრალო მუშამდე და გლეხამდე. ზუსტად მაგას ჭირდება დრო. იმედია საქართველო გაუძლებს ამ გამოცდას.

მე დარწმუნებული ვარ რომ თვითოეული ჩვენთაგანი თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებს საქართველოსთვის. თუნდაც ერთი ადამიანის დახმარება საქართველოში შანსებს ზრდის რომ ქვეყანა გაუძლებს "გზის ხსნამდე". ჩვენი კი კარგი სახელი უნდა მოვუხვეჭოთ საქართველოს და ვიყოთ ამ პატარა მსოფლიოში ღირსეული მოქალაქეები.

გაგა მესხი
ლონდონი, 2002 წლის 28 აპრილი

## საუკუნო იყოს ხსენება მისი

2002 წლის 26 აპრილს, პარიზის ახლომდებარე დაბა ლევილის ქართულ ძმათა სასაფლაოზე დაკრძალულ იქნა ტ ა რ ა ს ი წ უ ლ ა ძ ე, რომელიც ეკუთვნოდა პოლიტიკური ემიგრაციის იმ თაობას, რომელთა წარმომადგენლებმა საქართველო დატოვეს მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელი საქართველო დაიპყრეს ბოლშევიკებმა 1921 წლის თებერვალ-მარტში. ტარასი წულაძე იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრი. საუკუნო იყოს ხსენება მისი!..

## „მებრძოლი საქართველოს"

### სარედაქციო კოლეგიის გაფართოება

ჟურნალ „მებრძოლი საქართველო"-ს სარედაქციო კოლეგიამ თავის მორიგ სხდომაზე სარედაქციო კოლეგიის წევრებად დაამტკიცა ქალბატონი ნინო ხაბელაშვილი და ბატონი გაგა მესხი, რომლებიც უცხოეთში მცხოვრები ქართველობის ახალი თაობის წარმომადგენლები არიან.

„მებრძოლი საქართველო"-ს სარედაქციო კოლეგია უსურვებს ქალბატონ ნინოსა და ბატონ გაგას წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმეში.

### განცხადება

ჩვენი პერიოდული ჟურნალი „მებრძოლი საქართველო", ემიგრაციაში არსებული ტრადიციის შესაბამისად, უ ფ ა ს ო დ ვრცელდება უცხოეთში და საქართველოში, რაც იწვევს იმას, რომ „მებრძოლი საქართველოს" ტირაჟი მეტად მცირეა. ამიტომ, თუ ვინმეს სურს „მებრძოლი საქართველოს" ასლის გადაღება და გავრცელება, მას ამის უფლებას ვანიჭებთ.

„მებრძოლი საქართველო"-ს
სარედაქციო კოლეგია

---

პარიზი, 2002 წლის 21 აპრილი ბ ა ლ ა ნ ს ი : „მებრძოლი საქართველო"-ს 2002 წლის 26 მაისის ნომერ 31(49)

გამოცემის ხარჯები:
გასავალი (დაბეჭდვა, დაგზავნა და სხვა)....................................661 ევრო
შემოწირულობა კარლო ინასარიძისა.............................................661 ევრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# Conseil National Georgien

## ქართული ეროვნული საბჭო

ა მ ო ნ ა წ ე რ ი

ქართული ეროვნული საბჭოს წესდებიდან (პარიზი, 1896 წელი, 27 აპრილი):
პირველი შესწორება: ლევილი. 1995 წელი, 17 აგვისტო):

„მუხლი მესამე: ქართული ეროვნული საბჭო არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რ ომლის მიზანიასაქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის განმტკიცებისათვის ხელშეწყობა ყოველგვარი ლეგალური გზით..“

„მუხლი ოცდამეორე: ქართული ეროვნული საბჭო უცხოეთში თავისთავს გამოაცხადებს დაშლილად, როცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა შეუქცევად ხასიათს მიიღებს“.

„პოლიტიკა არის არა მარტო შესაძლებლობის ხელოვნება,
არამედ აგრეთვე ხელოვნება საჭირო შესაძლებელი გახადო“

# მებრძოლი საქართველო

## „LA GÉORGIE COMBATTAN TE“

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

ერთობა მრავალფეროვნებაში

2002 წლის 26 მაისი – ნომერი 31 (49) – 26 Mai 2002

„ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა.“
„მესამე დასი“, *1893* წელი.

დაარსდა: 1952 წელს პარიზში — Fondation: Janvier 1952, Paris

წერილი უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ბატონი მამია ბერიშვილი

CHATEAU DE LEUVILLE
91310 – Leuville sur Orge
France
Tel : (331) – 6054 – 6157

ი/6/265
2024
JK 833 E
2001-2002
გ-774